

ტოტალური ფეხბურთი ტოტალიტარული სისტემის საპირისპიროდ
B4



ნიუ-იორკის საგაზაფხულო კინოგეგმები
B3



მაიბახის შემდეგი ნაბიჯი
B6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | ხუთშაბათი, 10 მარტი, 2005 წელი. №54 (914) | ფასი 50 თეთრი

# განვითარებას აფერხებს რუსეთი

საკომიტეტო მოსმენა აშშ-ს სენატში

ნინო გომართელი

ამერიკის შეერთებული შტატების სენატში "შავი ზღვის რეგიონში დემოკრატიის მომავლის" საკითხის მოსმენა გაიმართა. ამ კუთხით, სიტყვით გამომსვლელთა მოხსენების ყველაზე დიდი ნაწილი რუსეთის ფედერაციაში არსებულ ვითარებას დაეთმო და საბოლოოდ, რუსეთი შეფასდა, როგორც ქვეყანა, სადაც "დემოკრატიული ინსტიტუტების და დემოკრატიული პროცესების ნგრევა მიმდინარეობს".

რაც შეეხება საქართველოს, როგორც სენატში გამოიკვეთა, ქვეყანა დემოკრატიული განვითარების გზას ადგას, თუმცა პრობლემა ისევ რუსეთია, რომელმაც შეწყვიტა ჩეჩნეთის, დაღესტნის და ინგუშეთის მონაკვეთებზე ეუთო-ს საზღვრის მონიტორინგის მისია, უარს ამბობს საქართველოს ტერიტორიიდან საკუთარი სამხედრო ძალების გაყვანაზე და ღიად უჭერს მხარს სეპარატისტულ რეჟიმებს.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ოკუპაციის დასასრულის დასაწყისი

გიორგი ასანიშვილი

*გუშინ საგარეო საკითხთა და თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე ერთხმად იქნა მხარდაჭერილი დადგენილების პროექტი, რომელიც საქართველოში არსებული რუსეთის სამხედრო ბაზების უკანონოდ გამოცხადებას ითვალისწინებს. დეპუტატთა ერთსულოვნების მიუხედავად, მაინც რჩება შთაბეჭდილება, რომ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურები ერთმანეთთან კოორდინირების გარეშე მოქმედებენ.*

როდესაც ერთი კვირის წინათ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე რუსეთის სამხედრო ბაზების კანონგარეშედ გამოცხადების ინიციატივით გამოვიდა, ყველამ ჩათვალა, რომ ნინო ბურჯანაძემ ხელისუფლების საერთო აზრი გამოხატა.

გაგრძელება A3 გვერდზე



*საპარლამენტო უმრავლესობა საკომიტეტო განხილვის შემდეგ დათანხმდა რუსული ბაზების საკითხის დღის წესრიგში შეტანას.*

# ფეხბურთი გაგვიძვირდა

რა ღირს სტადიონზე ევროპის ჩემპიონის ხილვა?

მიხეილ აბაიშვილი

ზუსტად ორი კვირა რჩება საქართველოსა და საბერძნეთის ეროვნული ნაკრები გუნდების ოფიციალურ შესარჩევ მატჩამდე. უკვე ცნობილია, რომ ვისაც ამ თამაშზე მოხვედრა სურს, ქართული რეალობიდან გამომდინარე, მოუწევს, საკმაოდ სოლიდურ თანხას შეელიოს. ბილეთი 20-დან 50 ლარამდე ეღირება. ამ გარემოებამ ქართული ფეხბურთის ქომაგთა ლიგის უკმაყოფილება გამოიწვია. ლიგამ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობის მიმართ მიიღო მიმართვა, რომლის ტექსტსაც ქვემოთ გთავაზობთ.

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს**

**ბატონ მერაბ ჟორდანიას**

**ბატონო მერაბ, საქართველოს ეროვნული ნაკრების მიერ მსოფლიო ჩემპიონატის მიმდინარე შესარჩევ ციკლში წარმატებით ჩატარებულმა მატჩებმა არა მარტო ფეხბურთის**

გაგრძელება B5 გვერდზე





იხილეთ B3 გვერდზე

## ეკონომიკა

### 2005 წლის ბიუჯეტი 450 მილიონით გაიზრდება



საქართველოს მთავრობა პარლამენტს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ცვლილებების შესახებ პროექტს, სავარაუდოდ, 11 მარტს წარუდგენს. სახელმწიფო ბიუჯეტის კორექტირება ამჯერად, ისევე, როგორც გასულ წელს, ხარჯების ზრდის მიმართულებით ხდება.
A4

## სამართალი

### აკაკი ჩხაიძეს ძველი საქმე გაუხსენეს



პროკურატურა "საქართველოს რკინიგზით" დაინტერესდა და ფინანსური პოლიციის თბილისის ოპერატიულმა სამმართველომ ჩატარებული მოკვლევის შემდეგ, "საქართველოს რკინიგზის" კუთვნილი ქონების განიავების ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღძრა.
A2

იურიდიული ოფისი „გაპი"
და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.
A7

## ამინდი

| | 10/3 | 11/3 | 12/3 |
|---|---|---|---|
| თბილისი | 8 | 13 | 6 |
| ქუთაისი | 11 | 13 | 5 |
| ბათუმი | 8 | 10 | 5 |
| სოხუმი | 7 | 11 | 3 |
| ფოთი | 9 | 12 | 4 |
| თელავი | 7 | 12 | 2 |
| ზუგდიდი | 11 | 13 | 5 |
| გორი | 6 | 8 | 1 |
| ახმეტა | 7 | 11 | 3 |
| ჭიათურა | 8 | 10 | 3 |
| გაგრა | 7 | 9 | 1 |
| სამტრედია | 11 | 13 | 6 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8251 |
| ევრო | 2.4402 |
| გირვანქა სტერლ. | 3.5224 |
| რუბლი | 0.0662 |



| A | | B | |
|---|---|---|---|
| ამბები | A2 | რევიუ | B2 |
| პოლიტიკა | A3 | რევიუ | B3 |
| ეკონომიკა | A4 | სპორტი | B4 |
| უცხოეთი | A5 | სპორტი | B5 |
| საზოგადოება | A6 | ავტომობილი | B6 |
| სამართალი | A7 | სხვადასხვა | B7 |
| პოლიტიკა | A8 | სხვადასხვა | B8 |



# რუსი დეპუტატები "ნამდვილი ბლოკადით" იმუქრებიან

სოფო ბუკია

*რუსი პოლიტიკოსები გუშინ აქტიურად გამოეხმაურნენ საქართველოს პარლამენტის ინიციატივას საქართველოში განლაგებული რუსული ბაზების კანონგარეშედ ცნობასთან დაკავშირებით. "მოსკოვს ულტიმატუმის არ სჯერა," - აცხადებენ ისინი და საქართველოდან წამოსული "მუქარები" სასაცილოდ არ ჰყოფნით.*

რუსეთის სახელმწიფო დუმის სპიკერი ბორის გრიზლოვი საქართველოდან რუსული ბაზების გაყვანის საკითხში ორ ძირითად პრობლემას ხედავს.

**"ეს არის ბაზების გაყვანის ვადები და ის ფინანსური რესურსები, რომლებიც გამოეყოფა რუსეთს ჩვენი სამხედროების რუსეთის ტერიტორიაზე გადაყვანისთვის,"** - განაცხადა გრიზლოვმა და იმაზე მიანიშნა, რომ სხვა მხრივ, რუსეთი თანახმაა, საქართველოს ტერიტორია საკუთარი სამხედროებისგან გაათავისუფლოს.

ფედერაციის საბჭოს სპიკერი სერგეი მირონოვი მიიჩნევს, რომ ბაზების საკითხი სამართლებრივ ჩარჩოებს არ უნდა გასცდეს. **"თავის დროზე, საქართველომ და რუსეთმა გარკვეულ შეთანხმებას მიაღწიეს და ჩვენი ბაზების საქართველოდან გაყვანის საკითხი რუსეთის და საქართველოს ხელისუფლების იმ პირებმა უნდა გადაწყვიტონ, რომლებსაც ამ საკითხის მოწესრიგება დაევალათ,"** - აღნიშნა მირონოვმა. მან ასევე დასძინა, რომ საქართველოში არსებობენ გარკვეული ძალები, რომლებიც, პოლიტიკური კონიუნქტურის შესაბამისად, დროდადრო ბაზების თემის ინსპირირებას ახდენენ. **"ასეთი ძალები საქართველოს პარლამენტშიცაა,"** - წუხს მირონოვი.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ჩეჩნეთში გათავისუფლების მოძრაობამ ლიდერი დაკარგა – რა იქნება შემდეგ?

ხათუნა გაბიევი

*"ჩეჩნეთში მშვიდობისაკენ გზის" ერთობლივ დოკუმენტზე ხელმოწერიდან რამდენიმე დღეში იჩქერიის პრეზიდენტი ასლან მასხადოვი ტოლსტოი-იურტის დასახლებულ პუნქტში სპეცოპერაციის დროს ერთ-ერთი სახლის ბუნკერში იღუპება. მას კრემლი მაშინ წირავს, როცა მასხადოვი აცხადებს, რომ პუტინთან პირისპირ დიალოგის დამთავრებიდან 30 წუთში ჩეჩნეთის ომის დასრულება შეუძლია. ოფიციალურად ვრცელდება ინფორმაცია, რომ მასხადოვი სპეცოპერაციის დროს საკუთარი მცველის გაუფრთხილებლობამ დაღუპა, მაშინ, როდესაც რუსეთის ფედერალური ბიუროს სპეცდანიშნულების რაზმებს მხოლოდ მისი ცოცხლად აყვანა სურდა. რას მოუტანს როგორც დაპირისპირებულ მხარეებს, ასევე დანარჩენ საზოგადოებას ჩეჩნეთში თითქმის ერთადერთი ზომიერად წოდებული ბოევიკის სიკვდილი? დააჩქარებს მასხადოვის "ლიკვიდაცია" ჩეჩნეთში სამშვიდობო პროცესის დაწყებას, როგორც ამას რუსი ჩინოვნიკები მიიჩნევენ თუ პირიქით, ამ შემთხვევაში მხოლოდ დასავლელი ექსპერტების ვარაუდი გამართლდება, რაც ჩეჩნების კიდევ უფრო გააქტიურებას გულისხმობს?*

გაგრძელება A5 გვერდზე

# გელა ჩარკვიანი კანცელარიას უბრუნდება

**"ეს არის ჩემი მასწავლებელი, რომელიც ინგლისურის გარდა, მასწავლიდა ჟურნალისტიკას, სოციოლოგიას, პოლიტოლოგიას. ის ძალიან კვალიფიციური სპეციალისტია ყველა ამ სფეროში. ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ ეს ადამიანი სახელმწიფო სამსახურში იყოს,"** - მიხეილ სააკაშვილის მიერ წარმოთქმული ამ სიტყვებით გელა ჩარკვიანი პრეზიდენტის პრესსპიკერად დაინიშნა. ახალი პრესსპიკერი ჟურნალისტებს თავად პრეზიდენტმა წარუდგინა.

ჩარკვიანის პროფესიონალიზმთან ერთად, გუშინ მისი ასაკიც ხშირად მოიხსენიებოდა.

**"გელა ჩარკვიანის სახელმწიფო სამსახურში მოსვლა კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ საქართველოს ნებისმიერი ასაკის პროფესიონალები სჭირდება. ყველა ასაკის ადამიანი გამოსადეგია და დასაკარგი სპეციალისტები ჩვენ არ გვყავს,"** - აღნიშნა გუშინ პრეზიდენტმა.

ამიერიდან, პრეზიდენტის პოზიციის გახმაურება გელა ჩარკვიანს დაევალება, და როგორც სააკაშვილმა თავად აღნიშნა, **"ხშირ შემთხვევაში, ის ამას პრეზიდენტზე უკეთაც გააკეთებს."**

**"როცა გელა ჩარკვიანი ლაპარაკობს, მაშინ ლაპარაკობს სააკაშვილი,"** - განაცხადა პრეზიდენტმა.

თავად გელა ჩარკვიანის თქმით, შეთავაზება მან რამდენიმე დღის წინ მიიღო და შეეცდება, თავისი შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოიყენოს.

ჩარკვიანმა აღნიშნა, რომ იგი ჯერჯერობით კარგად არ იცნობს ამ სტრუქტურას და, შესაბამისად, ამ ეტაპზე კონკრეტულ განცხადებებს ვერ გააკეთებს.

პრეზიდენტის ყოფილი პრესსპიკერი ალანა გაგლოევა კი გელა ჩარკვიანის მოადგილის თანამდებობას დაიკავებს.

*24 საათი*

# სამხედროები და ჟურნალისტები მემორანდუმის გასაფორმებლად ემზადებიან

*შესაძლოა, გაფორმდეს მემორანდუმი, რომელიც ქართველ სამხედროებსა და მასმედიას შორის ურთიერთობებს დაარეგულირებს. ამ იდეის ინიციატორი თავდაცვის ეროვნული აკადემიაა. მემორანდუმის გაფორმება საბოლოოდ მაინც თავდაცვის სამინისტროს და უშიშროების საბჭოს კეთილ ნებაზე იქნება დამოკიდებული.*

ვერიკო თევზაძე

თავდაცვის ეროვნული აკადემიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ დღეს სამხედროებსა და სამხედრო საკითხებზე მომუშავე ჟურნალისტებს შორის ურთიერთობებში სერიოზული პრობლემები და ბარიერები არსებობს. მიზეზი ორგვარია: პირველი, ეს არის თავად მასმედიის არაკომპეტენტურობა, მეორე და მთავარი მიზეზი კი შემდეგში მდგომარეობს - ხსენებულ ურთიერთობებს, ძირითადად, პიროვნებები წარმართავენ, მას არანაირი დოკუმენტი არ არეგულირებს. შედეგიც ლოგიკურია: დაბრკოლებები, ბარიერები და გაუგებრობები.

გუშინ აკადემიის ხელმძღვანელობას მასმედიასთან მუშა შეხვედრა ჰქონდა. როგორც "24 საათს" აკადემიის შტაბის უფროსმა გიორგი ბლიაძემ განუცხადა, სავარაუდოდ, მარტის ბოლოსთვის დაგეგმილია ორდღიანი სემინარის ჩატარება. სამხედრო ექსპერტები ჟურნალისტებს მაქსიმალურ ინფორმაციას მიაწვდიან შეიარაღებული ძალების და სამხედრო ძალების რაობაზე.

სემინარზე განიხილება სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობები და ამ სფეროში არსებული პრობლემები. ნიმუშისათვის წარმოდგენილი იქნება მედიისა და სამხედროების ურთიერთობა ნატო-ს სტანდარტების შესაბამისად. ნატო-ს წევრი ქვეყნის წარმომადგენლები, თურქი კონსულტანტები, სპეციალურად ჟურნალისტებისათვის მოაწყობენ პრეზენტაციას, თუ როგორ არის ორგანიზებული თურქეთის შეიარაღებულ ძალებში სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობები.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა საკუთრივ ჟურნალისტების პრობლემებს. ერთობლივად შემუშავებული პროექტი თავდაცვის სამინისტროს და უშიშროების საბჭოს წარედგინება. თუ აღნიშნული უწყებები პროექტის ტექსტს მოიწონებენ, მემორანდუმი უპრობლემოდ გაფორმდება. პროექტის დაწუნების შემთხვევაში, ბევრი რამ დამოკიდებული იქნება მასმედიის პოზიციაზე, მის აქტიურობაზე.

დღეს სამხედრო საკითხებზე მომუშავე ჟურნალისტების უმრავლესობა პირად საუბრებში ძალოვანი უწყებების ჩაკეტილობაზე წუწუნებს. ისიც ფაქტია, რომ ზოგიერთი უწყების პრესსამსახურის წარმომადგენელი თავის ფუნქციად ჟურნალისტისთვის ბარიერის შექმნას მიიჩნევს.

ჩვენს შეკითხვაზე - საქმის კურსშია თუ არა თავდაცვის სამინისტრო მემორანდუმის იდეის შესახებ? - აკადემიის შტაბის უფროსმა ბლიაძემ უპასუხა, რომ ეს მისი პირადი ინიციატივაა და სამინისტრო ამის თაობაზე ინფორმირებული არ არის.

# მესამე კანონპროექტი

## თვითმმართველობაზე დებატები გრძელდება

პარლამენტში "თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" კანონში ცვლილებების მორიგი ვარიანტი გამოჩნდა. ამჯერად, "ახალ მემარჯვენეებთან" ერთად, უმრავლესობის მიერ შემუშავებულ წინადადებებს ოპონირებას "კონსერვატორების" კანონპროექტი გაუწევს.

გუშინ "კონსერვატორებმა" ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ამ პროექტის პრეზენტაცია გამართეს. თანაც, სხდომას რამდენიმე რაიონის საკრებულოების თავმჯდომარეებიც ესწრებოდნენ.

**"კონსერვატორების" საკანონმდებლო ინიციატივა საპარლამენტო უმრავლესობის მიერ მომზადებული კანონპროექტისგან ძირეულად განსხვავდება,"** - მიაჩნიათ "კონსერვატორებს" და საკუთარ მოსაზრებებს არგუმენტებით ამაგრებენ. როგორც პარლამენტარი კახა კუკავა აცხადებს, უმრავლესობის კანონპროექტით, მერები და გამგებლები საკრებულოებმა უნდა აირჩიონ. "კონსერვატორების" მიერ მომზადებული პროექტის მიხედვით კი კანდიდატებმა ეს თანამდებობები პირდაპირი არჩევნების გზით უნდა დაიკავონ.

**"პირდაპირი გზით არჩეული მერიც და გამგებელიც ხელს შეუწყობენ ქვეყანაში დამოუკიდებელი თვითმმართველობის ჩამოყალიბებას, რადგანაც ისინი ხელისუფლების გავლენისგან რეალურად დამოუკიდებლები იქნებიან,"** - მიაჩნია პარლამენტარს.

ამასთან, "კონსერვატორების" პროექტის თანახმად, მერი - ხუთი წლის, ხოლო საკრებულო კი ოთხი წლის ვადით აირჩევა. ქალაქის მთავრობის წევრებს საკრებულოს დასამტკიცებლად მერი წარუდგენს. თუკი საკრებულო მერის მიერ წარდგენილ კანდიდატურას ვერ დაამტკიცებს, ამ შემთხვევაში თანამდებობაზე, სამი თვის ვადით, მოვალეობის შემსრულებელი ინიშნება. ამ ვადის გასვლის შემდეგ კი ქალაქის მერმა საკრებულოს ახალი კანდიდატურა უნდა წარუდგინოს.

საგულისხმოა, რომ ამ კანონპროექტის თანახმად, საკრებულოების წევრები პროპორციული წესით აირჩევიან. როგორც კონსერვატორები აცხადებენ, პროპორციული წესით არჩეული საკრებულო უფრო დამოუკიდებელი იქნება და ცალკეული პირების მიმართ ხელისუფლების მხრიდან ლობირების მცდელობები გამოირიცხება.

"კონსერვატორებისთვის" მიუღებელია პრეზიდენტისა და რწმუნებულის უფლება, რომლის წყალობითაც, მათ თვითმმართველობის ორგანოს მიერ მიღებული აქტის გაუქმება შეუძლიათ.

და რაც მთავარია: "კონსერვატორების" განცხადებით, თუკი პროექტი კანონად იქცევა, ქვეყანაში ერთდონიანი თვითმმართველობა შემოვა, ანუ სოფელი, დაბა და ქალაქიც მსხვილ მუნიციპალიტეტში გაერთიანდებიან.

*24 საათი*

# ფოტო-რეპორტაჟები რადიო მწვანე ტალღის სტუდიიდან

რადიო მწვანე ტალღა თავისუფალი აზრის რადიო FM 107.4

რადიო-მოგზაურთა კლუბი „მწვანე ტალღაზე"
მოისმინეთ გადაცემაში „რადიო დილა"



ვენა - ევროპის კულტურის ცენტრი და კონტრასტების ქალაქი

წამყვანი: [illegible]

სტუმარი, რადიო ვიდეო: [illegible]

ანა კალანდარიშვილი: [illegible]

# პრივატიზაციამ ქუთაისში ტემპი აკრიფა

მაია მეცხვარიშვილი
*ქუთაისი*

ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან დეცენტრალიზაციასა და რამდენიმე უწყების ქუთაისში გადატანის თაობაზე დაწყებული საუბრებიც კი ინტერესის აღმძვრელი აღმოჩნდა რამდენიმე მსხვილი ბიზნეს-ჯგუფისთვის. "ნიკალა-ჯგუფმა", "პროკრედიტ-ბანკმა", "თი-ბი-სი ბანკმა" და სუპერმარკეტების ქსელის მფლობელმა კომპანია "პოპულიმ", ბოლო სამი თვის განმავლობაში, ქუთაისის ცენტრში განთავსებული რამდენიმე ამორტიზებული ობიექტი იყიდეს. სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების ქუთაისის სამმართველომ უკანასკნელ პერიოდში რამდენიმე აუქციონი გამართა, რომელზეც საკმაოდ სარფიანად ივაჭრა. მიმდინარე წლის ერთი კვარტლის შედეგებით, სამმართველომ წლიური გეგმის 70 პროცენტი შეასრულა, მარტის თვის მონაცემებით კი - ადგილობრივ ბიუჯეტში 320 ათასი ლარი შეიტანა.

ქუთაისის მიმდინარე წლის ბიუჯეტში პრივატიზაციით შესავსები თანხის ხვედრითი წილი 850 000 ლარით არის განსაზღვრული, თუმცა სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების ადგილობრივი სამმართველოს უფროსი სერგო ლექვინაძე, "24 საათთან" საუბარში, აცხადებს, რომ გეგმას 2-ჯერ გადააჭარბებს. ამას ხელს ქუთაისის ახალი მმართველის პათოსიც შეუწყობს, რომელიც მერიის ბალანსზე რიცხული ქონების მაქსიმალურ განკერძოებას გეგმავს.



ოფიცერთა სახლის შენობა დღეს.

**"ქუთაისში 30 წელია, არ ჩატარებულა ინვენტარიზაცია და, შესაბამისად, უცნობია, რეალურად რა ქონებას ფლობს ქალაქი,"** - აცხადებს ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელი ბესიკ გულორდავა "24 საათთან" საუბარში.

სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების ქუთაისის სამმართველოს უფროსის თქმით კი, ინვენტარიზაცია ქუთაისში 1998 წელს ჩატარდა. მის შედეგებზე დაყრდნობით, ქუთაისის ადგილობრივი ქონების ნუსხა ტექნიკური აღრიცხვის ბიუროში არსებობს. 2004 წლის იანვარში კი, მერის მოვალეობის მაშინდელი შემსრულებლის, გია გიორგაძის განკარგულებით, სპეციალური კომისია შეიქმნა, რომელსაც ხელახალი ინვენტარიზაცია და მონაცემთა ბაზის განახლება დაევალა.

**"მარტის ბოლოს კომისიას შედეგები უნდა დაედო, მაგრამ დღეს ამ კომისიის წევრები თანამდებობებზე აღარ არიან და ეს პროცესი შეჩერდა,"** - აცხადებს სერგო ლექვინაძე.

ქუთაისის მთავრობისთვის ადგილობრივი ქონების განკარგვის უფლების მოპოვება ყოველთვის რჩებოდა აქილევსის ქუსლად, რადგან ამ კუთხით ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებები საკანონმდებლო ვაკუუმშია მოქცეული.

ქუთაისის მთავრობამ სამი თვის წინ დაასრულა თავდაცვის სამინისტროსთან ათწლიანი დავა ქალაქის ცენტრში, წერეთლის ქ. N4-ში განთავსებული "ოფიცერთა სახლის" მფლობელობაზე. "ოფიცერთა სახლი" ორიოდე დღის წინ გამართულ აუქციონზე 129 500 დოლარად გაიყიდა.

**"ეს იყო დანგრეული შენობა და მისი საბალანსო ღირებულება 77 ათას დოლარს შეადგენდა, მაგრამ თითქმის 2-ჯერ მეტად გავყიდეთ. ბევრი ორგანიზაცია იყო დაინტერესებული ამ ობიექტის ყიდვით, მაგრამ აუქციონში მონაწილეობის უფლების მოსაპოვებლად დოკუმენტების წარმოდგენა დააგვიანეს და მხოლოდ ერთი ორგანიზაცია გამოვიდა მონაწილედ, რომელმაც ეს შენობა იყიდა. ეს გახლავთ სს საერთაშორისო კორპორაცია "აი სი არ"-ი, რომლის წარმომადგენელიც აუქციონზე იყო "თი-ბი-სი ბანკის" ქუთაისის ფილიალის მმართველი,"** - აცხადებს სერგო ლექვინაძე "24 საათთან" საუბარში.

სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების ქუთაისის სამმართველო რამდენიმე დღეში ახალ აუქციონს გამოაცხადებს, რომელიც აპრილის შუა რიცხვებში გაიმართება და ქუთაისის ცენტრში განთავსებული კიდევ რამდენიმე დანგრეული შენობა გაიყიდება.

ქუთაისის ახალი ხელისუფლება კი უახლოეს მომავალში მერიის ბალანსზე რიცხული პარკების, ბაღებისა და სკვერების გასხვისებასაც გეგმავს.

# განათლების მინისტრი კატეგორიულია

## სამედიცინო კოლეჯის მოსწავლეები უკან დახევას არ აპირებენ

*პარლამენტის შენობის წინ მიმდინარე სამედიცინო კოლეჯის მოსწავლეთა და მათი მშობლების საპროტესტო აქციამ გუშინ საკანონმდებლო ორგანოს სხდომათა დარბაზშიც "შეაღწია". აქციის მონაწილეთა მოთხოვნების კანონიერებასა და მართებულობაზე დეპუტატები თითქმის მთელი დღის განმავლობაში ბჭობდნენ. საღამოთი დებატებში განათლებისა და მეცნიერების მინისტრი კახა ლომაიაც ჩაერთო.*

გიორგი ასანიშვილი

სამედიცინო კოლეჯის მოსწავლეთა "ადვოკატობა" "მემარჯვენე ოპოზიციამ" აიღო თავის თავზე. დავით გამყრელიძე, მამუკა კაციტაძე, ფიქრია ჩიხრაძე და სხვები პარლამენტში მიწვეული მინისტრისგან დაჟინებით ითხოვდნენ, რომ "ბავშვების" კანონიერი მოთხოვნები დაკმაყოფილდეს და ისინი სამედიცინო უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდის ჩაბარების გარეშე ჩაირიცხონ.

"მემარჯვენე ოპოზიციას" მოკავშირეები საპარლამენტო უმრავლესობის შიგნითაც აღმოაჩნდა. მაგალითად, ხონის რაიონის მაჟორიტარმა დეპუტატმა აკაკი ბობოხიძემ კახა ლომაიას წინააღმდეგ მკვეთრად გაილაშქრა და მინისტრი ხელისუფლების პრესტიჟის შელახვაში დაადანაშაულა.

**"რეფორმები სხვა სფეროებშიც ჩატარდა, მაგრამ ამით ხელისუფლებას პრობლემები არ შექმნია. თქვენ კი ერთხელაც ვერ მოახერხეთ, რომ განათლების რეფორმაში ჩადებული ნაღმები პრეზიდენტისთვის აგერიდებინათ. ამით მიხეილ სააკაშვილს მძიმე მდგომარეობაში აყენებთ,"** - შეუტია საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა განათლების მინისტრს.

მის მიმართ გამოჩენილი აგრესია კახა ლომაიას სულაც არ გაჰკვრვებია, რადგან, მისივე თქმით, **"საპროტესტო აქციის მონაწილე ზოგიერთი მოსწავლის მშობელი პარლამენტარია".**

**"ნაღმზე აფეთქებული ან იჭრება, ან კვდება. პოლიტიკურ ომში თეთრი ხელთათმანებით არ იბრძვიან. თუ ერთი-ორი საფანტი მოხვდა ვინმეს, და მათ შორის მეც ვარ, ეს დიდი უბედურება არ არის, ბრძოლის დროს ასეთი რამეები ხდება,"** - იუმორით შეხვდა კრიტიკას განათლების მინისტრი.

საპარლამენტო უმრავლესობის უმეტესი ნაწილი და ოპოზიციის გარკვეული სეგმენტი ("რესპუბლიკელები") მას სრულ მხარდაჭერას აღუთქვამს.

**"სამედიცინო კოლეჯის მოსწავლეებზე არანაირი შეღავათი არ უნდა გავრცელდეს. თუ რეფორმებიდან უკან დაიხევთ, მაშინ ჩვენ განვახორციელებთ თქვენზე ზეწოლას,"** - "ემუქრება" მინისტრს დავით ბერძენიშვილი, გიგა ბოკერია კი საპროტესტო აქციის მხარდამჭერ კამპანიას "სამი ათას ხმაზე ნადირობას" უწოდებს.

აქციის მონაწილეთა მოთხოვნების დაკმაყოფილება ლომაიას შეუძლებლად მიაჩნია. სახელმწიფო კოლეჯებისა და მოსამზადებელი განყოფილებების არსებობას იგი "მანკიერ პრაქტიკად" ნათლავს და აცხადებს, რომ ყველა აბიტურიენტი თანაბარ მდგომარეობაში უნდა იმყოფებოდეს.

რაც შეეხება სამედიცინო კოლეჯის ირგვლივ შექმნილ მძიმე მდგომარეობას, მინისტრს ერთ-ერთ შესაძლო გამოსავლად მიაჩნია პარლამენტში "შობილი" ინიციატივა, რომლის თანახმადაც, კოლეჯის ადმინისტრაციამ ყველა სხვა ვალდებულება უნდა მოიხსნას და მთელი ძალისხმევა ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის მოსწავლეთა მოსამზადებლად მიმართოს.

**"სამედიცინო კოლეჯში ჩვენს სპეციალისტებსაც მივავლენთ, რომლებიც მოსწავლეებს ტრენინგებს მოუწყობენ და ქართულსა და მათემატიკაში ოთხთვიან სპეციალურ სწავლებას ჩაუტარებენ,"** - საპროტესტო აქციის მონაწილეებს ამ სახის დახმარებას ჰპირდება კახა ლომაია.

თუმცა, პარლამენტის შენობის წინ შეკრებილთ ასეთი კომპრომისები არ აკმაყოფილებთ. ისინი ბრძოლას საბოლოო გამარჯვებამდე აპირებენ.

# დღესასწაული ყვავილების, მუსიკის და გრიგალის თანხლებით

თამაზ ხარაიშვილი
*ოზურგეთიდან*

ახალმა ხელისუფლებამ ოზურგეთელ მანდილოსნებს 8 მარტი და გაზაფხულის შემოსვლა ორიგინალურად მიულოცა. ქალაქის ცენტრალურ, თეატრალურ მოედანზე მხარის რწმუნებული ჟანი კალანდაძე და ოზურგეთის გამგებელი ვალერი ჩიტაიშვილი სტუმრებთან, საქართველოს პარლამენტის წევრებთან დავით კირკიტაძესა და კობა ბექაურთან ერთად, გამვლელ-გამომვლელ ქალბატონებს პატარა ლამაზ თაიგულებს ჩუქნიდნენ და ასეთი ფორმით ულოცავდნენ ქალთა დღესასწაულს. ამ არაორდინარული ჟესტის შემდეგ, ანუ როცა ყვავილებიანი კალათა დაცარიელდა, სტუმარ-მასპინძელმა ოზურგეთის სახელმწიფო თეატრში გადაინაცვლა, სადაც ადგილობრივმა თვითმოქმედმა კოლექტივებმა და ინდივიდუალურმა შემსრულებლებმა საკონცერტო ნომრებით მიულოცეს ქალებს 8 მარტი და გაზაფხულის მობრძანება. კონცერტის შემდგომ მხარის და რაიონის ხელმძღვანელებმა, პარლამენტარებმა გვირგვინით შეამკეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში გმირულად დაღუპული ზაზა დამენიას საფლავი.

სადღესასწაულო პროგრამა ლანჩხუთში გაგრძელდა. მოვლენების ეპიცენტრი აქაც ქალაქის ცენტრალური მოედანი გახლდათ, სადაც ამ დღისათვის დედაქალაქიდან საგანგებოდ მოწვეული მომღერლები გვიან ღამემდე ატკბობდნენ აქაურთა სმენას.

მართალია, გუშინწინ გურიაში დღესასწაულისათვის შესაფერისი დარი იდგა, მაგრამ ტაროსმა მარტისთვის ჩვეული კაპრიზი აჩვენა, ღამით დასავლეთის ძლიერი ქარი ქროდა, გრიგალმა ქალაქ ოზურგეთს საგრძნობი ზიანი მიაყენა, რამდენიმე მრავალსართულიან სახლს სახურავი გადახადა, მწყობრიდან გამოიყვანა კომუნიკაციები.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** დეპუტატი ავთანდილ სილაგაძე და ონის მაჟორიტარი, "მემარჯვენე ოპოზიციის" წევრი დავით საგანელიძე რაჭაში სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებულ ადგილებში სპეციალური კომისიის გაგზავნას ითხოვენ.

სილაგაძის თქმით, ცაგერის რაიონი გადაუღებელი წვიმებისა და წყალდიდობის შედეგად უმძიმეს მდგომარეობაშია. ხელისუფლებამ უნდა მიიღოს გადაწყვეტილებები, რომელიც საგზაო დეპარტამენტს ოპერატიული მუშაობის საშუალებას მისცემს.

პარლამენტის თავმჯდომარემ მიმართა მთავრობის საპარლამენტო მდივანს გია ხუროშვილს, რათა მან პარლამენტის ამ მოთხოვნის თაობაზე ინფორმაცია პრემიერ-მინისტრს მიაწოდოს. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** რეზერვისტთა მომზადების პროცესი ოსიაურის, ძევერასა და საჩხერის სამხედრო ბაზებზე უახლოეს მომავალში განახლდება. ეროვნული გვარდიის დეპარტამენტში ზუსტ თარიღს ვერ აკონკრეტებენ, თუმცა აცხადებენ, რომ შესაბამის ბრძანებას დღე-დღეზე ელოდებიან. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკების პარლამენტები თანამშრომლობის გაღრმავებას გეგმავენ - განაცხადა ე.წ. სამხრეთ ოსეთის პარლამენტის ვიცე-სპიკერმა, კანონიერებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარემ ტარზან კოკოითმა. "აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტები - სერგეი ბაგაფში და ედუარდ კოკოითი ორ რესპუბლიკას შორის მჭიდრო თანამშრომლობის შესახებ შეთანხმდნენ. აფხაზებისა და ოსების ურთიერთობის გაღრმავებაში ოსი პარლამენტარები თავის წვლილს შეიტანენ," - აღნიშნა კოკოითმა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** 3 ივლისს თბილისში დსთ-ს ქვეყნების მთავრობების მეთაურთა სამიტი იგეგმება. ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა გუშინ განაცხადა. როგორც პრემიერმა აღნიშნა, სამიტის გამართვა 3 ივლისისთვის არის დაგეგმილი, თუმცა ეს თარიღი დსთ-ს ქვეყნების მეთაურებთან ჯერ კიდევ შესათანხმებელია. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში მოქმედი, რუსეთის სამშვიდობო ძალების სარდლის, გენერალ-ლეიტენანტ ალექსანდრ ევტეევის თხოვნით, დღეისათვის დაგეგმილი, ჭუბურხინჯის ოთხმხრივი შეხვედრა უკვე მეორედ გადაიდო.

შეხვედრის გადადების მიზეზად სამშვიდობო ძალების სარდლობა აფხაზური მხარის მიერ სოფელ ჭუბურხინჯიდან ე.წ. აფხაზი მებაჟეების არგაყვანას ასახელებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**მოსკოვი.** რუსი კომუნისტების ლიდერის გენადი ზიუგანოვის აზრით, საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის საკითხში აჩქარება მიუღებელია. "მე არ ვიჩქარებდი ბაზების გაყვანას, მით უმეტეს, რომ ისინი ამ უკიდურესად სახიფათო რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნების მხრივ გადამწყვეტ როლს ასრულებენ," - აცხადებს ზიუგანოვი. მისივე თქმით, საქართველო არასწორ პოლიტიკას ატარებს, რადგან ბაზების გაყვანის დაჩქარება არა მხოლოდ უღირსი საქციელი, არამედ სახიფათოცაა. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი**. 11-12 მარტს ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიის პლენარულ სხდომაზე საქართველოში სასამართლო რეფორმისა და სამხრეთ ოსეთის სტატუსის, იტალიაში მედიის თავისუფლების, ბოსნია და ჰერცეგოვინაში კონსტიტუციურ მდგომარეობასა და ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის უფლებამოსილების საკითხები განიხილება საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე კონსტანტინე ვარძელაშვილი ვენეციის კომისიას მოახსენებს მათი დელეგაციის საქართველოში ბოლო ვიზიტის შემდგომ სამხრეთ ოსეთის სტატუსთან დაკავშირებული მოვლენების განვითარების შესახებ. ვენეციის კომისია ასევე მიიღებს დასკვნას საქართველოში სასამართლო რეფორმასთან დაკავშირებული საკონსტიტუციო ცვლილებების ბოლო პროექტის შესახებ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა სერგეი ბაგაფშმა პარლამენტში პრეზიდენტის სრულუფლებიანი წარმომადგენლის მოვალეობის შემსრულებლად პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე ალექსანდრე ადლეიბა დანიშნა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** უკრაინა, პოლონეთი და გერმანია, ევროპაში ბუნებრივი აირის გაყიდვის მიზნით, სავაჭრო სახლს ქმნიან. ამის შესახებ ჟურნალისტებს უკრაინული სააქციო კომპანიის "ნეფტეგაზ უკრაინის" გამგეობის ხელმძღვანელმა ალექსეი ივჩენკომ აცნობა. მისი თქმით, უახლოეს ხანებში უკრაინას გერმანული დელეგაცია ეწვევა, რომელთანაც უკრაინული მხარე ამ საკითხს განიხილავს. **ინტერ-პრესი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი,. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# განვითარებას აფერხებს რუსეთი

პირველი გვერდიდან

**"საქართველოს წინააღმდეგ ძალის გამოყენების მუქარა, ამ ქვეყნიდან და მოლდოვადან სამხედრო ძალების გაყვანაზე უარის თქმა, სეპარატისტული ანკლავების ღია მხარდაჭერა, უკრაინაში საარჩევნო კამპანიის დროს, საზოგადოებრივი კონფრონტაციის გამწვავება, ვიქტორ იუშენკოს მოწამვლა - შავი ზღვის რეგიონში ვლადიმირ პუტინის პოლიტიკის უკანასკნელი არაადამიანური გამოვლინებებია. აშშ-ს პასუხი უნდა იყოს ამ ქვეყნებში დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობის გაორმაგება და მათი ევრო-ატლანტიკურ ინსტიტუტებთან მიერთება,"** - განაცხადა სენატში გამართულ მოსმენაზე სიტყვით გამოსვლისას "ჯეიმსთაუნის ფონდის" წარმომადგენელმა ვლადიმირ სოკორმა, რომელმაც არაერთხელ მოიხსენია საქართველო, როგორც შეერთებული შტატების მეგობარი და პარტნიორი ქვეყანა საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლაში: **"თბილისი და ბაქო, ანტიტერორისტულ კოალიციაში საკუთარ მონაწილეობას, მათი ეროვნული ინტერესების სინონიმად აღიქვამენ,"** - აღნიშნა მან.

ვლადიმირ სოკორს არც პანკისის ხეობა გამორჩენია, რომელზეც, უკვე დიდი ხანია, აქცენტს აკეთებს რუსეთის ხელისუფლება და ვითომდა იქ არსებული ტერორისტთა ბუდეების განადგურების მიზნით, პრევენციული დარტყმებით იმუქრება.

**"შეერთებული შტატების დახმარებით, საქართველომ 2002-2003 წლებში გაწმინდა პანკისის ხეობა და მას შემდეგ აკონტროლებს რეგიონს,"** - განაცხადა "ჯეიმსთაუნის ფონდის" ანალიტიკოსმა.

რაც შეეხება ქვეყნის უსაფრთხოებას, სოკორის ხედვით, შავი ზღვის რეგიონის ქვეყნები, რომელთა ორიენტირიც არის დასავლეთი, უსაფრთხოების კუთხით, რუსეთისა და მისი ადგილობრივი პროტეჟეებისგან წამოსული საფრთხის ფართო სპექტრს აწყდებიან. მიზანი კი ერთია - ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებისთვის ევროატლანტიკურ ინსტიტუტებში ინტეგრაციის ხელისშეშლა და რუსეთის გავლენის სფეროში მათი დაბრუნება.

საკითხის განხილვისას, დიდი აქცენტი გაკეთდა საქართველოში არსებულ "გაყინულ კონფლიქტებზე", რომელშიც ისევ და ისევ რუსეთი დომინირებს.

**"რუსეთს, რომელსაც შეუძლია გააღვივოს კონფლიქტები, დიდი დაინტერესება აქვს იმის, რომ კონფლიქტები მოუგვარებელი დარჩეს, რათა ზეწოლა მოახდინოს საქართველოზე, აზერბაიჯანზე, სომხეთსა და მოლდოვაზე, ხელი შეუშალოს მათ ევროატლანტიკურ ინტეგრაციას. რუსეთის პოლიტიკა გულისხმობს არა მხოლოდ კონფლიქტის გაყინვას, არამედ - მოლაპარაკებათა პროცესისაც, რომელშიც თავად დომინირებს,"** - აცხადებს სოკორი.

კომიტეტის სხდომაზე საქართველოში არსებულ კონფლიქტურ ვითარებებს გამოეხმაურა სახელმწიფო მდივნის მოადგილე ევროპისა და ევრაზიის საკითხებში ჯონ ტეფტი.

**"საქართველოში ჩვენ მხარს ვუჭერთ პრეზიდენტ სააკაშვილის მიზანს, გააერთიანოს ქვეყანა და ვამხნევებთ მას სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში არსებული კონფლიქტების მშვიდობიანად დარეგულირების გზაზე. ამასთან, განვაგრძობთ იმის მტკიცებას, რომ რუსეთმა უნდა შეასრულოს ეუთო-ს სამიტზე აღებული ვალდებულება და მოლდოვადან გაიყვანოს სამხედრო ძალები, ასევე დაადგინოს საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული ბაზების სტატუსი და ვადები,"** - აღნიშნა მან.

შავი ზღვის რეგიონს, "არა მხოლოდ იმედებს, არამედ შიშსაც" უკავშირებს გარდამავალი დემოკრატიების პროექტის პრეზიდენტი ბრიუს ჯექსონი, რისი მიზეზიც, მისი თქმით, "გაყინული კონფლიქტებია".

**"დნესტრისპირეთში, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, ტრანსნაციონალურმა დანაშაულებმა თავშესაფარი იპოვეს და იარაღის, ნარკოტიკული ნივთიერებების, ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის კერა წარმოქმნეს. ეს კრიმინალური დაჯგუფებები, რეგიონის მთავრობის დესტაბილიზებას ახდენენ, ემუქრებიან ევროპას და ბოლოს, შეერთებული შტატებისთვის საფრთხეს წარმოადგენენ, რადგან ამ უკანასკნელთ აქვთ შესაძლებლობა და სურვილიც, იარაღი და ტექნოლოგიები მიყიდონ ჩვენს მტრებს,"** - აღნიშნა ჯექსონმა კომიტეტში სიტყვით გამოსვლისას.

სხვა გამომსვლელების მსგავსად, გარდამავალი დემოკრატიების პროექტის პრეზიდენტი, შეფერხების მიზეზად რუსეთს ასახელებს, რომელიც მუდმივად უჭერს მხარს აფხაზ სეპარატისტებს და **"რომელმაც უარი თქვა, შეასრულოს საერთაშორისო ვალდებულებები და გაიყვანოს საქართველოდან სამხედრო ძალები."**

ამასთან, იგი რუსეთის საკითხს სამხრეთ ოსეთთან მიმართებაშიც შეეხო: **"გასული წლის ბოლოს რუსეთმა დაბლოკა წინადადება, რომლითაც ეუთო გააძლიერებდა სამშვიდობო მისიას სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე, რაც ეუთო-ს მისცემდა შესაძლებლობას, გაეკონტროლებინა როკის გვირაბი, რომლიდანაც ოსური უკანონო შეიარაღებული ფორმირებებისთვის იარაღის შემოტანა ხდება."**

რუსეთის მიერ სტამბულის შეთანხმებაზე უარის თქმაზე საკუთარი მოსაზრება გააჩნია ვლადიმირ სოკორს, რომელიც მიიჩნევს, რომ 2003 წლის შემდეგ ეუთო-ს არ ძალუძს ყურადღება მიაპყროს 1999 წლის გადაწყვეტილებას, რადგან რუსეთი ძალზე მარტივად ადებს ვეტოს ამ ორგანიზაციის წლიურ რეზოლუციებს.

**"რეალურად რომ ვიმსჯელოთ, სტამბულის აღნიშნული შეთანხმება მკვდარია. 2004 წლის შემდეგ, მოსკოვი ცდილობს დაამსხვრიოს ეუთო, ამ ორგანიზაციის ბიუჯეტის დაბლოკვის და რიგი მოქმედებების შეზღუდვის გზით. რუსეთს ეუთო-ს მოკვლა არ სურს, მაგრამ უნდა დააშინოს და შემდეგ, დასუსტებული ორგანიზაცია გამოიყენოს,"** - აცხადებს სოკორი და მიანიშნებს, რომ ახლა არის იმის დრო, რომ საქართველო და მოლდოვა ჩამოშორდეს ეუთოსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს და ეროვნულ სუვერენიტეტსა და საერთაშორისო კანონმდებლობაზე დაყრდნობით, მოიპოვოს გზა, რომელიც რუსეთს საკუთარი სამხედრო ძალების გაყვანას აიძულებს.

**"ბოლოს კი შეერთებულმა შტატებმა, ევრო-ატლანტიკურ ალიანსთან ერთად, ეს საკითხები რუსეთ-ამერიკის, ნატო-რუსეთისა და რუსეთ-ევროკავშირის დღის წესრიგში წინ უნდა წამოწიოს და რეგულარულად დასვას მანამ, სანამ მიღწეული არ იქნება სამართლიანი მიზნები,"** - მიუთითებს "ჯეიმსთაუნის ფონდის" მიმომხილველი.

ამერიკის შეერთებული შტატების სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი საქართველოსთვის კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხს შეეხო - საქართველო-რუსეთის საზღვარზე ეუთო-ს მონიტორინგის მისიის შეწყვეტას.

**"ჩვენ, ასევე, არ ვეთანხმებით რუსეთს, საქართველო-რუსეთის საზღვარზე ვროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის საზღვრის მონიტორინგის მისიის შეწყვეტის თაობაზე. ჩვენ გვჯერა, რომ აღნიშნულმა სადამკვირვებლო მისიამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საერთაშორისო ტერორისტების და ჩეჩენი "ბოევიკების" საქართველოსა და რუსეთში შესაძლო გადაადგილების შეჩერებაში,"** - აღნიშნა სახელმწიფო მდივნის მოადგილემ ევროპისა და ევრაზიის საკითხებში ჯონ ტეფტმა.

გარდამავალი დემოკრატიების პროექტის პრეზიდენტი ბრიუს ჯექსონი კი მიიჩნევს, რომ შეერთებულმა შტატებმა მეტი ენთუზიაზმი და სიმხნევე უნდა გამოიჩინოს იმ რეგიონების მიმართ, რომლებიც მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამენ მშვიდობისაკენ.

**"პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის სამშვიდობო ინიციატივას სამხრეთ ოსეთისათვის, არ გამოხმაურებია ბრიუსელი და ვაშინგტონი, რაც მოვალეობების უგულებელყოფას ნიშნავს,"** - აღნიშნა მან და მიანიშნა, რომ შეერთებული შტატები უნდა დარწმუნდეს, რომ საზღვრის მონიტორინგის შეწყვეტა არ შეუქმნის საფრთხეს საქართველოს დემოკრატიას.

**" მიუხედავად რუსეთის მცდელობისა, მოეხდინა სააკაშვილის მთავრობის დესტაბილიზება, საქართველოში დემოკრატია განვითარებას განაგრძობს და ეს იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ აიტანა ვარდების რევოლუციის თანამონაწილის, პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას ტრაგიკული გარდაცვალება,"** - განაცხადა ჯექსონმა.

**"საქართველოსა და უკრაინაში გასულ წელს მომხდარი პოლიტიკური ცვლილებები გამოხატავს ქვეყნებისა და ხალხების სურვილს, შექმნან დემოკრატიული საბაზრო ეკონომიკა. ჩვენ გავაგრძელებთ მათ დახმარებას კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლასა და მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრირებაში,"** -დასკვნის სახით აღნიშნა სახელმწიფო მდივნის მოადგილემ ევროპისა და ევრაზიის საკითხებში ჯონ ტეფტმა.

# რუსი დეპუტატები "ნამდვილი ბლოკადით" იმუქრებიან

პირველი გვერდიდან

**"თუ საქართველოს ხელისუფლება იმის გარანტიას მოგვცემს, რომ მის ტერიტორიაზე რუსულ ბაზებს სხვა რომელიმე ქვეყნის ბაზები არ ჩაანაცვლებენ, მაშინ ჩვენ, რუსეთის ხელისუფლება, შევძლებთ ამ საკითხს სხვაგვარად შევხედოთ,"** - განაცხადა რუსეთის სახელმწიფო დუმის დეპუტატმა, ფრაქცია "როდინას" ლიდერმა დმიტრი როგოზინმა. მისი თქმით, დროა საქართველოში არსებული რუსული ბაზების გაყვანის საკითხზე რაიმე არსებითი მოლაპარაკება შედგეს.

**"საქართველოსთვის რუსული ბაზები მის ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის არსებობასთანაა გაიგივებული, ხოლო რუსეთი საქართველოს სწრაფვას, ამ ბაზებისგან გათავისუფლდეს, არამეგობრულ დამოკიდებულებად აღიქვამს,"** - დასძენს როგოზინი.

ფედერაციის საბჭოს საერთაშორისო ურთიერთობათა კომიტეტის ხელმძღვანელი მიხაილ მარგელოვი მიიჩნევს, რომ **"საქართველოს ბოლომდე არა აქვს გაცნობიერებული, თუ როგორ ხდება რეგულარული სამხედრო ნაწილების დისლოკაციის ადგილის შეცვლა."** სენატორმა ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ **"საქართველო რატომღაც ცდილობს, რუსეთს საკუთარი პირობები ძლიერის პოზიციიდან უკარნახოს."**

**"რუსეთს არაფერი სჭირს საიმისო, რომ ღია შანტაჟის წინაშე უკან დაიხიოს. რუსეთმა არ უნდა დაიხიოს უკან იმ პირობებშიც კი, როცა საქართველოს მუქარები ნატო-სთან მეგობრობით არის გამყარებული,"** - მიიჩნევს მარგელოვი.

ჩვეულ ამპლუაში იყო გუშინ "ლდპრ"-ს ლიდერი ვლადიმირ ჟირინოვსკი, რომელმაც საკმაოდ "საინტერესო" განცხადება გააკეთა: **"რისი იმედი გაქვთ? იცით, რას იზამენ ჩვენი სამხედროები? მოაწყობენ აჯანყებას, ყელს გამოჭრიან თქვენს ხელისუფლებას და მერე რაც გინდა, ის მოითხოვეთ... რა ხდება მანდ კავკასიაში? სულ გაგიჟდით?"**

დეპუტატ ვიქტორ ალქსნისის აზრით, რუსეთის დაშანტაჟება და რუსი სამხედროებისთვის ბლოკადის გამოცხადება საქართველოს ბუმერანგივით დაუბრუნდება. **"ჩვენ შეგიწყვეტთ გაზს, ელექტროენერგიას - აი, ეს იქნება ნამდვილი ბლოკადა,"** - აცხადებს ალქსნისი.

მოსკოვს რომ ულტიმატუმების არ სჯერა, ამას რუსი დეპუტატებისა და სენატორების მსგავსად, რუსეთის თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის ხელმძღვანელი ვიაჩესლავ სედოვიც ადასტურებს. **"საქართველოდან რუსული ბაზების გაყვანის საკითხს სპეციალურად ამ მიზნით შექმნილი ორმხრივი კომისია სწავლობს. რაც შეეხება საქართველოს პარლამენტის ინიციატივას, უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთთან ულტიმატუმების ენით საუბარი ნამდვილად შეუძლებელია,"** - აცხადებს სედოვი, რომელმაც გუშინ რუსეთის თავდაცვის უწყების ოფიციალური პოზიცია გამოხატა.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ, რუსეთის ბაზებთან დაკავშირებით, ოფიციალური კომენტარი გუშინ საღამოს გააკეთა. **"ამჟამად მიმდინარეობს აქტიური მზადება მოლაპარაკებებისთვის. უახლოეს მომავალში რუსეთის მხარე საქართველოს საკუთარ წინადადებებს გადასცემს, სადაც აღნიშნული პრობლემის მოგვარების გზები იქნება ასახული. დიდი იმედი გვაქვს, რომ დაგეგმილი რუსულ-ქართული მოლაპარაკებების პროცესში მიღწეული იქნება ორივე მხარისთვის მისაღები შეთანხმება საქართველოში განლაგებულ რუსეთის სამხედრო ბაზებთან დაკავშირებით,"** - აღნიშნულია რუსეთის საგარეო უწყების მიერ გავრცელებულ განცხადებაში. რუსეთის საგარეო უწყებაში მიაჩნიათ, რომ დაგეგმილი მოლაპარაკებების ფონზე სამხედრო ბაზების საკითხის საკანონმდებლო ორგანოში განხილვა კონტრპროდუქტიული იქნება.

# ოკუპაციის დასასრულის დასაწყისი

პირველი გვერდიდან

ასეთ კონტექსტში უკვე ბუნებრივად წარმოჩნდა ისიც, რომ თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტმა, უმრავლესობის ერთ-ერთ ლიდერ გიგა ბოკერიასთან ერთად, დროის მცირე მონაკვეთში სათანადო დადგენილების პროექტი მოამზადა. ლოგიკის ჯაჭვიც სწორედ აქ წყდება. სამშაბათს, ჟურნალისტებთან საუბარში, პრეზიდენტმა სააკაშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ საკითხში აჩქარება დაუშვებელია და რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის თაობაზე მოლაპარაკებებისთვის ორი ქვეყნის დიპლომატიურ უწყებებს დრო უნდა მიეცეთ.

პრეზიდენტის ამ განცხადების შემდეგ პარლამენტის სპიკერიც აღარ იყო ისეთი კატეგორიული. გუშინ მან გაოცებით შენიშნა, რომ მიმდინარე კვირის პლენარული სხდომების დღის წესრიგში საკითხის ჩასმა მისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, რუსულ მხარესთან არსებობს შეთანხმება იმის შესახებ, რომ ოფიციალური მოსკოვი, თავის სამხედრო ბაზებთან დაკავშირებით, 2005 წლის 1 მაისამდე კონკრეტულ წინადადებებს წარმოადგენს.

**"დადგენილების პროექტი საპარლამენტო კომიტეტებში დეტალურად განვიხილოთ და მხოლოდ ამის შემდეგ მივიღოთ გადაწყვეტილება... რუსეთის მხარეს კიდევ ერთი შანსი უნდა მივცეთ,"** - შესთავაზა პარლამენტარებს გუშინ ნინო ბურჯანაძემ.

მოთხოვნა რუსეთისთვის თვენახევრიანი ვადის მიცემის შესახებ ცოტა გაუგებრადაც კი გამოიყურებოდა, რადგან დადგენილების პროექტში ისედაც იყო გათვალისწინებული, რომ რუსული სამხედრო ბაზების უკანონოდ გამოცხადება მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდებოდა, თუ შეთანხმების მიღწევა რუსეთის მხარესთან 2005 წლის 1 მაისამდე ვერ მოხერხდებოდა.

გარდა ამისა, ვიცე-სპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმა ისიც "გაიხსენა", რომ ორშაბათს გამართულ პარლამენტის ბიუროს სხდომას, რომელზეც პლენარული სხდომების დღის წესრიგში დადგენილების პროექტის შეტანა გადაწყდა, პრეზიდენტისა და მთავრობის საპარლამენტო მდივნებიც ესწრებოდნენ და, ამდენად, ზედმეტი იყო იმაზე საუბარი, თითქოს, პარლამენტში მომზადებული დოკუმენტი აღმასრულებელი ხელისუფლებისთვის სიურპრიზი აღმოჩნდა.

დადგენილების პროექტის მიღების თუნდაც დროებით შეჩერების განზრახვამ საპარლამენტო უმრავლესობის ნაწილში უკმაყოფილება გამოიწვია.

**"თავს შეურაცხყოფილად ვიგრძნობ, თუ დღის წესრიგიდან საკითხს უაპელაციოდ ამოვიღებთ,"** - აცხადებდა კოტე გაბაშვილი.

**"ჩემთვისაც და მოსახლეობისთვისაც ძნელი გასაგები იქნება, რატომ უნდა გადაიდოს საკითხის განხილვა,"** - გაოცებული იყო ზურაბ ჯგუბურია.

უმრავლესობის პროტესტს ოპოზიციამაც აუბა მხარი. **"გაუგებარი ხდება, თუ რატომ წამოიწყო ხელისუფლების მხარდამჭერმა გუნდმა ეს კამპანია,"** - ცეცხლზე ნავთი დაასხა დავით ბერძენიშვილმა.

ასეთ გართულებულ სიტუაციაში სასწრაფოდ ჩატარდა საპარლამენტო უმრავლესობის დახურული სხდომა, რომელზეც გადაწყდა, რომ რუსეთის სამხედრო ბაზების შესახებ დადგენილების პროექტს მწვანე შუქი ანთებოდა. ამიტომ, ორი კომიტეტის ზემოთ ნახსენებ გაერთიანებულ სხდომაზე უკვე სრული იდილია სუფევდა. ერთადერთი ცვლილება, რომელიც დოკუმენტში შევიდა, ის იყო, რომ შეიცვალა "ულტიმატუმის ამოწურვის" თარიღი: დიპლომატიურ უწყებებს, წარმატებული მოლაპარაკებებისთვის, 1 მაისის ნაცვლად, დრო 15 მაისამდე მიეცათ.

პარლამენტარები დარწმუნებულები არიან, რომ დოკუმენტის მიღებას რუსეთის სახელმწიფო სათათბიროსა და სამხედრო ისტებლიშმენტის მხრიდან უმწვავესი რეაქცია მოჰყვება. დეპუტატები არც იმას გამორიცხავენ, რომ მოსკოვი საქართველოს "გადასარწმუნებლად" ენერგეტიკულ ბერკეტებს გამოიყენებს და ტარიფების გაზრდას გადაწყვეტს.

მოვლენების ასეთი სცენარით განვითარების შემთხვევაში, კოტე გაბაშვილის აზრით, საქართველომ თავისი კოზირი უნდა გაათამაშოს.

**"2001 წლის მონაცემებით, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ რუსეთის სამხედრო ბაზების დავალიანება 250-300 მილიონ დოლარს შეადგენს. ამიტომ, თუ რუსეთი ჩვენს დაჩოქებას მოინდომებს, ეს თანხა სახელმწიფო ვალის რანგში უნდა ავიყვანოთ და ამით ენერგოზეწოლა გავანეიტრალოთ,"** - აცხადებს საგარეო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე.

გუშინდელი საკომიტეტო განხილვის დროს ოპოზიცია შეეცადა, რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანისთვის სამშვიდობო ძალების გაყვანის საკითხიც მიება და დადგენილების პროექტი ამ სახით დამდგარიყო კენჭისყრაზე. თუმცა, საპარლამენტო უმრავლესობის წევრები დოკუმენტის კიდევ უფრო გამძაფრებას მოერიდნენ და ამ ეტაპზე სამხედრო ბაზების საკითხზე ფოკუსირება ჩათვალეს მიზანშეწონილად.

"საქართველოს ტერიტორიაზე არსებული რუსეთის ფედერაციის სამხედრო ბაზების შესახებ" დადგენილების პროექტს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე დღეს საღამოს ან ხვალ დილით ეყრება კენჭი.

# სოხუმში ურთიერთობები იძაბება

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტის სერგეი ბაგაფშის დღეისათვის დაგეგმილი ვიზიტი მოსკოვში უახლოესი მომავლისთვის გადაიდო. ამის მიზეზად აფხაზეთში შიდაპოლიტიკური ვითარების გამწვავება სახელდება. პრეზიდენტ ბაგაფშის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ვალერი არშბას ინფორმაციით, სერგეი ბაგაფში აფხაზეთის უხუცესებს შეხვდება და მათთან აფხაზეთში შექმნილ ვითარებას და არსებული პრობლემების მოგვარების პერსპექტივებს განიხილავს. სოხუმის სახელისუფლებო წრეებთან დაახლოებული წყაროს მტკიცებით, ბაგაფშის მოსკოვში ვიზიტის გადადება, მის მიერ გატარებული საკადრო პოლიტიკის გამო, აფხაზეთში ვითარების გამწვავებას უკავშირდება. კერძოდ, პრეზიდენტის საკადრო გადაწყვეტილებებით უკმაყოფილონი არიან ვიცე-პრეზიდენტი რაულ ხაჯიმბა და ახლად შექმნილი "სახალხო ფორუმი," რომელიც 15 პოლიტიკურ ორგანიზაციას აერთიანებს.

*ინტერ-პრესი*

საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA
საუბრობთ საზღვარგარეთ?
თუ თქვენ სარგებლობთ
საერთაშორისო კოდით 8-10
მაშინ თქვენ გელით სიურპრიზი...
საქართველოს ტელეკომი აწყობს ყოველთვიურ კონკურსს
"თვის ნომინანტები" და გამოავლენს ყველაზე აქტიურ და ერთგულ მომხმარებლებს.
გამარჯვებულები ყოველთვიურად დაჯილდოვდებიან უფასო სალაპარაკო დროით და სპეციალური პრიზებით.
ესაუბრეთ მსოფლიოს.
გადაიხადეთ დროულად.
დაელოდეთ ჩვენს ზარს და, რაც მთავარია, უამრავ სიურპრიზს!
რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 44 18 10 www.telecom.ge

## შპს "საქაერონავიგაცია"
### აცხადებს ტენდერს საწარმოს თანამშრომელთა პლასტიკური ბარათებით მომსახურებაზე

ტენდერის არსს წარმოადგენს საზოგადოების თანამშრომელთა პლასტიკური ბართებით მომსახურება. ამ მიზნით შპს "საქაერონავიგაცია" იღებს სატენტერო განაცხადებს ხელშეკრულებების გაფორმების უფლების მოსაპოვებლად.

ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით მოქმედ საბანკო დაწესებულებას, რომლსაც გააჩნია სათანადო გამოცდილება მსგავის ტიპის მომსახურების სფეროში.

სატენდერო წინადადებები წარმოდგენილი უნდა იქნას არაუგვიანეს 2005 წლის 16 მარტის 17:00 სთ-სა მისამართზე: ქ. თბილისი, აეროპორტი, შპს "საქაერონავიგაცია"

**მონაწილეთა სატენდერო წინადადებების შეფასებისას გათვალისწინებული იქნება:**

1. ბართების დამზადების პირობები;
2. ბარათების მოქმედების ვადა;
3. ბართების ვადის გაგრძელების პირობები;
4. მომსახურე ბანკის ფილიალების ქსელის განაწილების სქემა;
5. მომსახურე და ალიანსი ბანკების ბანკომატების ქსელის განაწილების სქემა;
6. თანხის განაღდების საპროცენტო განაკვეთი;
7. საპროცენტო განაკვეთი დადებით ნაშთზე;
8. ოვერდრაფტებით სარგებლობის პირობები;
9. თანხის გადახარჯვის საპროცენტო განაკვეთი;

პრეტენდენტები სრულად უნდა იყვნენ პასუხისმგებლები, ხოლო შპს "საქაერონავიგაცია" არ იქნება პასუხისმგებელი ნებისმიერ და ყველა იმ ხარჯზე, რომელიც წარმოიქმნება სატენდერო დოკუმენტების შედგენასა და წარდგენასთან დაკავშირებით, ან ნებისმიერ სხვა ხარჯზე, რომელიც წარმოიქმნება სავარაუდო გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებამდე.

ტენდერის ორგანიზატორები წარმატებას უსურვებენ მის ყველა მონაწილეს და გამოთქვამენ რწმენას, რომ ამ კონკრეტულ ტენდერში რომელიმე მათგანის წარმატება-წარუმატებლობის მიუხედავად, ამ ტენდერში ერთობლივი მუშაობის დროს დამყარებული საქმიანი კონტაქტები იქნება სხვა პროექტებში, სხვა ტენდერებში მომავალი თანამშრომლობის საწინდარი.

**ყველა მსურველს შეუძლია დამატებითი ინფორმაცია მიიღოს შემდეგ მისამართზე:**

**ნიკოლოზ ღონიაშვილი**
**ტელ: 94 70 47**
**ფაქსი: 94 76 67**
**ელ-ფოსტა: nika@airnav.com.ge**

# ენერგოკრიზისი მწვავდება

*გაზაფხულის დადგომას საქართველოს ენერგოსექტორისთვის ტრადიციული შვება არ მოუტანია - პირიქითაც კი: წყლის სიმცირე ჰესებზე, ენგურჰესის მოსალოდნელი გაჩერება, ავარია გადამცემ ხაზ "კავკასიონზე" და მცირე ავარია გადამცემ ხაზ "ალავერდზე", პარალელურად კი - რუსეთთან მოსალოდნელი პოლიტიკური გართულებები, რისი ნიშნებიც უკვე გამოჩნდა გუშინ რუსეთის დუმაში გაკეთებული განცხადებებისა და საქართველოს პარლამენტის მიერ მისაღები გადაწყვეტილების ფონზე - ყველაფერი ეს საქართველოში საკმაოდ მძიმე ენერგეტიკულ ფონს ქმნის.*

თამარ ივანიძე

**"მე არ მაინტერესებს და არ ვაპირებ, ჟირინოვსკის მოსაზრებებს კომენტარები გავუკეთო,"** - განაცხადა გუშინ ჟურნალისტებთან საუბრისას საქართველოს პრემიერმა ზურაბ ნოღაიდელმა და აღნიშნა, რომ საქართველოს ენერგომომარაგების საკითხი ჟირინოვსკის საქმე არ არის.

თუმცა, მიუხედავად იმისა, გამოიყენებს თუ არა და რა ფორმით გამოიყენებს რუსეთი დღეს უკვე მის ხელთ არსებულ ენერგეტიკულ ბერკეტებს საქართველოს მხრიდან სამხედრო ბაზების გაყვანაზე საპასუხოდ, ფაქტია, რომ ქვეყნის ენერგომომარაგება დღეს, ასეთი პოლიტიკური შინაარსის სანქციების გარეშეც, სერიოზული შეფერხებებით ხორციელდება.

ენერგოკრიზისი გუშინ უკვე დედაქალაქსაც სერიოზულად შეეხო: თბილისს სრული ელექტრომომარაგებისთვის 30 მეგავატი სიმძლავრე აკლია, ამის გამო, თბილისში 2-3 საათიანი მცოცავი გრაფიკია დაწესებული..

9 მარტს საქართველო-სომხეთის საზღვრისპირა ტერიტორიაზე ძლიერი ქარის გამო ავარიულად გამოირთო "ალავერდის" ელექტროგადამცემი ხაზიც, რომლის მეშვეობითაც კომპანია "თელასი" სომხეთიდან დენის იმპორტს ახორციელებს. შედეგად, დედაქალაქის მნიშვნელოვანი ნაწილის ენერგომომარაგება შეიზღუდა. თუმცა, მალე მოხერხდა ხაზის აღდგენა და იმპორტი კვლავ განახლდა. ამჟამად სომხეთიდან 120 მეგავატი ელექტროენერგია შემოდის.

ხელისუფლება ამბობს, რომ 14-15 მარტისათვის "თბილსრესის" მე-3 ენერგობლოკის ჩართვა იგეგმება. როგორც სათბობ-ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა, მე-3 ენერგობლოკის ჩართვა დამატებით 100 მეგავატ ელექტროენერგიას მოგვცემს. ნიკა გილაურის თქმით, "კავკასიონის" მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზის დაზიანებით გამოწვეული კრიზისის დასაძლევად მაქსიმალურად ხდება ენგურჰესის წყლის გამოყენება. დაწყებულია ასევე მუშაობა აზერბაიჯანიდან და რუსეთიდან ე.წ. 'სალხინოს" ხაზით ელექტროენერგიის იმპორტის განსახორციელებლად.

თუმცა, რამდენად გამოასწორებს საქართველოს ხელისუფლების ქმედებები ქვეყნის ენერგეტიკულ მდგომარეობას უახლოეს პერიოდში, ძნელი სათქმელია. მით უმეტეს, რომ ენგურჰესზე წყლის დონე უკვე, რეაბილიტაციის დროის მოახლოებაზეც რომ არაფერი ვთქვათ, კრიტიკულ ნიშნულს უახლოვდება.

## მოკლედ

### "აირზენას" დემპინგური ფასების დაწესებაში ადანაშაულებენ

ავიაკომპანია "საქართველოს ნაციონალური ავიახაზები" ავიაკომპანია "აირზენას" ავიაბაზარზე დემპინგური ფასების დაწესებაში ადანაშაულებს. "საქართველოს ნაციონალური ავიახაზების" პრეზიდენტის გიორგი კოდუას განმარტებით, "აირზენამ" დაარღვია ოთხ ავიაკომპანიას - "სიბირს", "აეროფლოტს", "საქართველოს ნაციონალური ავიახაზებს" და "აირზენას" შორის მიღწეული შეთანხმება და თბილისი-მოსკოვის რეისზე ავიაბილეთის ღირებულებად 90 აშშ დოლარი დააწესა. მისივე თქმით, შეთანხმების მიხედვით, აღნიშნულ მიმართულებაზე ავიაბილეთის მინიმალური ფასი 150 აშშ დოლარი უნდა ყოფილიყო. გიორგი კოდუას ინფორმაციით, "საქართველოს ნაციონალურმა ავიახაზებმა" "აირზენას" აღნიშნული ქმედების შესახებ საქმის კურსში ჩააყენა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო და საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაცია, თუმცა მათ ამ ფაქტთან დაკავშირებით რეაგირება, ჯერჯერობით, არ მოუხდენიათ. **პრაიმ-ნიუსი**

### თბილისში სამორინეს გახსნის უფლების მოპოვება 5 მილიონი ლარი ეღირება

თბილისში სამორინეების გახსნის უფლების მოპოვება 5 მილიონი ლარი ეღირება. დღეს პარლამენტის პლენარულმა სხდომამ განიხილა კანონპროექტი "სალიცენზიო მოსაკრებლის შესახებ" კანონში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ და გაიზიარა პარლამენტარ ზაზა მალანიას ინიციატივა, რომელიც აღნიშნული სალიცენზიო მოსაკრებლის 3-დან 5 მილიონ ლარამდე გაზრდას ითვალისწინებს.

პარლამენტი ბათუმში სამორინეს გახსნისთვის სალიცენზიო მოსაკრებლის 500 ათასიდან მილიონ ლარამდე გაზრდასაც მოითხოვს, თუმცა ბათუმთან დაკავშირებით აღმასრულებელ ხელისუფლებას კანონმდებლებისგან განსხვავებული პოზიცია აქვს. როგორც მთავრობის საპარლამენტო მდივანმა გია ხუროშვილმა განაცხადა, მთავრობა ბათუმის გეოგრაფიული მდებარეობიდან და მისი პერსპექტივებიდან გამომდინარე მიიჩნევს, რომ ამ ქალაქში სამორინეების გახსნისთვის ხელსაყრელი პირობები უნდა იყოს შექმნილი. ამიტომ, აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს მიზანშეწონილად მიაჩნიათ, ბათუმში სამორინეს გახსნისთვის სალიცენზიო მოსაკრებელი 500 ათასი ლარით განისაზღვროს. **ინტერ-პრესი**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** გუშინ საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნულმა კომისიამ და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციამ თბილისში რეგისტრირებული სააქციო საზოგადოებებისთვის სემინარი ჩაატარა. როგორც ფასიანი ქაღალდების კომისიის თავმჯდომარემ მიხეილ ჯიბუტმა განაცხადა, სემინარზე სააქციო საზოგადოებების წარმომადგენლებმა კომისიისთვის წარსადგენი ფინანსური ანგარიშების შედგენა შეისწავლეს. მისივე განმარტებით, სააქციო საზოგადოებებმა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით შედგენილი 2004 წლის ფინანსური ანგარიშები ფასიანი ქაღალდების ეროვნულ კომისიას პირველ აპრილამდე უნდა წარუდგინონ. საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია და საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია ანალოგიურ სემინარებს მარტში ბათუმში, ქუთაისსა და თელავშიც ჩაატარებს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ სახაზინო ვალდებულებების მეხუთე აუქციონზე 1,309 მლნ ლარის ღირებულების 364-დღიანი სახაზინო ვალდებულებები გაიყიდა. როგორც ეროვნული ბანკიდან გახდა ცნობილი, 3,808 ლარის ღირებულების 38084 ცალ სახაზინო ვალდებულების ყიდვაზე აუქციონში შვიდი კომერციული ბანკის მიერ წარმოდგენილმა 45-მა განაცხადმა მიიღო მონაწილეობა, თუმცა აუქციონზე მხოლოდ 15 კონკურენტული და ექვსი არაკონკურენტული განაცხადი დაკმაყოფილდა. სულ, აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იყო 1,5 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ვალდებულებები. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "მემარჯვენე ოპოზიცია" პარლამენტისგან სიგარეტით გარევაჭრობის აკრძალვის შესახებ მთავრობის გადაწყვეტილების მოქმედების შეჩერებას და ამისთვის ფრაქციის მიერ მიღებული სპეციალური დადგენილების მიღებას ითხოვს. როგორც გუშინ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე "მემარჯვენე ოპოზიციის" წარმომადგენელმა ზურაბ ტყემალაძემ განაცხადა, დადგენილების პროექტში მითითებულია, რომ ჯანმრთელობის დაცვის, სოფლის მეურნეობის და ეკონომიკის სამინისტროების ერთობლივი გადაწყვეტილება "მომხმარებელთა ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველსაყოფად ვაჭრობის მეთოდების დაშვების წესების შესახებ" "თამბაქოს ნაწარმით ვაჭრობის შესახებ" კანონის ამოქმედებამდე უნდა შეჩერდეს. დადგენილებაში ასევე მითითებულია, რომ პარლამენტმა "თამბაქოს ნაწარმით ვაჭრობის შესახებ" კანონში ცვლილებები უნდა შეიტანოს, რადგანაც ეს კანონი სქემატურად თამბაქოს ნაწარმით მანიპულაციასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს არეგულირებს. **ინტერ-პრესი**

### კონკურსი ტელეჟურნალისტებისთვის

ასოციაცია BLACK SEA PRESS-ი აცხადებს კონკურსს ფილმის შესაქმნელად თემაზე "ინფორმაციის თავისუფლება - გზა ჭეშმარიტი დემოკრატიისკენ".

ფილმის ტრანსლირება, რომლის სავარაუდო ხანგრძლივობა 5-7 წუთია, იგეგმება სომეხი, აზერბაიჯანელი და ქართველი ჟურნალისტების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებისა და პოლიტიკოსების ტელეკონფერენციის დროს. ფილმი რუსულ ენაზე უნდა იყოს წარმოდგენილი.

პროექტს ახორციელებენ ერევნის პრეს-კლუბი, აზერბაიჯანის ჟურნალისტთა გაერთიანება "ენი ნესილი" და ასოციაცია BLACK SEA PRESS-ი (საქართველო) ფონდ "ევრაზიის" სამხრეთ კავკასიაში თანამშრომლობის პროგრამის მხარდაჭერით. პროექტს ფინანსურად ურუნველყოფს აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID).

განაცხადში დაფიქსირებული უნდა იყოს იდეის აღწერა და მისი რეალიზაციის ტექნიკური საშუალებები. განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 2005 წლის 20 მარტი. სამუშაოს ანაზღაურება - შეთანხმებით.

**განაცხადები (რუსულ ენაზე) გთხოვთ გამოაგზავნოთ მისამართზე:**
**lenageoin@mail.ru ან ფაქსით - 93-13-02.**

დაწვრილებითი ინფორმაციისთვის შეიძლება მიმართოთ ასოციაცია BLACK SEA PRESS-ს ტელეფონებზე: 93-51-20; 93-14-10. კოორდინატორი - ლელა ირემაშვილი.

# 2005 წლის ბიუჯეტი 450 მილიონით გაიზრდება

*საქართველოს მთავრობა პარლამენტს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ცვლილებების შესახებ პროექტს, სავარაუდოდ, 11 მარტს წარუდგენს. სახელმწიფო ბიუჯეტის კორექტირება ამჯერად, ისევე, როგორც გასულ წელს, ხარჯების ზრდის მიმართულებით ხდება. ზრდის მთავარი მიზეზი წელს პრივატიზაციის დაჩქარებული ტემპით განხორციელებაა.*

თამარ ხორბალაძე

ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა გუშინ, მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ, სახელმწიფო კანცელარიაში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა. მისი ინფორმაციით, ბიუჯეტი დაახლოებით 450 მილიონი ლარით იზრდება. ეს არის, ძირითადად, ქვეყანაში მიმდინარე პრივატიზაციიდან მიღებული თანხები. თუმცა, არის ზრდა საგადასახადო და არასაგადასახადო შემოსავლებისა და გრანტების ნაწილში.

ზურაბ ნოღაიდელის თქმით, ამ თანხიდან განათლების რეფორმას 17,7 მლნ ლარი მოხმარდება. ასევე სკოლების სრული კომპიუტერიზაციის პროგრამის დასრულებისათვის დამატებით გამოიყოფა 4,5 მლნ ლარი.

თანხები დაიხარჯება კულტურული და სპორტული პროგრამების დაფინანსებისათვის. ამისთვის გამოყოფილია 3 მლნ 400 ათასი ლარი. ეს თანხა სამ ძირითად მიმართულებას მოხმარდება: მასობრივი სპორტის ინფრასტრუქტურის წესრიგში მოყვანას, კულტურული ძეგლების რეკონსტრუქციის პროგრამას და ასევე, ახალგაზრდულ პროგრამებს.

ჯანდაცვისათვის გამოყოფილია 30 მლნ ლარი. აქედან, 5 მლნ ლარი - მონეტიზაციისათვის, 25 მლნ ლარი კი - ჯანდაცვის ინფრასტრუქტურისათვის.



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

ენერგოსექტორში მიმართული იქნება 164 მლნ ლარი. გარკვეული თანხებია ასევე გამოყოფილი თავდაცვის სამინისტროს რეფორმის გაგრძელებისათვის.

ზურაბ ნოღაიდელმა აღნიშნა, რომ ეროვნული ბანკის სესხი - 27 მლნ ლარი - აღარ იქნება გათვალისწინებული ხარჯების სტრუქტურაზე და მთავრობა ამის სანაცვლოდ გასული წლის ბოლოს დაგროვილ დეპოზიტს გამოიყენებს.

**"ჩვენ, ალბათ, საკანონმდებლო დონეზეც დავაფიქსირებთ, რომ მთავრობა შეწყვეტს ეროვნული ბანკიდან გრძელვადიანი სესხის აღებას და ინფლაციური მოდელით ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსებას. მით უფრო, რომ ღრმად ვართ დარწმუნებულები, უახლოეს მომავალში ამის ფისკალური საჭიროებაც აღარ გვექნება,"** - განაცხადა ზურაბ ნოღაიდელმა.

# სავალუტო ფონდის მისიამ საქართველოში მუშაობა დაასრულა

თამარ ივანიძე

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიამ საქართველოში ვიზიტი დაასრულა და ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებზე სპეციალური განცხადება მოამზადა.

როგორც ოფიციალური წყაროებიდან ხდება ცნობილი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი ქვეყნის მაკროეკონომიკური პარამეტრებით კმაყოფილია, თუმცა ინფლაციის შეთანხმებულზე მაღალი დონე მის შეშფოთებასაც იწვევს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, **"საქართველოს მაკროეკონომიკური მაჩვენებლები კვლავინდებურად ძლიერია. 2004 წელს დაფიქსირდა წარმოების სწრაფი ზრდა. შთამბეჭდავი იყო ფისკალური მონაცემებიც, რაც განსაკუთრებით შემოსავლების მობილიზების გაუმჯობესებას ეხება,"** - აღნიშნულია საერთაშორისო სავალუტო ფონდის განცხადებაში.

სავალუტო ფონდის მისიის შეფასებით, სამომხმარებლო ფასების 12 თვის ინფლაციამ 2004 წლის დეკემბრის ბოლოს გათვალისწინებული 5 პროცენტის ნაცვლად, 7,5 პროცენტი შეადგინა, 2005 წლის იანვრის ბოლოს კი - 9,3 პროცენტი, რაც, მარტივად რომ ვთქვათ, იმას ნიშნავს, რომ საქართველოში ფასები წინასწარ პროგნოზირებულ და შეთანხმებულ პარამეტრებზე სწრაფად იზრდება.

რაც შეეხება დაჩქარებულ საპრივატიზაციო პროცესს, სავალუტო ფონდში მიაჩნიათ, რომ სახელმწიფო საწარმოების პრივატიზაცია, რომელთა რეალიზაციიდან მიღებული საერთო თანხა მთლიანი შიდა პროდუქტის 3,5 პროცენტია, ეკონომიკის განვითარებისთვის კარგ ფონს ქმნის.

ამასთან, მისიამ ურჩია საქართველოს ხელისუფლებას, გააძლიეროს ეროვნული ბანკის იურიდიული და სამოქმედო ავტონომია და კვლავინდებურად უზრუნველყოს ბანკის ხელმძღვანელობის კომპეტენტურობის დონე.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დღეს, როცა ეროვნული ბანკის ახალი პრეზიდენტის არჩევის ვადა მოახლოვდა.

საბოლოო ჯამში, მისიის ვიზიტმა უხმაუროდ ჩაიარა. ამის მთავარი მიზეზი, სავარაუდოდ, საბიუჯეტო სფეროში მიღწეული ის წარმატებებია, რომელიც სსფ-ს ვიზიტებს ბოლო პერიოდში ცალსახად დადებით ფონს უქმნის. თუმცა, თავისთავად, ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ ხელისუფლებას პრობლემები საერთოდ არ აქვს.

# ნოვაცია საქართველოს საბანკო სისტემაში

*"საქართველოს ბანკი" მაქსიმალურად ამარტივებს მომსახურების პირობებს და პროცედურებს. პირველად საქართველოს საბანკო სექტორის ისტორიაში მოქალაქეს მომსახურებათა მთლიანი პაკეტის "მიკრო სესხი +"-ის მიღება შეეძლება. ის, ვინც "საქართველოს ბანკის" ამ მომსახურებით ისარგებლებს, სესხთან ერთად გარკვეული პერიოდულობით ისეთი პროდუქტებით ისარგებლებს, როგორებიცაა: ოვერდრაფტი, საკრედიტო ბარათი, დაზღვევა, პარალელური სამომხმარებლო სესხი და შეღავათიანი განმეორებითი სესხები. აღსანიშნავია, რომ "მიკრო სესხი +" დამწყები ბიზნესისთვისაც იქნება ხელმისაწვდომი.*

პირველად საქართველოს საბანკო სექტორში "საქართველოს ბანკი" ახალი პროდუქტის "მიკრო სესხი +" დანერგვას იწყებს. ბანკმა ახალი პროდუქტის პაკეტის პრეზენტაცია გუშინ სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" მოაწყო.

უნდა აღინიშნოს, რომ "საქართველოს ბანკის" ახალ პროდუქტში შემავალი არც ერთი კომპონენტი არ არის თვისობრივად ახალი ქართული საბანკო სისტემისთვის. როგორც ბანკის მესვეურებმა აღნიშნეს, ნოვაციას თვით ამ კომპონენტების მომხმარებლებისთვის ერთობლივად შეთავაზება წარმოადგენს.

**"მიკრო სესხი +"-ის შემთხვევაში არსებული პირობები ხელს შეუწყობს მცირე ბიზნესის განვითარებას საქართველოში. დამატებითი პროდუქტების შეთავაზებით კი, ბანკი გამოხატავს გარკვეულ ნდობას თავისი კლიენტებისადმი და გრძელვადიან, უფრო მყარ ურთიერთთანამშრომლობას სთავაზობს. "მიკრო სესხი +"-თან ერთად, მსესხებლები ავტომატურად ხდებიან VISA ELECTRON-ის ან MAESTRO-ს სადებეტო ბარათის მფლობელები, რომელზეც ასევე ავტომატურად არის დაშვებული ოვერდრაფტის გარკვეული ლიმიტი,"** - განაცხადა "საქართველოს ბანკის" გენერალურმა დირექტორმა ლადო გურგენიძემ.

ახალი პროდუქტის მიხედვით, მიკროსესხის პირობები საგრძნობლად გაუმჯობესებულია. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ წლიური საპროცენტო განაკვეთი 16 პროცენტიდან იწყება, მიკროსესხის მაქსიმალური თანხა 50 000 დოლარია, სესხის მაქსიმალური ვადა კი - 5 წელი.

ბანკის მესვეურების განმარტებით, მიკროსესხის აღების შემთხვევაში მსესხებელს, ბანკისგან სადებეტო ბარათის გარდა, ავტომატურად გადაეცემა სიცოცხლის და შრომისუუნარობის დაზღვევა და ავტომატურად ირთვება SMS-ბანკი, ონლაინ განაღდების პროგრამა. ბანკი მიკრობიზნესის ყველა მწარმოებელს შესთავაზებს შემდეგ პროდუქტებს: ტელეფონ-ბანკი; ინტერნეტ-ბანკი; "სთენდინგ-ორდერი"; ქონების და სამოგზაურო დაზღვევა შეღავათიან ფასებში.

**"დამატებითი პროდუქტების შეთავაზებით ბანკი გამოხატავს გარკვეულ ნდობას თავისი კლიენტებისადმი და მათ გრძელვადიან, უფრო მყარ ურთიერთთანამშრომლობას სთავაზობს,"** - განაცხადა ლადო გურგენიძემ.

*24 საათი*

## ხელისუფლება მაისში მსხვილი ობიექტების გაყიდვას გეგმავს

უახლოეს დღეებში, საქართველოში დიდი პრივატიზაცია ახალი ძალით გაგრძელდება. ამის შესახებ განაცხადი გუშინ სახელმწიფო კანცელარიაში გამართულ მთავრობის სხდომაზე გაკეთდა.

საქართველოს მთავრობა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის, რუსთავის "აზოტისა" და თბილისის ვაგონშემკეთებელი ქარხნის პრივატიზებასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილებას მაისის დასაწყისში მიიღებს, - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა მთავრობის სხდომის შემდეგ სახელმწიფო კანცელარიაში გამართულ ბრიფინგზე.

ზურაბ ნოღაიდელის თქმით, მთავრობა აღნიშნულ საწარმოებს უკვე პრივატიზებისათვის ამზადებს. ამისათვის მთავრობა დაახლოებით თვენახევრიან ვადას იღებს, ანუ ამ საწარმოების პრივატიზებით დაინტერესებულმა ფირმებმა ინტერესი სწორედ ამ ვადაში უნდა გამოხატონ. ასევე დაწყებულია მოლაპარაკებები ე.წ. ბათუმის ინფრასტრუქტურის პრივატიზების შესახებ.

*24 საათი*

## თბილისში "Intel"-ის დღეები გაიხსნა

თბილისში გუშინ "Intel"-ის ტექნოლოგიის დღეები გაიხსნა. ეს მიკროპროცესორების უმსხვილესი მწარმოებლის მიერ ორგანიზებული პირველი მასშტაბური აქცია იყო.

კომპიუტერული ტექნოლოგიების პოპულარიზაციისთვის ერთკვირიანი პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია "Intel"-ის კომპიუტერული ცოდნის დღეების გამართვა. ეს ღონისძიება 9-დან 11 მარტის ჩათვლით, განათლების სამინისტროს მხარდაჭერით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ტარდება.

"Intel"-ის ტექნოლოგიის დღეები თბილისში ითვალისწინებს ასევე სადემონსტრაციო პროგრამას მაღაზია-სალონებში, სპეციალურ ტრენინგებს გამყიდველი კონსულტანტებისათვის, ახალი ზონის - უმავთულო ინტერნეტის მოხმარების პრეზენტაციას.

ღონისძიების გახსნაზე მიწვეულები იყვნენ საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები და კომპანია "Intel"-ის წამყვანი მენეჯერები.

*24 საათი*



# ტერაქტები კვლავაც გრძელდება

*ერაყში არსებული ტერორისტული დაჯგუფებები ყოველდღე ახსენებენ თავს ქვეყნის ახალ ხელისუფლებასა და "სტაბილურობის გარანტ" კოალიციის ჯარებს. 9 მარტსაც ერთმანეთის მიყოლებით ორი ტერაქტი განხორციელდა. ტერორისტებმა თავდაპირველად ერაყის დაგეგმარების მინისტრზე მიიტანეს იერიში. შემდეგი სამიზნე კი ბაღდადში სოფლის მეურნეობის სამინისტრო და იქვე მდებარე სასტუმრო "სადირი" აღმოჩნდა, სადაც ძირითადად ერაყის პოლიციის ოფიცრები, უცხოელი ჟურნალისტები და ბიზნესმენები ცხოვრობენ. ტერაქტების შედეგად დაიღუპა სამი და დაშავდა 30-მდე ადამიანი. კამიკაძე ტერორისტების მიერ ავტომანქანების აფეთქება სეპარატისტების ჩვეულებრივ ტაქტიკად იქცა ერაყის ხელისუფლებისა და ქვეყანაში აშშ-ს ჯარების წინააღმდეგ.*

ნანა ნასყიდაშვილი

დანაღმული ნაგვის მანქანით კამიკაძე ტერორისტმა ერაყის სოფლის მეურნეობის სამინისტროს შენობასთან მიახლოება მოახერხა და ააფეთქა. ტერაქტის შედეგად დაიღუპა 2 და დაშავდა 30-მდე ადამიანი. აფეთქებას გაცილებით მეტი მსხვერპლი მოჰყვებოდა, ტერაქტი რამდენიმე საათით გვიან რომ განხორციელებულიყო. აფეთქების მომენტისთვის ქუჩაში ხალხი თითქმის არ იმყოფებოდა. თუმცა, აფეთქების ტალღა იმდენად ძლიერი იყო, რომ 20-მდე ავტომანქანა ადგილზევე დაიწვა, ხოლო ახლომდებარე შენობებში მინები ჩაიმსხვრა. სამინისტროს შენობას ხანძარი გაუჩნდა. ექსპერტთა აზრით, ტერორისტის სამიზნეს იქვე მდებარე სასტუმრო "სადირი" წარმოადგენდა, რომელშიც ერაყის პოლიციის ოფიცრები, მათი ინსტრუქტორები, უცხოელი ჟურნალისტები და ბიზნესმენები ცხოვრობენ. სამინისტროზე თავდასხმა ადგილობრივი დროით



6.30 საათზე განხორციელდა. ზოგიერთი თვითმხილველის მტკიცებით, სეპარატისტებმა თავდაპირველად "ბე-ემ-ვე"-ს ტიპის ავტომანქანიდან სამინისტროსკენ მიმავალ გზაზე მდგარ საგუშაგოს გაუხსნეს ცეცხლი, რომლის განადგურების შემდეგაც ტერორისტებს შენობისკენ გზა ხსნილი ჰქონდათ.

ამ ტერაქტამდე რამდენიმე საათით ადრე ტერორისტებმა ერაყის დაგეგმარების მინისტრ ალ-ჰაფიდჰას კორტეჟზე განახორციელეს თავდასხმა. თავდასხმის შედეგად დაიღუპა მინისტრის დაცვის ერთ-ერთი თანამშრომელი. თავად ალ-ჰაფიდჰა უვნებლად გადარჩა. მინისტრის თანაშემწეთა განცხადებით, დაგეგმარების მინისტრი დიდ როლს ასრულებს ერაყის მთავრობაში.

გუშინდელ ტერაქტებს წინ უსწრებდა ინფორმაცია ათობით თავმოჭრილი გვამის აღმოჩენის შესახებ. ერაყის პოლიციამ დედაქალაქიდან 300 კილომეტრის დაშორებით მდებარე ტერიტორიაზე, რომელიც "სიკვდილის სამკუთხედის" სახელითაა ცნობილი, 41 ადამიანის გვამი იპოვა. ექსპერტთა განცხადებით, მოკლულთა ნაწილი იარაღის გასროლით თავის არეში მიყენებული ჭრილობით გარდაიცვალა, ნაწილს კი თავები მოჰკვეთეს. წამებულთა შორის ერთი ქალი და ორი ბავშვიცაა. მოკლულთა უმრავლესობა ერაყის პოლიციასთან კავშირში იყო. ექიმთა თქმით მკვლელობები ორ კვირაზე მეტი ხნის ჩადენილი არაა.

# რუსეთი ბირთვული განიარაღების შეთანხმებიდან გასვლით "იმუქრება"

*რუსეთი 1987 წელს ხელმოწერილი "ბირთვული განიარაღების შესახებ" შეთანხმებიდან გასვლის განცხადებას აკეთებს. საერთაშორისო მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ ეს განცხადება კიდევ ერთხელ ადასტურებს - რუსეთს პოლიტიკური ნაბიჯების განჭვრეტა ნაკლებად ძალუძს. თუ რუსეთი ხელშეკრულებიდან გამოვა, ის თავის პოლიტიკას და ასევე ჩინეთთან და ევროპასთან ურთიერთობას ზიანის მეტს ვერაფერს მოუტანს. ამერიკა კი არაფერს კარგავს.*

ნანა ნასყიდაშვილი

არც ისე დიდი ხნის წინ რუსეთის თავდაცვის მინისტრმა თავისი განცხადებით, რომელიც ბირთვული განიარაღების შეთანხმებიდან რუსეთის შესაძლო გამოსვლას უკავშირდებოდა, აშშ გააღიზიანა. სწორედ ამ ხელშეკრულების საფუძველზე, ცივი ომის დროინდელი საშუალო რადიუსის მოქმედების ბირთვული რაკეტების რაოდენობის შემცირება ხდებოდა შესაძლებელი. პენტაგონის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ვაშინგტონში გამართულ იანვრის სესიაზე რუსეთის თავდაცვის მინისტრმა სერგეი ივანოვმა თავის ამერიკელ კოლეგა დონალდ რამსფელდს ჰკითხა, თუ რა რეაქცია ექნებოდა ბუშის ადმინისტრაციას რუსეთის ბირთვული შეთანხმებიდან გასვლის შემთხვევაში. ამ განცხადებამ ამერიკის უკმაყოფილება გამოიწვია. მოგვიანებით რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროდან აღნიშნული წინადადების გამოსაწვევად ვაშინგტონში დელეგაცია გაემგზავრა. ვიზიტის შედეგთან დაკავშირებით ორი სახის ინფორმაცია ვრცელდება. ერთის თანახმად, ამერიკის მხარემ არ დააკმაყოფილა რუსეთის მოთხოვნა და ორ სახელმწიფოს შორის ისედაც არსებულ არასახარბიელო მდგომარეობას დაძაბულობა კიდევ შეემატა. "აშშ აღნიშნული ხელშეკრულების ერთ-ერთ ხელმომწერ მხარეს წარმოადგენს და ამ შეთანხმების პირობები, რომლებიც მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრას შეუწყობს ხელს, უნდა შესრულდეს. დისკუსიის შედეგად წარმოქმნილი საკითხები კი, აშშ-ს თავდაცვის მინისტრის თქმით, არა პენტაგონში, არამედ საერთაშორისო დონეზე უნდა განიხილებოდეს," - განაცხადა პენტაგონის წარმომადგენელმა ლარი დი რიტამ. რუსული მხარის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად კი, აშშ რუსეთის მიერ წამოყენებული წინადადების წინააღმდეგი არ არის, თუმცა, ამერიკაში ამ ინფორმაციას უარყოფენ.

ბირთვული განიარაღების შეთანხმების საფუძველზე აშშ და სსრკ იმ კატეგორიის იარაღის,



*საშუალო რადიუსის რაკეტების განადგურებაზე უარი რუსეთს კარგს არაფერს უქადის*

მათ შორის ატომური, ასევე ჩვეულებრივი ბალისტიკური და ფრთოსანი რაკეტების გამოყენებაზე უარს ამბობდნენ, რომელთაც მოქმედების რადიუსი 500-5000 კმ ჰქონდათ. ხელშეკრულების ფარგლებში 1991 წლის ივნისისთვის 2692 რაკეტა იქნა განადგურებული, ხოლო 2002 წელს ბულგარეთი აღმოსავლეთ ევროპის ბოლო ქვეყანა გახდა, სადაც ამ ტიპის რაკეტები აშშ-ს დაფინანსებით იქნა განადგურებული.

ჰარვარდის უნივერსიტეტის ბირთვული იარაღის ექსპერტის მეთიუ ბუნის განცხადებით, ნატო-ს გაძლიერებისა და ჩინეთის მხრიდან მოსალოდნელი მუქარის გამო, რუსეთის მხარეს უკვე რამდენიმე წელია, რაც ბირთვული შეიარაღების შეთანხმებიდან გასვლა სურს. თუმცა, ამავდროულად რუსეთი კარგად აცნობიერებს, თუ რა "პოლიტიკურ ზარალს" მიიღებს ამ ნაბიჯის გადადგმის შემთხვევაში. ვაშინგტონში იარაღის კონტროლის მომხრეთა განცხადებით, აღნიშნული შეთანხმების დარღვევა ბირთვული იარაღის გავრცელების შეზღუდვის საქმეში საგანგაშო შედეგებს მოუტანდა, როგორც რუსეთი-ევროპის, ასევე რუსეთი-აშშ-ს ურთიერთობას. "რუსეთს შეთანხმებიდან გასვლა სურს? ძალიან კარგი," - განაცხადა შეიარაღების კონტროლის უწყების ყოფილმა თანამშრომელმა ჰენრი სოკოლსკიმ, ამჟამად იარაღის გავრცელების შეზღუდვათა პრობლემების შემსწავლელი კერძო ცენტრის ხელმძღვანელმა იმის დასტურად, რომ ასეთი პოლიტიკა რუსეთს ჩინეთთან და ევროპასთან ურთიერთობაში ზიანს მოუტანს, ხოლო ამერიკას კი ვერაფერს დააკლებს.

# ჩეჩნეთში გათავისუფლების მოძრაობამ ლიდერი დაკარგა - რა იქნება შემდეგ?

პირველი გვერდიდან

ასლან მასხადოვის დაღუპვიდან მეორე დღესვე შეფასებები კეთდება არა მარტო რუსული, არამედ დასავლური მედიისა და ექსპერტთა მხრიდანაც. რასაკვირველია, მათი პოზიციები ერთმანეთისგან, როგორც ცა და დედამიწა, ისე განსხვავდება. თუ რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატები კმაყოფილებას არ მალავენ ასლან მასხადოვის ლიკვიდაციის გამო, გაცილებით ფრთხილი და მოზომილია დასავლეთის დამოკიდებულება. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი, ჯერჯერობით, კვლავ თავს იკავებს ფაქტის კომენტირებისაგან და მხოლოდ იმის განცხადებას სჯერდება, რომ იგი ჩეჩნეთის პრობლემის პოლიტიკური გზით დარეგულირების მომხრეა.

პოლიტიკურ შეცდომად აფასებენ მასხადოვის ლიკვიდაციის ფაქტს პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში. პოლონეთის საგარეო უწყების მიერ გაკეთებული განცხადების თანახმად, ჩეჩნებთან დიალოგისთვის "მასხადოვი ერთადერთი პარტნიორი იყო".

მოლაპარაკებებისათვის მასხადოვის მზადყოფნის მიუხედავად, რუსეთს ნაკლებად სჯეროდა, რომ იგი ჩეჩნეთში ვითარების ნორმალიზაციის უზრუნველყოფას შეძლებდა. უნდობლობის მიზეზად კი კრემლი მასხადოვის მხრიდან ისლამისტ-რადიკალებთან დაპირისპირების სურვილის არქონას ასახელებდა. დღეს უკვე, როცა ზომიერი მასხადოვი გაუვნებელყოფილია, ხოლო ცოცხლად დარჩენილნი რადიკალურად განწყობილი საველე მეთაურები არიან, რუსეთის ოფიციოზი რატომღაც ჯიუტად ამტკიცებს, რომ ჩეჩნეთში ტერორიზმთან ბრძოლა გაცილებით იოლი გახდება. რუსეთის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის ლიდერის ვლადიმირ ჟირინოვსკის თქმით, მასხადოვის სიკვდილი "კავკასიაში ტერორიზმთან ბრძოლაში გარდამტეხი მნიშვნელობისაა". მასხადოვის ლიკვიდაციის ოპერაცია მიანიშნებს იმაზე, რომ **"ჩეჩნეთში ოპერაციის სამხედრო ეტაპი სრულდება. დღეს უმთავრესი პოლიტიკური ამოცანა ჩეჩნეთში მშვიდობის დამყარებაა,"** - აღნიშნავს ამავე პარტიის წარმომადგენელი ალექსეი მიტროფანოვი. **"სპეცსამსახურებმა ახლა ის გააკეთეს, რაც დიდი ხნის წინ უნდა გაეკეთებინათ,"** - ამბობს სახელმწიფო სათათბიროს ვიცე-სპიკერი სერგეი ბაბურინი.




*ტრაგედიიდან საშინელებამდე*

ლონდონში მყოფი მასხადოვის წარმომადგენელი აჰმედ ზაკაევი კი მიიჩნევს, რომ იჩქერიის პრეზიდენტის სიკვდილი დამოუკიდებლობისაკენ ჩეჩნების სწრაფვას ვერ შეანელებს, პირიქით, იგი კვლავ გაგრძელდება, ხოლო უახლოეს მომავალში არაღიარებული რესპუბლიკის ახალი ლიდერიც დასახელდება.

რუსული ოფიციოზის ვარაუდით, ლიდერის დაღუპვის შემდეგ ჩეჩნეთში ტერორიზმთან ბრძოლა ახლებურ ფორმებს მიიღებს, ხოლო ბოევიკთა ქმედებები უკვე აღარ იქნება ისეთი კოორდინირებული, როგორც ეს უწინ იყო. ამას ისიც დაემატება, რომ ტერორისტებს უფრო გაუჭირდებათ თავიანთი ჯგუფების დაფინანსება. **"მასხადოვის დაღუპვა საერთაშორისო ტერორიზმზე სერიოზული დარტყმაა. მასხადოვი საზღვარგარეთ არსებული ტერორისტული ცენტრების დამაკავშირებელი რგოლი იყო. დასავლეთი ორიენტირებული იყო მასხადოვზე, ახლა ისინი თავს დაანებებენ მოლაპარაკებებისაკენ მოწოდებას, რადგან ჩეჩნეთში ბოევიკთა შორის აღარ არსებობს ზომიერი ოპოზიცია,"** - აცხადებს სახელმწიფო სათათბიროს უსაფრთხოების კომიტეტის წევრი გენადი გუდკოვი. მართლაც, მასხადოვის სიკვდილმა შესაძლოა, საკუთარი მოქალაქეების თვალში გასული წლის 3 სექტემბრის ტრაგედიის შედეგად პრეზიდენტ პუტინის შელახული რენომეს აღდგენაც შეძლოს. სხვა თუ არაფერი, წარმატებული სპეცოპერაციის შედეგად "ბოევიკთა ლიდერის" ლიკვიდაცია ჩეჩნეთის საკითხის "ნორმალიზაციის" პუტინისეული ხედვის "დემონსტრირებად" გამოდგება. რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს სპიკერის ბორის გრიზლოვის აზრით, საერთაშორისო ტერორისტის ასლან მასხადოვის განადგურებით დედამიწაზე ბოროტების ხარისხი შემცირდება. მისი თქმით, ჩეჩენი ბოევიკების ლიდერის ლიკვიდაციის ოპერაციის მზადების შესახებ მან დიდი ხნით ადრე იცოდა, ხოლო ოპერაციის სიზუსტეს ისიც ადასტურებს, რომ რუსული მხრიდან მას მსხვერპლი არ მოჰყოლია. მასხადოვის ლიკვიდაციას დადებითად აფასებს სახელმწიფო სათათბიროს უშიშროების კომიტეტის წევრი მიხაილ გრიშანკოვიც. თუმცა, მისივე თქმით, მანამდე, სანამ ცოცხალი რჩება ჩეჩნეთში მეორე "აქტივისტი" შამილ ბასაევი, შეუძლებელია იმის თქმა, რომ ტერორისტთა მხრიდან საფრთხე აღკვეთილია.

რუსებისაგან განსხვავებით, მასხადოვის სიკვდილის შემდეგ ჩეჩნეთის მომავლისადმი ოპტიმისტური ხედვა ნაკლებად აქვთ დასავლეთში და სწორედ ამიტომ რუსების მოქმედების საჯაროდ გაკიცხვასაც არ ერიდებიან. კარტერის ადმინისტრაციის პერიოდში ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში პრეზიდენტის მრჩევლის, ცნობილი პოლიტოლოგის ზბიგნევ ბჟეზინსკის განცხადებით, ასლან მასხადოვის განადგურებამ ჩეჩნეთი ზომიერი ლიდერის გარეშე დატოვა. ლიდერის დაღუპვით "ჩეჩნებისათვის წინააღმდეგობის სიმბოლო" იქმნება, რომელიც ამიერიდან დამოუკიდებლობისაკენ მათ მისწრაფებას მხოლოდ გააძლიერებს.

დასავლური მედიის შეფასებით, მასხადოვის სიკვდილი, სავარაუდოდ, პირველ რიგში, პროპაგანდისტული მიზნებით იქნება გამოყენებული, კერძოდ, ვლადიმირ პუტინის პოპულარობის ზრდას შეუწყობს ხელს, ხოლო მოგვიანებით ტრაგიკულ შედეგებსაც გამოიღებს. კონკრეტულად კი, დასავლელი ექსპერტები რუსეთში ახალ ტერაქტებს ვარაუდობენ. თანაც ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მოვლენების ტრაგიკულად განვითარების შიში მხოლოდ დასავლურ მედიაში არ ჩნდება, მას ზოგიერთი რუსი ჟურნალისტიც (ანა პოლიტკოვსკაია და პაველ ფელგენგაუერი) იზიარებს. იჩქერიის პრეზიდენტის მიმართ აშკარა სიმპათიას კი გავლენიანი ბრიტანული გაზეთი "თაიმსი" არ მალავს. **"53 წლის ბატონმა მასხადოვმა ცოტა ხნის წინ შეძლო, დაემტკიცებინა თავისი უფლებამოსილება და ასევე სამშვიდობო მოლაპარაკებებისადმი მისწრაფება, როცა ერთთვიანი დაზავების შესახებ მზადყოფნა განაცხადა და მისი უზრუნველყოფა შეძლო კიდეც,"** - წერს "თაიმსი". "ჩეჩნეთმა დაკარგა თავისი იასირ არაფატი", ასეთი სათაური აქვს სტატიას მეორე გავლენიან ბრიტანულ გაზეთში "გარდიანი". **"ზოგიერთი დამკვირვებლისთვის შესაძლოა, მასხადოვი ჩეჩნური კონფლიქტის იასირ არაფატიც იყოს, რომელთანაც შეუძლებელია მოლაპარაკებების გამართვა. რეალურად კი, ეს იყო ერთადერთი პიროვნება, რომლის სამხედრო და დიპლომატიური გამოცდილება ნდობას იმსახურებდა და შეეძლო თავისი ხალხი მოლაპარაკების მაგიდასთან დაესვა. რუსეთის პრეზიდენტი გამოაცხადებს, რომ მასხადოვის სიკვდილი გამარჯვებაა, რომლის აღნიშვნაც ისევე საჭიროა, თითქოს დაკავებულ ან ლიკვიდირებულ იქნა ოსამა ბინ ლადენი,"** - წერს "გარდიანი".

მედიასთან შედარებით არანაკლებად მომთხოვნი ტონი აქვს ევროკავშირს. მართლმსაჯულების, თავისუფლებათა და უსაფრთხოების საკითხებში ევროკომისრის ფრანკო ფრანტინის თქმით, "ევროპა ჩეჩნეთის კრიზისზე პოლიტიკურ პასუხს ელოდება". სტრასბურგში გამართულ პრესკონფერენციაზე მან აღნიშნა, რომ ევროპა არ ისურვებდა, მასხადოვის სიკვდილს კონფლიქტის დამატებითი რადიკალიზაცია გამოეწვია. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარეს რენე ვან დერ ლინდენს იმედი აქვს, რომ ასლან მასხადოვის სიკვდილს ჩეჩნეთში ვითარების გამწვავება არ მოჰყვება. თავის მხრივ, ასამბლეა ჩეჩნეთის პრობლემის პოლიტიკური გადაწყვეტილების გზების ძიებას განაგრძობს. ამ მიზნით 21 მარტს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პოლიტიკური კომისია სტრასბურგში ჩეჩნეთის საკითხზე "მრგვალ მაგიდას" გამართავს.

## რა ხდება ლიბანში?

### იძულებით გადამდგარი პრემიერ-მინისტრი ახალ მთავრობას აკომპლექტებს

*თითქოს ლიბანში დაწყებულ ანტისირიულ მოძრაობას შედეგები უნდა გამოეღო, მით უმეტეს, რომ ამ, დემოკრატიულად წოდებულ ტალღას მთელი მსოფლიო უჭერდა მხარს. მაგრამ, როგორც ირკვევა, ჯერ ყველაფერი დასრულებული არ არის. უფრო მეტიც, ლიბანს შესაძლოა, ისევ პროსირიულად განწყობილი მთავრობა ჰყავდეს. გუშინ ცნობილი გახდა, რომ 28 თებერვალს საპროტესტო გამოსვლების საპასუხოდ გადამდგარ პრემიერ-მინისტრს ომარ კარამის დაეკისრება ახალი კაბინეტის დაკომპლექტება.*

თუ ვინმეს შთაბეჭდილება დარჩა, რომ სირიამ ლიბანისთვის დიპლომატიური ომი დათმო, ცდება. მართალია, გასულ კვირას ზეწოლის შედეგად სირიის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ჯარებს გაიყვანს მეზობელი ქვეყნიდან, მაგრამ ყველა ფაქტი ადასტურებს, რომ სირია ამას დაუყოვნებლივ არ გააკეთებს. პროსირიული მთავრობაც, როგორც აღმოჩნდა, დიდი ხნით არ წასულა ქვეყნის სათავიდან. ხოლო ქუჩის ანტისირიულ აქციებს, ახლა გაცილებით დიდი მასშტაბის - პროსირიული, "ჰეზბოლა"-სა და "ამალ"-ის მიერ ორგანიზებული მიტინგები ჩაენაცვლა.

ახალი მთავრობის დაკომპლექტების აუცილებლობა მას შემდეგ გაჩნდა, რაც ყოფილი პრემიერ-მინისტრის რაფიკ ჰარირის მკვლელობით აღშფოთებულმა ლიბანელებმა (რაშიც სირიისა და მის მიერ მხარდაჭერილი ლიბანური ხელისუფლების ხელს ხედავდნენ) მთავრობის გადადგომა და სირიის ჯარების ქვეყნიდან გაყვანა მოითხოვეს. მაშინ პირველი მოთხოვნა ლიბანის პრეზიდენტმა დიდი ძალისხმევის გარეშე დააკმაყოფილა. აი ჯარების გაყვანის შესახებ კი, უკვე აშშ-მ, ევროკავშირმა და რუსეთმა გააკეთეს განცხადებები.

სხვათა შორის თებერვალში მოკლული რაფიკ ჰარირი სწორედ სამოქალაქო დაპირისპირების შეჩერების საბაბით შემოსული სირიის ჯარების დაუყოვნებელი გაყვანის მოთხოვნით გამოდიოდა. მისი სიკვდილის შემდეგ დამასკოზე სერიოზული ზეწოლა დაიწყო. ჯარების სასწრაფოდ გაყვანის გარდა, სირიის მიერ ლიბანის მმართველი ელიტის მხარდაჭერის შეწყვეტასაც მოითხოვდნენ. საერთაშორისო ზეწოლის მთავარი ორგანიზატორი, რასაკვირველია, აშშ იყო, რომელმაც ჰარირის სიკვდილიდან სულ რამდენიმე საათში ლიბანის უცხო ქვეყნის ჯარებისგან გათავისუფლება მოითხოვა. თუმცა, ყოფილი პრემიერ-მინისტრის სიკვდილმა თავად ქვეყნის შიგნითაც დიდი არეულობა გამოიწვია. ჰარირის გასვენება მძლავრ ანტისირიულ მანიფესტაციებში გადაიზარდა, რომელიც რამდენიმე დღე, ლიბანის პრემიერ-მინისტრის გადადგომამდე გაგრძელდა.

მაშინ ბეირუთის ცენტრში, წამებულთა მოედანზე შეკრებილმა ბრბომ, კარამის მთავრობის გადადგომის შესახებ ცნობა გამარჯვებად აღიქვა. როგორც შემდეგში გაირკვა, ეს სტრატეგიული შეცდომა იყო. სამშაბათს საღამოს ნათელი გახდა, ვინ წარმოადგენს ლიბანში რეალურ ძალას.

სირიასა და ირანთან მჭიდრო კავშირების მომხრე შიიტურმა პარტიებმა "ჰეზბოლამ" და "ამალმა" ბეირუთის ქუჩებში პოლიტიკური ინიციატივა ჩაიგდეს ხელში. სამშაბათს საღამოს ლიბანის დედაქალაქის ქუჩები მათი მომხრეებით გაივსო. სხვადასხვა წყაროების მიტინგზე შეკრებილთა რიცხვი 500 ათასიდან მილიონნახევრამდე მერყეობდა, რაც გაცილებით აღემატება იმავე მოედანზე მოწყობილი ანტისირიული გამოსვლების მონაწილეთა რიცხვს. აქაც ნახავდით მოთხოვნებს "ძირს უცხოური ჩარევა", თუმცა წინა გამოსვლებისგან განსხვავებით, "უცხოურ ჩარევაში" არა სირიის საოკუპაციო ჯარები, არამედ აშშ-ს და გაერო-ს ზეწოლა იგულისხმებოდა.

სწორედ ასეთი მხარდაჭერის დემონსტრირების ფონზე შეიკრიბნენ გუშინ ლიბანის პრეზიდენტის ემილ ლაჰუდის სასახლეში პარლამენტის ფრაქციების ლიდერები ახალი მთავრობის მეთაურზე სასაუბროდ.

რასასკვირველია, ოპოზიციას, ქრისტიანი მარონიტებისა და საზოგადოების მაღალი ფენის წარმომადგენლებს ნეიტრალური მთავრობის ხილვა ერჩივნა, რომლის პირველი ამოცანა რაფიკ ჰარირის მკვლელობის საერთაშორისო გამოძიება და სირიის გავლენის სფეროდან გამოსვლა იქნებოდა. მაგრამ ქვეყანაში არსებული რეალობა მათ ასეთ იმედს ნაკლებად რეალურს ხდის.

უზარმაზარი სახალხო მხარდაჭერის ფონზე, საპარლამენტო უმრალესობამ რამდენიმე დღის წინ გადამდგარი ომარ კარამი დაასახელა მომავალ პრემიერ-მინისტრად. ასე რომ, მიუხედავად საერთაშორისო თანამეგობრობის ძალისხმევისა, საეჭვოა, ლიბანი სირიის გავლენისგან უახლოეს მომავალში გათავისუფლდეს. მით უმეტეს, რომ ლიბანში დისლოცირებული სირიის ჯარების ქვეყნის აღმოსავლეთით, სირიის საზღვრის მიმართულებით გადაადგილება, ჯერ კიდევ არ ნიშნავს მათი ქვეყნიდან გაყვანას. მართალია, დამასკო აცხადებს, რომ ჯარების ნაწილმა უკვე დატოვა ლიბანი, მაგრამ ვაშინგტონს ეს "ნახევრადზომები" არ ხიბლავს. ჯორჯ ბუშმა მკაცრი ტონით შეახსენა სირიას, რომ მისმა შეიარაღებულმა ძალებმა ლიბანი ამ ქვეყანაში მაისისთვის დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებამდე აუცილებლად უნდა დატოვონ.

## უკრაინა ევროკავშირის ქვეყნებისთვის ვიზებს აუქმებს

სულ მალე უკრაინა ევროკავშირის ქვეყნებისათვის უვიზო რეჟიმის შემოღებას აპირებს. ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტმა ვიქტორ იუშენკომ გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრ იოშკა ფიშერთან შეხვედრისას განაცხადა. მისი სიტყვებით, შეხვედრის მთავარი თემა უკრაინის ევროინტეგრაცია იყო. იუშენკომ გერმანელ მინისტრს ახლო მომავალში ამ მიმართულებით დაგეგმილი კონკრეტული მიზნების შესახებ შეატყობინა. პირველ რიგში, ეს არის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლა, საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნის სტატუსის მიღება და ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნა. ამ საკითხებში მხარდაჭერას უკრაინა გერმანიისგან ელის, აცხადებს იუშენკო. მას მიაჩნია, რომ ევროკავშირის ქვეყნებთან უვიზო რეჟიმის შემოღების სანაცვლოდ, უკრაინელი სტუდენტების, დიპლომატების, ბიზნესმენებისა და ჟურნალისტების ევროკავშირის ქვეყნებში შესვლის რეჟიმი შემსუბუქდება. უკრაინის პრეზიდენტმა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრს უკრაინელი არალეგალი ემიგრანტების საკითხში დაკავებული პოზიციისათვის მადლობა გადაუხადა. "სასიხარულოა, რომ გერმანელი პოლიტიკოსები, კერძოდ ფიშერი, საზოგადოებას მოუწოდებენ უკრაინელ ერში არალეგალები არ დაინახონ," - განაცხადა იუშენკომ.

უკრაინის ხელმძღვანელობა მანამდეც აცხადებდა, რომ მზად არის ევროკავშირის ქვეყნების მოქალაქეებისათვის ვიზების გასაუქმებლად, "ევროვიზიის" კონკურსის ჩატარების წინ, რომელიც 21 მაისს კიევში გაიმართება. კიევში ამასთან დაკავშირებით დიდი რაოდენობით ტურისტის ჩასვლას იმედოვნებენ. გარდა ამისა, ცნობილი გახდა, რომ ივანო-ფრანკოვოელ ჯგუფს "გრინჯოლის", რომელიც კონკურსზე უკრაინას წარმოადგენს, თავისი სიმღერა "რაზომ ნას ბოგატო"-ს ("ერთად ჩვენ ბევრნი ვართ") ტექსტის გადაწერა დაავალეს. "ევროვიზიის" საორგანიზაციო კომიტეტი თვლის, რომ "ნარინჯისფერი რევოლუციის" ჰიმნად ქცეული ეს სიმღერა მეტად პოლიტიზირებულია კონკურსში მონაწილეობისათვის.

## ეგვიპტის პრეზიდენტობისათვის პატიმარი-ოპოზიციონერი იბრძოლებს

პატიმრობაში მყოფი ეგვიპტის ოპოზიციური პარტია "ალ-გადის" ლიდერი აიმან ნური საკუთარი კანდიდატურის წამოყენებას აპირებს პირველ ალტერნატიულ არჩევნებზე, რომელიც ამა წლის სექტემბერში ჩატარდება, იუწყება საინფორმაციო სააგენტო "ასოშიეიტედ პრესი". პარტიის იურისტის ამირ სალემის განცხადებით, ნურიმ თავისი განზრახვის შესახებ წერილობით შეატყობინა. "ალ-გადის" ლიდერის მეუღლის განცხადებით, ციხიდან გამოგზავნილი მისი წერილი პარტიული გაზეთის პირველ გვერდზე დაიბეჭდება. ეგვიპტის პარლამენტის დეპუტატი აიმან ნური იანვრის ბოლოს დააპატიმრეს. ამისათვის მას დეპუტატის ხელშეუხებლობა მოუხსნეს. ეგვიპტის გენერალურმა პროკურატურამ მას 1887 ეგვიპტელი მოქალაქის რწმუნების განცხადების გაყალბების ბრალდება წაუყენა, რომლითაც მას პარტიის ჩამოყალიბების თხოვნით მიმართეს. გარდა ამისა, ყოფილ დეპუტატს სხვადასხვა სახელმწიფო ორგანიზაციების ბეჭდებისა და შტამპის გაყალბებაში ადანაშაულებენ. გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ განცხადებაში აღნიშნული სახელები გარდაცვლილებს ეკუთვნით და მათი გვარები პროზექტურის რეესტრიდან იყო ამოწერილი. "მკვდარი სულების" მეშვეობით ნურიმ 2004 წლის ოქტომბერში დააფუძნა და დაარეგისტრირა 2005 კაციანი პარტია, რომელსაც ის ახალგაზრდების პარტიას უწოდებს. აიმან ნურისა და მისი მომხრეების აზრით, ნურის დაპატიმრება იმისათვის იყო სანქცირებული, რათა პრეზიდენტ მუბარაქის რეჟიმის ერთადერთი ძლიერი მეტოქის ლიკვიდაცია მომხდარიყო. ხოსნი მუბარაქი ეგვიპტეს უკვე 24 წელია, ხელმძღვანელობს.

# ორი სხდომა

*თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის ქვეკომისიის გუშინდელი სხდომა მოსალოდნელზე მშვიდობიანად დასრულდა. მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსმა ნატა მაჩლაძემ საპრეზიდენტო უმრავლესობის ნაწილისა და ფრაქცია "მემარჯვენეების" შეტევებს გაუძლო. სხდომის წინა დღეს საკრებულოს კულუარებში მაჩალაძის უნდობლობის საკითხის დაყენებაზეც საუბრობდნენ, თუმცა, სხდომაზე მოწინააღმდეგეებს ეს თემა არ წამოუწევიათ.*

ნანა ქადაგიშვილი



ვახო [illegible] ფოტო

ფრაქცია "მემარჯვენეების" გარდა (განათლებისა და კულტურის სამსახურის პროგრამების შესახებ ფრაქციის წევრის თამაზ ნაცვლიშვილის მოსაზრებების შესახებ "24 საათი" უკვე წერდა), ნატა მაჩლაძის საქმიანობის ყველაზე აქტიური მოწინააღმდეგე საკრებულოს განათლებისა და კულტურის ქვეკომისიის ხელმძღვანელი გია მურღულია გახლდათ. **"ორი თვეა, ამ სამსახურის სტრუქტურა ვერ ჩამოყალიბდა და მისმა ხელმძღვანელმა სამსახურის დებულება და პროგრამები ვერ წარმოგვიდგინა. მაჩალაძე სულ ამას იმიზეზებს, ჩამოყალიბების პროცესში ვართო, ამასობაში კი საქმე ფუჭდება... სკოლებში მერხებია შესატანი, სკოლებისა და საბავშვო ბაღების სახურავები - შესაკეთებელი; მეხუთე გიმნაზიის შენობაში ჩინეთის ნაჩუქარი 350 ტონა თუნუქი რამდენი ხანია, აწყვია, მაგრამ მათი სკოლებში შეტანა ვერ მოხერხდა. მაჩალაძის მიერ წარმოდგენილ პროგრამებში ერთი სიტყვითაც კი არ არის ნახსენები პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლება, მათი მეთოდური უზრუნველყოფა და საკრებულოს მიერ დამტკიცებული განათლების პროგრამა,"** - განაცხადა მურღულიამ.

განათლებისა და კულტურის ქვეკომისიის ხელმძღვანელის ერთ-ერთი მთავარი პრეტენზია სწორედ საკრებულოს მიერ დამტკიცებულ განათლების პროგრამაში მოსალოდნელი ცვლილებების შეტანა აღმოჩნდა. განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახურს აღნიშნულ პროგრამაში ცვლილებები შეაქვს, რათა იგი განათლების შესახებ კანონთან შესაბამისობაში მოიყვანოს. მურღულია (რომელიც აღნიშნული პროგრამის ავტორია) და საკრებულოს უმრავლესობის ნაწილი კი აცხადებენ, რომ საკრებულოს მიერ დამტკიცებულ პროგრამაში ცვლილებების შეტანის უფლება საკრებულოს გარდა არავის აქვს.

როგორც განათლების სამინისტროს საინფორმაციო განყოფილების თანამშრომელმა "24 საათს" განუმარტა, განათლების შესახებ კანონის ამოქმედების შემდეგ ქვეყანაში განათლების პოლიტიკა ძირფესვიანად შეიცვლება. **"ბუნებრივია, საკრებულოს მიერ დამტკიცებული პროგრამაც კანონის შესაბამისად უნდა შეიცვალოს. ამავე მიზეზით გვიანდება განათლების პროგრამების საბოლოოდ ჩამოყალიბებაც. პროგრამებიც კანონის შესაბამისად უნდა შემუშავდეს,"** - აცხადებენ სამინისტროში.

აღნიშნული არგუმენტებისა და საკრებულოს უმრავლესობის ზოგიერთი წევრის მხარდაჭერის შედეგად, განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსის გუშინდელმა ანგარიშმა მოსალოდნელზე მშვიდობიანად ჩაიარა. თუმცა, სავარაუდოდ, ყველაფერი ამით არ დასრულებულა. საკრებულო მაჩალაძის მიერ გუშინ წარდგენილ 13 პროგრამას განიხილავს და აღნიშნულ საკითხს რამდენიმე დღის შემდეგ მიუბრუნდება.

განათლებისა და კულტურის ქვეკომისიის სხდომასთან შედარებით, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომამ ბევრად უფრო უხმაუროდ ჩაიარა. თუმცა, განსახილველად წარდგენილი რამდენიმე საკითხის ირგვლივ სრული შეთანხმების მიღწევა არც აქ მოხერხდა.

საკითხები, რომლსაც საკრებულოს ხვალინდელ სხდომაზე განიხილავენ, თბილისის მთავრობის მოთხოვნით შევიდა საკრებულოში. მთავრობა ითხოვს, რომ გარემოს დაცვისა და რეგულირების კომიტეტის საბიუჯეტო ხარჯებიდან 680 ათასი ლარი ქალაქის კეთილმოწყობის სამსახურს გადაეცეს. აღნიშნული თანხა ვერის, 9 აპრილის ბაღებისა და მუშტაიდისა და ვაკის ვეტერანთა პარკების კაპიტალურ შეკეთებას მოხმარდება. მერია მიიჩნევს, რომ გარემოს დაცვის კომიტეტმა ქალაქის გამწვანებაზე უნდა იზრუნოს, კაპიტალური შეკეთება კი კეთილმოწყობის სამსახურის პრეროგატივაა. "მემარჯვენეებისა" და "სამართლიანობის" წარმომადგენლები კი პარკების გამწვანებასა და კაპიტალურ შეკეთებას შორის დიდ განხვავებას ვერ ხედავენ. თუმცა, მათი წინააღმდეგობის მიუხედავად, საფინანსო-საბიუჯეტო კომისია მთავრობის აღნიშნულ მოთხოვნას მაინც დათანხმდა.

შედარებით ნაკლები წინააღმდეგობის გარეშე შეთანხმდნენ მეორე საკითხზე. ქალაქის მერი მერიის სარეზერვო ფონდიდან კომპოზიტორ ბიძინა კვერნაძის შვილიშვილის ოპერაცის საფასურის - 7 ათასი ლარის გადარიცხვის ნებართვას ითხოვს.

მესამე საკითხი კი, რომელიც ასევე საკრებულოს ხვალინდელ სხდომაზე უნდა განეხილათ, შემდეგი სხდომისთვის გადაიდო. ქალაქის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, 2005 წლის ბიუჯეტის რეზერვი, 150 ათასი ლარი, მეორე მსოფლიო ომის, სხვა სახელმწიფო ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებების, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და 1989 წლის 9 აპრილს დაზარალებულთა ერთჯერად დახმარებებზე გაანაწილოს. ფულადი დახმარების ოდენობა ჯერ დასაზუსტებელია.

*თვალსაზრისი*

## "ჩვენ მიმართ რეპრესიები ხორციელდება!"

*საავტორო სასწავლო-კვლევით კომპლექს "ბალავარის" დირექტორი ლალი ბერძენიშვილი "ზოგადი განათლების შესახებ" კანონპროექტის ცალკეულ პუნქტებს არ ეთახმება. იგი მიიჩნევს, რომ აღნიშნული პროექტი ზღუდავს ბავშვის უფლებებს, მიიღოს მაღალი დონის განათლება.*

თამარ დვალი

"ზოგადი განათლების შესახებ" კანონპროექტში არ არის ჩადებული მაღალი დონის განათლების მიცემა ახალგაზრდებისთვის. თუკი შემოკლებული გეგმით ისწავლიან მოზარდები, ისინი განვითარებას ვერ შეძლებენ. კანონპროექტი მხოლოდ მონოვარიანტული სკოლების არსებობას ითვალისწინებს, რაც ჩვენთვის მიუღებელია. სამწუხაროდ, განათლების სამინისტროს არ აქვს სურვილი, მოუსმინოს განათლების მუშაკებს. ჩვენს სკოლაში რამდენიმე სკოლის დირექტორი შევიკრიბეთ და პროექტის შესახებ საკუთარი აზრი გამოვთქვით, რომელიც განათლების მინისტრსა და საქართველოს პრეზიდენტს გავუგზავნეთ. ამის შემდეგ სატელევიზიო დებატებში მივიღეთ მონაწილეობა, რამაც განათლების სამინისტრო ჩვენ მიმართ ცუდად განაწყო," - აღნიშნა "24 საათთან" საუბრისას საავტორო სასწავლო-კვლევითი კომპლექსის დირექტორმა ლალი ბერძენიშვილმა. მისივე თქმით, ტელედებატებში მონაწილე დირექტორებიდან დღეს მხოლოდ იგი დარჩა თავის თანამდებობაზე, დანარჩენებს კი სამსახური დაატოვებინეს. "ჩვენ მიმართ რეპრესიები ხორციელდება," - აცხადებს ლალი ბერძენიშვილი.

2004 წლის ნოემბერში ასოციაცია "ბალავარმა" დაიწყო "საქართველოს განათლების" აქცია. მათ განათლების შესახებ კანონპროექტთან დაკავშირებული პრობლემური საკითხები გააგზავნეს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში და 20 ქვეყნიდან პასუხი უკვე მიიღეს.

სკოლის დირექტორები იმედოვნებენ, რომ პარლამენტი გაითვალისწინებს საავტორო სკოლების მემკვიდრეობითობას და ცვლილებებს შეიტანს კანონპროექტში.

შეგახსენებთ, რომ საავტორო სასწავლო-კვლევითი კომპლექსი "ბალავარი", რომელიც ყაზბეგის 27 ნომერში მდებარეობს, ფასიანია. როგორც მისმა დირექტორმა ლალი ბერძენიშვილმა გვითხრა, ისინი ყოველწლიურად აცხადებენ მიღებას, როგორც ფასიან, ასევე უფასო განყოფილებაზე, თუმცა უფასო განყოფილებაზე განცხადება არც ერთ მშობელს არ შეაქვს.

"მშობლებს სურვილი აქვთ მხოლოდ და მხოლოდ "ბალავარის" საგანმანათლებლო პროგრამით ისწავლონ. ჩვენთან ჩამოყალიბებულია მშობელთა კავშირი, სადაც საწევროს გადასახადს იხდიან წელიწადში 500 ლარის ოდენობით," - აღნიშნა ბერძენიშვილმა.

დირექტორის პოზიციას ემხრობიან მშობლებიც. 160-მა მშობელმა პრეზიდენტის სახელზე სპეციალური მიმართვა დაწერა.

"ჩვენ კარგად ვიცნობთ "ბალავარის" საგანმანათლებლო პროგრამას, მოგვწონს და ვეთანხმებით მას. ჩვენი შვილების განათლების ხარისხი სავსებით შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს. გვახარებს "ბალავარის" წარმატებები ევროპაში, მისი მონაწილეობა სხვადასხვა საერთაშორისო პროექტში." - ნათქვამია განცხადებაში.

*ორი სიტყვით*

**თბილისი.** აპრილის დასაწყისში თბილისში ბავშვთა სოციალური ადაპტაციის ცენტრი გაიხსნება. ამ ცენტრის მშენებლობა თბილისის პრემიერმა თემურ ქურხულმა და საკრებულოს თავმჯდომარემ ზაზა ბეგაშვილმა დაათვალიერეს. პრემიერის განცხადებით, გლდანი-ნაძალადევის რაიონში მდებარე მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა ყოფილი მიმღებ-გამანაწილებელი პუნქტი, რომელიც შს სამინისტრომ 2004 წლის ოქტომბერში მუნიციპალიტეტს გადასცა, თავის პროფილს შეინარჩუნებს, თუმცა იგი განახლდება და მას კურირებას გაუწევს თბილისის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის ბავშვთა უფლებათა კონვენციის უზრუნველყოფის განყოფილება. როგორც ამ განყოფილების ხელმძღვანელმა თინათინ შელიამ აღნიშნა, ბავშვთა სოციალური ადაპტაციის ცენტრი გაანგარიშებულია 70 ბავშვზე. უპატრონო და მაწანწალა ბავშვებს, რომელთა მოძიებასაც შს სამინისტრო უზრუნველყოფს, აღნიშნული ცენტრი მიიღებს, დაადგენს მათ ვინაობას და ბავშვთა სახლებში გადაანაწილებს. ცენტრში ბავშვები რამდენიმე თვე დარჩებიან და ისინი უზრუნველყოფილი იქნებიან შესაბამისი პირობებით. აქვე მოხდება მათი ფსიქოლოგიური რეაბილიტაციაც. თბილისის პრემიერის განცხადებით, ამ ცენტრის სარეაბილიტაციოდ თბილისის ბიუჯეტმა 300 ათასი ლარი გამოყო. ხოლო ჯანდაცვის საქალაქო სამსახურში ბავშვების სოციალური ადაპტაციისათვის 200 ათასი ლარია გათვალისწინებული. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** მდინარე მტკვრის დაბინძურების საკითხზე თბილისის მთავრობა 2006 წლის ბიუჯეტში თანხების გამოსაყოფად სპეციალურ პროგრამას შეიმუშავებს. ამ პროგრამაზე მუშაობა თბილისის საკრებულოს ეკონომიკური რეფორმებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის ინიციატივით უკვე დაიწყო. ამავე საკითხზე იმუშავებს, აგრეთვე, საზოგადოებასთან ურთიერთობის ეთიკისა და რელიგიის კომისიაც. როგორც საზოგადოებასთან ურთიერთობის, ეთიკისა და რელიგიის კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი ნიკოლაძემ "მედიანიუსს" განუცხადა, შეისწავლიან მტკვარში ჩანადენი წყლების გამწმენდი ნაგებობების მდგომარეობას და შესაბამისად, ჩამოყალიბდება პროგრამა, რომელიც მტკვრის დაბინძურების პრობლემის გადასაჭრელად საჭირო ღონისძიებებს შეეხება. **მედიანიუსი**

*დაპირისპირება*

## "ავს თუ ავი არ ვუწოდო, კარგს სახელად რა დავარქო"

თსუ-ის სოხუმის ფილიალის დირექტორის ოთარ ჟორდანიასეული ხელმძღვანელობის მანკიერი სტილი, შეცოდებები და დანაშაულობები თავის დროზე (2004 წლის თებერვალ-მარტის თვეში მიმდინარე აქციები) საფუძვლიანად იქნა მხილებული, რის შედეგადაც საქართველოს ხელისუფლებისაგან მივიღეთ დაპირება, რომ ოთარ ჟორდანიას ჩამოაშორებდა ფილიალის ხელმძღვანელის თანამდებობას, მაგრამ დაპირება დაპირებად დარჩა. ოთარ ჟორდანია თავის უახლოეს, მისგან მომადლიერებულ გარემოცვასთან ერთად ჯიუტად განაგრძობს კოლექტივის დაშლის საქმეს. ჩვენ ვვარაუდობდით, რომ ახალი კანონი განათლების შესახებ ბოლოს მოუღებდა ოთარ ჟორდანიას უთავბოლო პარპაშს ფილიალში. მართალია, აღნიშნული კანონის ამოქმედება ფილიალის სინამდვილისათვის ერთობ გაჭიანურდა, ამის მიუხედავად იმედს ვიტოვებთ, სინათლე ჩვენს გვირაბში მაინც შემოაღწევს.

ოთარ ჟორდანია კი არ ცხრება, ცდილობს "გადააბიჯოს" კანონს... და მისი თანამდგომთა პირით (და ხელებით) ცდილობს, კიდევ ორი წლით დაისაკუთროს დირექტორის სავარძელი. ზემოთქმულის დადასტურებას წარმოადგენს გაზეთ "24 საათის" 3 მარტის ნომერში გამოქვეყნებული სტატია მრავლისმეტყველი სათაურით - "დამიჭირეს, მკლავი მომჭრეს, რატომ კარგი აგიგია", სადაც კოლექტივის ყველა მიღწევა ოთარ ჟორდანიაზეა მიწერილი. სტატიის ავტორები პირდაპირ მოითხოვენ, ნება მიეცეს 65 წელს მიღწეულ ჟორდანიას, რომელიც დირექტორის თანამდებობაზე 12(!!!) წელია მუშაობს, დარჩეს ამ თანამდებობაზე. მინიშნებითაა ნათქვამი, ჟორდანია კარგი კაცია, მას მხარს უჭერენ და იქნებ დავტოვოთ თანამდებობაზეო! ხოლოდ ასეთი დასკვნისკენ უბიძგებენ წერილის ავტორები ხელისუფლებას.

საგულისხმოა, რომ ჟორდანიას თანამესუფრეების აღნიშნული სახოტბო სტატიის წინ, იმავე გვერდზე გაზეთ "24 საათის" 3 მარტის ნომერში დაბეჭდილია ფილიალის ერთიანი სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარის მეტად მწვავე მამხილებელი ფაქტებით გაჯერებული წერილი სათაურით "დაპირისპირება".

აღნიშნულ სტატიათა შედარებით ანალიზი გვიჩვენებს, რომ სტუდენტთა თვითმმართველობის ხელმძღვანელის სტატია წარმოადგენს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მხილებას სისხლის სამართლის დანაშაულებებში, რაც ფაქტებით არის გამაგრებული, ხოლო მეორე სტატია ჟორდანიას ბოდვის რანგში აყვანილი გაუთავებელი ხოტბა-დიდებაა.

სტუდენტთა ყველა წერილში მოყვანილია უამრავი ფაქტი, მისი დანაშაულებრივ ქმედებათა შესახებ და ჩვენ არ ვაპირებთ მის წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდებები დავამძიმოთ სხვა, უფრო მძიმე ბრალდებებით, მაგრამ იმედს ვიტოვებთ, რომ სათანადო ორგანოები საგულდაგულოდ შეისწავლიან ამ ბრალდებათა მართებულობას და დაადასტურებენ ან უარყოფენ მათ.

ოთარ ჟორდანია ამასობაში არხეინად განაგრძობს მის ოპონენტთა ლანძღვა-გინებას (იხ. მისი წერილი ხელისუფლების წარმომადგენლისადმი გიორგი ბარამიძის სახელზე), სადაც ის მოითხოვს მის "მოწინააღმდეგეთა" სასტიკად დასჯას.

და, ბოლოს ერთი პასაჟიც - 2005 წ. 28 თებერვალს ოთარ ჟორდანიამ მძიმე შეურაცხყოფა მიაყენა მისივე მდივანს ქალბატონ ნატო ვეკუას. ამაზე კარგად გვამცნობს თვით ნატო ვეკუას განცხადება ოთარ ჟორდანიას სახელზე.

ერთხელ კიდევ ვუბრუნდებით ო. ჟორდანიას მეხოტბეთა "საოცარ წერილს", რომელშიც ყველაფერი ვარდისფერი სათვალეებიდანაა დანახული, "პოტიომკინის სოფლად" რომ წარმოაჩენს მავანთა საქმეებს.

1. დაქირავებული მეხოტბეები კრინტსაც არ ძრავენ იმ ფაქტებზე, რომ ჟორდანია მისაღები კომისიის ზოგიერთ თავმჯდომარეს 5-6 წლის განმავლობაში არ ცვლიდა (!!!), რითაც უნდობლობას უცხადებდა სხვებს და, რაც არსებითია, მის მიერ მომადლიერებულ თავმჯდომარეებს აკეთებინებდა იმას, რასაც მოისურვებდა.

2. მისაღებ გამოცდებზე აბიტურიენტთა ნაწერების გასწორების ობიექტურობა "დაინტერესებულ პირთა" სურვილების შესაბამისად ხდებოდა, რაზეც არაერთხელ მიუთითეს ჟორდანიას ფაკულტეტის დეკანებმა. ჩვენი ამ მოსაზრების სისწორეში სულ იოლად შეიძლება დარწმუნდეს ყველა, ვინც ამას მოისურვებს - "პატრონიან" აბიტურიენტს ყოველთვის წამატებული აქვს ერთი ან ორი ნიშანიც კი (!!!), არაფერს ვამბობთ ასეთ ნაწერთა "ჩასწორება-შესწორებებზე" (!!!). მეხოტბეები კი ამას ჟორდანიას საამებლად გვერდს უვლიან! ზოგიერთმა დეკანმა ამ უმსგავსოებათა თავიდან ასაცილებლად მოითხოვა აბიტურიენტთა წერითი ნაშრომებისათვის გასწორებამდე ("ჩასწორებამდე") ქსეროასლი გადაეღოთ, რაც გამორიცხავდა ამ პროცესებში მაქინაციებს, მაგრამ ნურას უკაცრავად, ამას კატეგორიულად აღუდგნენ წინ ჟორდანია და კომისიის ზოგიერთი წევრი. თუ რატომ, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს.

3. მოდით ახლა გამოსაშვებ სახელმწიფო გამოცდებზე წერითი გამოცდის ჩატარების ჟორდანიასეულ ტექნოლოგიას გავეცნოთ.

ჯერ ერთი, ეს იდეა სრულებითაც არ ეკუთვნის ჟორდანიას, როგორც ამას მას მიაწერენ; მართლაც მისასალმებელი იყო წერითი გამოცდების ჩატარება სახელმწიფო გამოცდაზე, მაგრამ ჟორდანიამ ისეთი მახინჯი ფორმა მისცა ასეთ გამოცდებს, რომ გამოცდებმა ფარსის სახე მიიღო: ჟორდანიამ წერითი გამოცდებიდან პირდაპირ გამოყარა საგამოცდო კომისიის წევრი პროფესორ-მასწავლებლები და სახელმწიფო გამოცდების ჩატარება დაავალა უნივერსიტეტის ტექნიკურ თანამშრომლებს (!!!). მათ კი აამოქმედეს პრინციპი - ვინც არ მსურს, იმას არ გადავაწერინებ, ხოლო ვისი "მადლიერიც ვარ", გადავაწერინებ. ანუ რისი დანახვაც არ მსურს, არ დავინახავ, რისი დანახვაც მინდა, დავინახავო. ჟორდანიას ასეთი სტილის მანკიერებაზე გვიჩვენებს ის ფაქტი, რომ იმ სტუდენტთა ნაწილმა, რომლებმაც წერით გამოცდაში მიიღეს შეფასება "ხუთი", ზეპირში არადამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღეს (!!!). დასკვნა, ცხადია ამ უკანასკნელებს "შპარგალკიდან" გადააწერიეს. ჟორდანიასეული წერითი გამოცდების მახინჯი წესების წინააღმდეგ სასტიკი პროტესტი გამოაცხადეს ზოგიერთმა თავმჯდომარემ, ხოლო ზოგიერთმა თანათავმჯდომარემ უარი განაცხადა ამ თანამდებობაზე.

მეხოტბეთა საპირისპიროდ ჩვენ ვიმოქმედებთ პრინციპით "ვინც არა ჰგავს კახაბერსა, ჩვენ ვერ ვიტყვით კახაბერად", და კიდევ "დროზე მოსვლა-სიბრძნეა, მაგრამ უფრო დიდი სიბრძნეა-დროზე წასვლა". ამიტომ ჩვენ ვეუბნებით ოთარ ჟორდანიას - "დროზე წადი", თუმცა იგი კი ურცხვად "იტყვის ჩემი სჯობსო ვითა ჯორი".

ჩვენ გვჯერა: "მოახლოებულ არს ჟამი ჭეშმარიტების ზეიმისა"

***სოხუმის უნივერსიტეტის გადარჩენის კომიტეტი***

## ვიფიქროთ უფრო დიადზე ...

73 წლის წინათ ნ. რერიხი წერდა: "მშვენიერების შეუწყვეტელი შემეცნების, გულისა და შეგნების დაუღალავი გაფაქიზების გარეშე, კაცთმოძულეობაში სამყაროს ჯოჯოხეთად ვაქცევთ. უფრო მეტიც, ხელს შევუწყობთ მის სამარცხვინო განადგურებას". თუ დროს არ მივაქცევთ ყურადღებას, იფიქრებ, რომ ამ სიტყვების ავტორი ჩვენი უნივერსიტეტის მაგალითზე წერს. მართლაც, ჯოჯოხეთად გვექცა ძლივს გადარჩენილი, დაკნინებულ-გაფილიალებული და დევნილი სოხუმის უნივერსიტეტი. ვგულისხმობ წვრილმანებზე დაფუძნებულ იმ დიდ ხმაურს, რომელიც უკვე კარგადაა ცნობილი ფართო საზოგადოებისათვის, უშუალო თუ სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებით.

მე მიზნად არ ვისახავ ვინმეს განკითხვას, ეს მხოლოდ ღმერთის პრეროგატივაა. ვწუხვარ მხოლოდ იმ ფაქტის გამო, რომ სტუდენტები მოწმე (ზოგიერთი მონაწილეც კი) ხდებიან პროფესორ-მასწავლებელთა ამ თავშეუკავებელი ანგარიშსწორებისა. ახლა, როდესაც მოვიდა ახალი ხელისუფლება, გამოჩნდა სინათლე, პროცესშია კარდინალური რეფორმები, ვიჩენთ სულსწრაფობას, ვუსწრებთ მოვლენებს და სიცოცხლეს ვუმწარებთ ერთმანეთს. თუ ასეთი უვარგისი და დამაქცევარი იყო ჩვენი რექტორი, პროფ. ო. ჟორდანია, ნუთუ ასე მწარედ შეცდა მთავრობა, ან რაღაც მიკერძოებას ჰქონდა ადგილი, როცა სოხუმის ფილიალმა წარმატებით გაიარა აკრედიტაცია და ამდენ უმაღლეს სასწავლებელს შორის მე-4 ადგილი დაიკავა?!

რომელ სიმართლეზე ვლაპარაკობთ, ძვირფასო კოლეგებო, ასე საქვეყნოდ?! იმ წვრილმანებზე, რომლებიც უნივერსიტეტის შიგნით, კულტურულ ატმოსფეროში სწრაფმოგვარებადია?! აქ მინდა შეგახსენოთ ერთი ეპიზოდი ბიბლიიდან მეძავთან დაკავშირებით: როცა მწიგნობარნი და ფარისეველნი მოსეს რჯულის სახელით მეძავის ჩაქოლვას მოითხოვდნენ, როგორ მოიქცა იესო ქრისტე? მან თქვა: "ვინც თქვენს შორის უცოდველია, პირველად იმან ესროლოს ქვა"- ო ( იოანე 8:3-9). ეს რომ მოისმინეს, სინდისი ეყოთ მომჩივნებს და სათითაოდ გაიკრიბნენ.

ძვირფასო კოლეგებო, რისთვის ვხარჯავთ დროს, ენერგიას, აზროვნებას. რა მაგალითს ვაძლევთ ჩვენს სტუდენტ ახალგაზრდობას? მტრობასა და სიძულვილს როდის მოუტანია სიხარული, მშვიდობა და ბედნიერება. რატომ ვაკავებთ სტუდენტთა ცნობიერებას მდაბიური, უკადრისი, არაფრისმომცემი საქმეებით, როცა შეგვიძლია და გვევალება კიდეც, მათი მზერა მივაპყროთ იდეალურს და ამაღლებულს, ზნეობრივს: მშვენიერებას, ჰარმონიას, თანხმობასა და ერთიანობას; გული მოვუმზადოთ და განვაწყოთ, ეძიონ "რაც ჭეშმარიტია, რაც პატიოსანია, რაც მართალია, რაც წმიდაა, რაც სიყვარულის ღირსია, რაც საქებარია, ყოველივე, რაც სათნო და ქებულია" ( ფილიპინელთა 4:8); დაეწაფონ ბიბლიას, იკითხონ კლასიკოსები, ეზიარონ ხელოვნების სიდიადეს, პოეზიას, განივითარონ აზროვნება, მეტყველების კულტურა. შეეჯიბრონ ერთმანეთს სიყვარულში, სიკეთეში, სწავლასა და შრომაში.

ნურავინ შეეცდება თავისი თავის მსხვერპლად ან აღმატებულად წარმოჩენას, "ხე თავისი ნაყოფით შეიცნობა", ყველას თავისი საქმეები წარმოაჩენს. ჩვენს გონიერ ხალხს არაფერი ეშლება და, თუ ყოველთვის ქეჩოში არ წვდება ულირსს, იმიტომ, რომ გარკვეულ დრომდე მის გონსმოგებას ელოდება.

სიკეთეც და ბოროტებაც კოლექტიურ მეხსიერებაში ერთნაირად ფიქსირდება. ერთის ან მეორის პროვოცირებას შესაბამისი სიტუაცია იწვევს, ამიტომაც გონიერი ადამიანი ყოველთვის მოერიდება საზოგადოებისათვის უადგილოდ თავის შეხსენებას და შეეცდება თავისი გულისა და შეგნების ჩუმად გასუფთავებას, თვალსაზრისის გაჯანსაღებას.

არავის აწყენს ბიბლიური რჩევა: "შეიცანი თავი შენი" და ისწრაფე სრულყოფილებისაკენ! ნაკლოვანი მხარეების მუქ ფერებში წარმოჩენის მცდელობა ტენდენციურობის შთაბეჭდილებას ტოვებს, მით უმტეს მაშინ, როცა სასარგებლო საქმეებზე, რომლებიც ბევრად ფარავს ხარვეზებს, კრინტიც არ არის დაძრული.

დიდი სურვილი გვაქვს და იმედიც, რომ ჯერ საკუთარი თვალიდან ამოვიღებთ დირეს, რომ სხვის თვალში ბეწვი უკეთესად დავინახოთ.

***გულნაზ ხუხუა,***
***თსუ სოხუმის ფილიალის პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის კათედრის გამგე, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი***

# აკაკი ჩხაიძეს ძველი საქმე გაუხსენეს

*შევარდნაძის დროინდელი ხელისუფლების ერთ-ერთი ყველაზე ოდიოზური ფიგურა - "საქართველოს რკინიგზის" გენერალური დირექტორი აკაკი ჩხაიძე, რომელიც ბათუმში ჩატარებული ხმაურიანი სპეცოპერაციის შედეგად დააპატიმრეს, დაპატიმრებიდან რამდენიმე თვეში სრულიად უხმაუროდ გაათავისუფლეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან. მის მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმე, რომელიც სახელმწიფოსთვის მიყენებულ მილიონობით ზარალს ითვლიდა, შეწყდა - აკაკი ჩხაიძეს თავისუფლება 10 მილიონი ლარი დაუჯდა და "კორუფციის მამად" მონათლული ჩხაიძე ახლა ტექნიკურ უნივერსიტეტში კითხულობს ლექციებს. თუმცა, როგორც ჩანს, სამართალდამცველებს მისი სიმშვიდის დარღვევა კიდევ ერთხელ მოუწევთ.*



*აკაკი ჩხაიძის დაპატიმრებამდე ამჯერად საქმე ალბათ არ მივა.*

საქმე ისაა, რომ პროკურატურა "საქართველოს რკინიგზით" დაინტერესდა და ფინანსური პოლიციის თბილისის ოპერატიულმა სამმართველომ ჩატარებული მოკვლევის შემდეგ, "საქართველოს რკინიგზის" კუთვნილი ქონების განიავების ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღძრა. ფინანსური პოლიციის ინფორმაციით, მათ მიერ ჩატარებული მოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ რკინიგზის ყოფილმა დირექტორმა აკაკი ჩხაიძემ ხელშეკრულება გააფორმა ლატვიურ ფირმა "ბალტიას რემონტა გრუპასთან", რომელსაც სამი ელექტრომატარებლის კაპიტალური რემონტი და მოდერნიზაცია უნდა ჩაეტარებინა, რაც 1 224 000 დოლარი ჯდებოდა.

როგორც ფინანსურ პოლიციაში აცხადებენ, ქართულმა მხარემ ლატვიურ ფირმას მხოლოდ თანხის ნახევარი გადაუხადა. რკინიგზის ყოფილმა ხელმძღვანელებმა ვერ უზრუნველყვეს ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში საჭირო თანხების გაგზავნა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი რიგაში მივლინებითაც იმყოფებოდნენ, თუმცა სიტუაციითა და მატარებლების რეალური მდგომარეობით არც დაინტერესებულან.

ფინანსური პოლიციის ინფორმაციით, 2004 წლის დეკემბერში რიგაში გაგზავნილმა რკინიგზის ახალმა ხელმძღვანელმა პირებმა დააფიქსირეს, რომ საქართველოს კუთვნილი ორი ექვსვაგონიანი მატარებელი ლატვიურმა ფირმამ ჯართად დაჭრა და მათი კაპიტალური შერემონტება არც არასდროს დაუწყია.

ფინანსურმა პოლიციამ სისხლის სამართლის საქმე რკინიგზის ყოფილი ხელმძღვანელების მიმართ სამსახურებრივი გულგრილობით დიდი ოდენობით ქონების გაფლანგვის მუხლით აღძრა. მათი გულგრილი ქმედებების გამო სახელმწიფო ბიუჯეტმა 612 ათასი აშშ დოლარი იზარალა. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, დანაშაული 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. თუმცა, ფინანსური პოლიცია, გარდა აკაკი ჩხაიძისა, ჯერჯერობით, არ ახმაურებს იმ ყოფილ მაღალ ჩინოსანთა ვინაობას, რომელთა პასუხისმგებლობის საკითხიც შესაძლოა, დადგეს. რაც შეეხება აკაკი ჩხაიძეს, მას სამართალდამცველთა რისხვა აღარ შეეხება, რადგან მის წინააღმდეგ აღძრული კორუფციული საქმე გენერალურ პროკურორსა და ბრალდებულს შორის გაფორმებული გარიგების საფუძველზე შეწყდა, თუმცა, რკინიგზის ყოფილ შეფს სამართალდამცველებთან დაკითხვაზე მისვლა მაინც მოუწევს.

*24 საათი*

## მოკლედ

### ციხიდან გაქცეული პოლიციელებს თავს დაესხა

შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, სამტრედიის რაიონის სოფელ დაფნარში ავტომატებით შეიარაღებული სამი პირი თავს დაესხა ავტომანქანით მოძრავ საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს - სამტრედიაში მცხოვრებ, 38 წლის მამუკა კიკაბაძეს და ვანის რაიონის სოფელ მუქედში მცხოვრებ, 34 წლის დავით მინაშვილს, რომელიც ავტომატიდან გასროლით დაჭრეს მკლავსა და იღლიაში და გასტაცეს ტაბელური პისტოლეტი "იერიხო" 30 ვაზნით. თავდამსხმელებმა ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით დააზიანეს საპატრულო ავტომანქანის წინა საქარე მინა, ძრავი და სხვა ნაწილები. ამის შემდეგ მათ გააჩერეს ხელვაჩაურში მცხოვრები, 44 წლის თამაზ ბერიძე, რომელსაც ძალადობის მუქარით წაართვეს "მერსედესის" მარკის ავტომანქანა, რომელიც მოგვიანებით ჩოხატაურის რაიონის სოფელ ქვემო ბურნათში იპოვეს. ავტომანქანიდან გატაცებულია ბერიძის კუთვნილი 600 ლარი და მობილური ტელეფონი.

გატარებული ოპერატიული ღონისძიების შედეგად დაადგინეს დამნაშავეთა ჯგუფის ერთ-ერთი წევრი, 2004 წელს გეგუთის შრომა-გასწორების კოლონიიდან გაქცეული, სამტრედიის შს განყოფილების მიერ ძებნილი, 47 წლის თენგიზ ფხაკაძე, რომელიც სასჯელს იხდიდა მკვლელობისა და ყაჩაღობისათვის. საქმეს სამტრედიის საგამოძიებო დეპარტამენტი იძიებს. **24 საათი**

### სანკტ-პეტერბურგში საქართველოს მოქალაქეს 800 ათასი რუბლი წაართვეს

სანკტ-პეტერბურგში უცნობი პირები თავს დაესხნენ და საქართველოს მოქალაქეს 800 ათასი რუბლი წაართვეს. სანკტ-პეტერბურგელ სამართალდამცველთა განცხადებით, თავდასხმა გუშინწინ, შუაღამისას ერთ-ერთი სახლის სადარბაზოში განხორციელდა. პეტერბურგში არალეგალურად მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეს, 43 წლის ქალბატონს სამმა უცნობმა ჩანთა წაართვა. ქალის ყვირილზე სახლის მაცხოვრებლები, რომლებიც შემდეგ თავდასხმის ობიექტის ახლობლები გამოდგნენ, ავტომანქანით გაქცეულ მძარცველებს ასევე ავტომანქანით დაედევნენ, ერთ-ერთმა ბოროტმოქმედმა მდევრების მისამართით პისტოლეტიდან ორჯერ გაისროლა, რის შედეგადაც, სანკტ-პეტერბურგში ასევე არალეგალურად მცხოვრები, 18 წლის, საქართველოს მოქალაქე თეძოსა და მუხლის არეში დაიჭრა. დაჭრილი საავადმყოფოშია მოთავსებული და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია. მომხდარ თავდასხმასთან დაკავშირებით აღიძრა საქმე და მიმდინარეობს გამოძიება. **24 საათი**

### მორიგი კრიმინალური გარჩევა მსხვერპლით დასრულდა

გლდანი-ნაძალადევის რაიონის პოლიციის სამმართველოს მე-7 განყოფილებაში შევიდა შეტყობინება, რომლის მიხედვითაც, მე-4 საავადმყოფოში თავისა და გულმკერდის არეში მიყენებული მრავლობითი ჭრილობებით მიიყვანეს 23 წლის ვახტანგ ხოშტარია, რომელიც საავადმყოფოში გარდაიცვალა.

მე-7 განყოფილების თანამშრომლებმა გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად დაადგინეს, რომ 7 მარტს მომხდარი კრიმინალური გარჩევის დროს 22 წლის დიმიტრი მიქაელიანმა, ურთიერთშელაპარაკებისას, დანით თავისა და გულ-მკერდის არეში დაჭრა ვახტანგ ხოშტარია, რომელმაც ასევე, გულ-მკერდის არეში დაჭრა მიქაელიანი, რომელიც მოთავსებული იქნა საავადმყოფოში. მიქაელიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა, მაგრამ მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

აღნიშნულ ფაქტზე გლდანი-ნაძალადევის რაიონის პროკურატურაში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. საქმეს პროკურატურა იძიებს. **მედიანიუსი**

# არიან თუ არა აფრასიძეები უკანონო პატიმრები?

### ადვოკატები აპირებენ, სტრასბურგის სასამართლოს მიმართონ

*სტრასბურგის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოში საქართველოდან გაგზავნილ სარჩელებს, სავარაუდოდ, აფრასიძეების ოჯახის საქმეც მიემატება. შარშან, 24 მარტს მესტიის რაიონის სოფელ ეცერში, არაერთ დანაშაულში ეჭვმიტანილი აფრასიძეების დასაკავებლად ჩატარებული სპეცოპერაციის შემდეგ ცოცხლად გადარჩენილი გოჩა და შმაგი აფრასიძეების ადვოკატები აპირებენ, ევროსასამართლოს მიმართონ. სტრასბურგში გასაგზავნ სარჩელში ძმები აფრასიძეების პატიმრობის კანონიერების ეჭვქვეშ დაყენებასთან ერთად, აფრასიძეების ოჯახზე - ქალებისა და ბავშვების თავს დატრიალებული ტრაგედიის შეფასებასაც მოითხოვენ.*

როგორც ცნობილია, არაერთ დანაშაულში ბრალდებული და წლების მანძილზე ძებნილი მამა-შვილი აფრასიძეების დასაკავებლად ჩატარებული მასშტაბური სპეცოპერაციის დროს ოჯახის ორი წევრის - მამა, ევგენი აფრასიძისა და ერთ-ერთი შვილის, ომეხ აფრასიძის ლიკვიდაცია აფრასიძეების მხრიდან შეიარაღებული წინააღმდეგობითა და აუცილებელი მოგერიების ფარგლებში მოქმედებით გამართლდა. სპეცოპერაციის შედეგად კი დაკავებულ იქნენ გოჩა და შმაგი აფრასიძეები, მათი საქმის გამოძიება დასრულდა და საქმის მასალები სასამართლოშია გადაგზავნილი. მიუხედავად სამართალდამცველთა კმაყოფილებისა, განსასჯელთა ადვოკატები სხვადასხვა ფაქტებზე დაყრდნობით, ირწმუნებიან, რომ სვანეთში ჩატარებული სპეცოპერაციისას აფრასიძეთა ნაწილი სრულიად გამიზნულად ჩახოცეს, ხოლო, თუ გამოძიების მასალების მიხედვით ვიმსჯელებთ, პატიმრობაში მყოფი აფრასიძეები უდანაშაულოები არიან.

**"აფრასიძეების ოჯახზე სადამსჯელო, სისხლიანი სპეცოპერაცია სრულიად გაუმართლებლად დაიგეგმა. ჩვენ არ ვიცით, ვინ შეიყვანა ხელისუფლება შეცდომაში, მაგრამ ფაქტია, ამ ოჯახის წევრები თავისუფლად გადაადგილდებოდნენ, მათთან ხშირად სტუმრობდნენ მაღალჩინოსანი პოლიციელები, რასაც გადაღებული ფოტოებიც ადასტურებს. აქედან გამომდინარე, უსისხლოდ მათი დაპატიმრება თავისუფლად შეიძლებოდა და არავითარ აუცილებლობას არ წარმოადგენდა, მათი ოჯახის წინააღმდეგ (რომელშიც მამაკაცებთან ერთად ოთხი მცირეწლოვანი ბავშვი და ქალები იყვნენ) ასობით შეიარაღებულ სპეცრაზმელს მძიმე ტექნიკა გამოეყენებინა. სხვათა შორის, სპეცოპერაციის დროს, შიშისგან გარდაიცვალა აფრასიძეების მეზობელი ქალი. ამ ფაქტს სამართალდამცველები მკაცრად ასაიდუმლოებენ,"** - ამბობს აფრასიძეების ადვოკატი მალხაზ ჯანგირაშვილი, რომელიც ეჭვქვეშ აყენებს სპეცოპერაციის დროს აფრასიძეების ოჯახის ორი წევრის ლიკვიდაციის მოტივს - აფრასიძეების მხრიდან შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევას. ადვოკატის განცხადებით, თვითმხილველები ჰყვებიან, რომ ომეხ აფრასიძე სამართალდამცველებმა ცოცხლად აიყვანეს და უკვე ბორკილებდადებული დახვრიტეს. საინტერესოა კიდევ ერთი გარემოება: ადვოკატის მტკიცებით, გარდაცვლილ ომეხ აფრასიძეს, ისევე როგორც ამჟამად პატიმრობაში მყოფ მის ძმას გოჩა აფრასიძეს, სხეულზე დანით მიყენებული ჭრილობები ჰქონდა, რაც მათთან ახლო შეხებაზე მეტყველებს. ადვოკატთა ეჭვს აძლიერებს ისიც, რომ გარდაცვლილ ომეხ აფრასიძეს აუცილებელი საგამოძიებო ღონისძიება - სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა არ ჩაუტარდა, რითაც საბოლოოდ დადგინდებოდა მისი გარდაცვალების ზუსტი სურათი. როგორც ცნობილია, სპეცოპერაციის დროს დაიღუპა პოლიციის მიერ წლების წინ შემორიგებული მამა ევგენი აფრასიძეც. იგი სნაიპერის ტყვიამ იმსხვერპლა.

სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის პროკურორი როლანდ ახალაია მიიჩნევს, რომ სპეცოპერაცია კანონიერ ფარგლებში ჩატარდა და მამა-შვილი აფრასიძეების მკვლელობა მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობით იყო გამოწვეული, რაც მათი მხრიდან გაწეულ შეიარაღებულ წინააღმდეგობას მოჰყვა. თუმცა, ეს ყველაფერი აფრასიძეების ადვოკატების მტკიცებით, მომავალში რეალურად შეფასდება პროცესით, რომელიც სტრასბურგის ადამიანის უფლებების დაცვის სასამართლოში დაიწყება.

მანამდე კი, ადვოკატები მალხაზ ჯანგირაშვილი და ნიკა გორდეზიანი ქართული მართლმსაჯულების წინაშე გოჩა და შმაგი აფრასიძეების უკანონო პატიმრობის დამტკიცებას შეეცდებიან.

**"საქმის რეზონანსულობის გამო, აფრასიძეების მიმართ გამოძიების მხრიდან უპრეცედენტო კანონდარღვევები განხორციელდა. დავიწყოთ იმით, რომ გამოძიებამ სვანეთში გაუხსნელი საქმეების დიდი ნაწილი თავდაპირველად სწორედ გოჩა და შმაგი აფრასიძეებს მიაწერა. თუმცა, მოგვიანებით, ჩვენი ჩარევის შემდეგ, გარკვეული ნაწილის ჩამოშორება მოუხდათ და, საბოლოოდ, რამდენიმე მუხლი დაუტოვეს, რაც, გამოძიების მასალების მიხედვით, ასევე არ დასტურდება და ამის დამტკიცებას სასამართლოში აუცილებლად შევძლებთ,"** - ამბობენ აფრასიძეების ადვოკატები.

სამართალდამცველებისათვის წინააღმდეგობის გაწევაში, განზრახ მკვლელობის მცდელობაში, იარაღის უკანონო შეძენა-შენახვაში ბრალდებულ გოჩა და შმაგი აფრასიძეების საქმე უზენაეს სასამართლოში დაახლოებით ოთხი თვის წინ გადაიგზავნა, მაგრამ დღემდე პროცესი არ დაწყებულა. ადვოკატები ვარაუდობენ, რომ საქმეში ისეთი კანონდარღვევებია, მართლმსაჯულებამ ძმები აფრასიძეები პატიმრობიდან თუ არ გაათავისუფლა, საქმე ხელახალ ძიებაში მაინც უნდა დააბრუნოს. ადვოკატთა მხრიდან გამოძიებისადმი წაყენებული პრეტენზიების ნუსხა კი არც ისე მცირეა.

**"საქართველოს კანონმდებლობა გამოძიებას კანონის სრულ დაცვას ავალდებულებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, პატიმარი უკანონოდ ითვლება და იგი უპირობოდ უნდა გათავისუფლდეს. აფრასიძეების საქმის ძიებისას თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ არც ერთ სამართალდამცველ სტრუქტურას, ამასთან, არც მართლმსაჯულებას არ გახსენებია კანონის უზენაესობა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ აფრასიძეების საქმეზე გამოძიება საერთოდ არ ჩატარებულა. გოჩა და შმაგი აფრასიძეები და მათი მოსამსახურე ვლადიმერ მურავიოვი (ისიც სპეცოპერაციის დროს დააკავეს), რომელთა საქმეებიც ჯერ მესტიის პროკურატურას, შემდეგ კი სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის პროკურატურას ერიცხებოდა, შესაბამისად, ზუგდიდის საპყრობილეში უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ ექვსი თვის განმავლობაში ისინი თბილისის №7 საპყრობილეში იმყოფებოდნენ და მათზე სხვადასხვა სახის ზეწოლა ხორციელდებოდა. ამასთან, გოჩა აფრასიძე ოთხი თვის მანძილზე ისე იყო პატიმრობაში, რომ მას ბრალიც არ ჰქონდა წარდგენილი. მართალია, გამოძიებამ ძმებს ბრალი დაგვიანებით წარუდგინა, მაგრამ მიუხედავად პატიმრების მოთხოვნისა, არც ერთისთვის ჩვენება არ ჩამოურთმევიათ. გამომძიებლები აფრასიძეებს ცხრა თვის განმავლობაში მხოლოდ ორჯერ შეხვდნენ და, ბოლოს, საქმე სასამართლოში ისე გადაგზავნეს, რომ გოჩა აფრასიძეს, რომელსაც თვალის ბადურა დაშლილი აქვს, საქმე არ გააცნეს,"** - აღნიშნა მალხაზ ჯანგირაშვილმა, რომელიც ირწმუნება, რომ "ყველა სიკეთესთან" ერთად, გამოძიებამ ბრადებულები დაცვის გარეშე დატოვა, რადგან საქმის გამოძიების დასრულების შემდეგ ადვოკატებს, კანონით, შუამდგომლობებისთვის გათვალისწინებული 15-დღიანი ვადის გამოყენების უფლება არ მისცეს.

**"ეს იმ უპრეცედენტო კანონდარღვევების ნაწილია, რომელთა დასახელებაც დღეს შეგვიძლია, უამრავ სიურპრიზს კი გამოძიებას სასამართლოზე ვპირდებით - დაცვის ტაქტიკიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე არ გავამხელთ,"** - ამბობს ნიკა გორდეზიანი.

აფრასიძეების საქმეში არსებულ დარღვევებს მათი ადვოკატები იმ გაუხსნელი, რეზონანსული გატაცებების გახსნილად გამოცხადების სურვილით ხსნიან, რომლებიც სპეცოპერაციის შემდეგ სამართალდამცველებმა პირდაპირ დაუკავშირეს აფრასიძეების გვარს და შემდეგ კი ამასთან დაკავშირებული კითხვები პასუხგაუცემელი დატოვეს.

ცნობილია, რომ ფეხბურთელ კახი კალაძის გატაცებული ძმის, ლევან კალაძის და რამდენიმე წლის წინ გატაცებული მარიამ გოგინაშვილის კვალს სამართალდამცველები აფრასიძეების ოჯახში ეძებდნენ. ფაქტობრივად, სპეცოპერაცია ამის გამოც დაიგეგმა.

როგორც ადვოკატები ირწმუნებიან, ძმები აფრასიძეები და მათ ოჯახში მცხოვრები მურავიოვი თბილისის საპყრობილეში უკანონოდ სწორედ აღნიშნული საქმეების გამო ჰყავდათ და მათი ოპერატიული დამუშავება ხდებოდა.

**"პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ძალოვანი უწყებების ცალკეული წარმომადგენლები საკმაოდ ბინძურ მეთოდებს მიმართავდნენ, რათა, რადაც არ უნდა დასჯდომოდათ, გატაცებების ბრალდება შეეთითხნათ. საქმეში ოფიციალურად არსებობს დოკუმენტები, თუ როგორ "ამუშავებდნენ" მურავიოვს და როგორ აწერინებდნენ ცრუ ჩვენებებს, თითქოს მან აფრასიძეების ოჯახში კალაძე და გოგინაშვილი ნახა,"** - ამბობს მალხაზ ჯანგირაშვილი.

ადვოკატის თქმით, გამოძიება თვითონვე ხვდებოდა აღნიშნული ვერსიის უსაფუძვლობას, რისი დასტურიც არის ამ კუთხით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებები.

**"კურიოზია, მაგრამ ცხრათვიანი ძიების პროცესში კალაძის შესახებ ერთადერთხელ დაისვა კითხვა და ისიც მხოლოდ გოჩა აფრასიძეს ჰკითხეს. მურავიოვის ცრუ ჩვენებებს კი მხოლოდ ის შედეგი მოჰყვა, რომ მორიგი ქულის ჩასაწერად ეცერში ჩასულმა სამართალდამცველებმა მამაკაცების გარეშე დარჩენილ ოჯახს ის ორმოები დაულუქეს, სადაც მთელი წლის სარჩოს - კარტოფილს ინახავდნენ. სამი ტონა კარტოფილი მიწაში ისე გაიყინა, რომ, მიუხედავად უამრავი თხოვნისა, აფრასიძეების დედას, რძალს, რომელიც სპეცოპერაციის შედეგად ფსიქიურად დაავადდა, და ოთხ მცირეწლოვან ბავშვს მისი ამოთხრის საშუალება არ მისცეს და, ფაქტობრივად, შიმშილისთვის გაწირეს,"** - ამბობს ნიკა გორდეზიანი, რომელსაც იმედი აქვს, რომ წინასწარი გამოძიების პროცესში დაშვებულ შეცდომებს მართლმსაჯულების მხრიდან შესაბამისი რეაგირება მოჰყვება.

სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის პროკურატურაში, სადაც აფრასიძეების საქმეს იძიებდნენ, მიიჩნევენ, რომ ძმები აფრასიძეების საქმე კარგად არის გამოძიებული და მათ ბრალდებაც სწორად აქვთ წარდგენილი. რაც შეეხება პროცესუალურ დარღვევებს, რეგიონის პროკურორის როლანდ ახალაიას თქმით, ამაზე სასამართლო იმსჯელებს.

სასამართლო პროცესის დაწყებამდე კი აფრასიძეების დედა პრეზიდენტს წერილს სწერს და სთხოვს, პირად კონტროლზე აიყვანოს საქმე, რათა სასამართლო ობიექტურად და მიუკერძოებლად წარიმართოს.


## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

ანკეტა

სახელი, გვარი...........................................

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი...........................

საკონტაქტო ტელეფონი.......................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფმშენის" შენობის 1-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.77. იურიდიული ოფისი "გაპი".

**1**

**იურიდიული ოფისი „გაპი" და გაზეთი "24 საათი"**

**ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.**

**2**

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში. (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება.) უფასო შეკითხვის ქვითრები გამოქვეყნდება ყოველდღიურად, გაზეთის A7 გვერდზე ხოლო ამომწურავ პასუხს მკითხველი მიიღებს ყოველ ხუთშაბათს გაზეთ "24 საათის" მეშვეობით.

მკითხველი, სურვილის მიხედვით, ავსებს უფასო შეკითხვის ქვითრის ქვემოთ გამოქვეყნებულ ანკეტას. ამავდროულად, სასურველია მკითხველმა მიუთითოს საკონტაქტო ტელეფონი, რათა საჭიროების შემთხვევაში, მოხდეს შეკითხვის დაზუსტება.

**3**

ყუთები განთავსებული არიან ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური „ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური „მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური „თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური „წერეთელი";
5. მეტროს სადგური „სამგორი II";
6. მეტროს სადგური „ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური „გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური „დელისი");
8. მეტროს სადგური „ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური „დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფშენის" I სართული.
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი „გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ. 77 იურიდიული ოფისი "გაპი".

# უფასო იურიდიული კონსულტაცია

## "24 საათის" მკითხველისთვის

**ს.ს "ელკავშირის" თანამშრომლები**

მოგეხსენებათ, რომ იყიდება ს.ს. "ელექტროკავშირი". რეორგანიზაციის საბაბით მიდის თანამშრომლების შემცირება განურჩევლად. ვიცით, რომ აქციონერები ვართ, მაგრამ ვერასგზით ვერ მოვიპოვეთ ჩვენი ხელმძღვანელობისგან იურიდიულად დასაბუთებული ინფორმაცია. ამიტომ გთხოვთ, გაგვარკვიოთ; შემცირების შემთხვევაში გვეკუთნის თუ არა აქციები და როგორ მოვიპოვოთ ჩვენი კუთვნილი აქციები.

ბატონო მოქალაქენო,

თქვენ ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ იმ სამეწარმეო რეესტრში, სადაც რეგისტრირებულია აღნიშნული სააქციო საზოგადოება. კერძოდ, ეს რეესტრი მდებარეობს შესაბამის მარეგისტრირებელ რაიონულ სასამართლოში. ამ რეესტრში აღნიშნული იქნება 100% წილი აქციებიდან ვის რამდენი წილი აქცია ეკუთვნის. რეესტრში გატარებული ინფორმაცია საჯაროა და მისი მიღება ყველას შეუძლია. ის ფაქტი, რომ სამსახურიდან ითხოვენ მუშაკებს, არ წარმოადგენს აქციებზე საკუთრების ჩამორთმევის პირობას. აქციები შემდგომშიც გეკუთვნით თქვენ, თუ რა თქმა უნდა, რეესტრის თანახმად მესაკუთრენი თქვენ ხართ. ხოლო თქვენსა (როგორც აქციის მესაკუთრეებსა) და საზოგადოებას შორის არსებულ ურთიერთობებს არეგულირებს "მეწარმეთა შესახებ" კანონი(მუხლები 51-59.).

**ლევან დავითიძე.**

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში არის 177-ე მე-5 პრიმა მუხლი "სერტიფიკაციის შესახებ დადგენილი ნორმებისა და წესების დარღვევა." ეს მუხლი ეხება პროდუქციის რეალიზაციას სერტიფიკატის გარეშე. გამიფორმეს ოქმი სამარშრუტო მანქანაზე, მიუთითეს ზემოხსენებული მუხლი . რამდენად სამართლიანია ან თუ არსებობს სხვა მუხლი?

ბატონო ლევან,

საქართველოს კანონი "პროდუქციის და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ" ადგენს, რომ საქსტანდარტი განსაზღვრავს სავალდებულო სერტიფიცირებას დაქვემდებარებული პროდუქციის და მომსახურების სიას. ხოლო ამ კანონის მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში დადგება კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა. ასეთი ერთ-ერთი პასუხისმგებლობის სახეა თქვენს მიერ მითითებული მუხლი. ამრიგად, თუ თქვენ ეწეოდით საქსტანდარტის მიერ განსაზღვრული პროდუქციის და მომსახურების სერტიფიკატის გარეშე რეალიზაციას, დაჯარიმდებოდით აღნიშნული მუხლით. სხვა რაიმე მუხლი აღნიშნული საკითხის ირგვლივ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში არ არის.

**ნელი როგავა აქციონერთა ჯგუფის სახელით**

სააქციო საზოგადოებას დაფუძნებისას დაუდგინდა საწესდებო კაპიტალი, რომელიც დაყოფილი იქნა შესაბამისი რაოდენობის აქციებად. აქციათა 10% გადაეცათ საწარმოს აქციონერებს, ხოლო აქციათა 90% დარჩა სახელმწიფოს საკუთრებაში. გთხოვთ, განგვიმარტოთ, შემდგომში საწესდებო კაპიტალიდან საპრივატიზაციოდ ამოღებული ქონების 10% კვლავ რჩება თუ არა აქციონერთა საკუთრებაში, თუ საერთო კრების ოქმში, რომელიც შედგენილია ნოტარიუსის მიერ, სახელმწიფოს წარმომადგენელის მონაწილეობით, არ არის მითითებული, რომ ქონება ამოღებულია სახელმწიფოს წილიდან. მასში დაფიქსირებულია მხოლოდ მთლიანი ქონებიდან ნაწილის ამოღება და ცალკე პრივატიზირება.

ქალბატონო ნელი,

საზოგადოების მიერ ქონების გაყიდვისას მის ადგილს დაიკავებს შესაბამისად მიღებული თანხა. ამრიგად, საზოგადოება გახდება მიღებული თანხის მესაკუთრე და აქციონერებს ექნებათ უფლება ამ თანხაზე თავისი წილის შესაბამისად. თუ საზოგადოება გადაწყვეტს ამ თანხის აქციონერბზე დარიგებას, მაშინ თქვენ მიიღებთ ამ თანხის ათ პროცენტს. რაც შეეხება საპრივატიზაციო ქონებას, აქციონერს, როგორც დამოუკიდებელ პირს, შეუძლია იყიდოს იგი. გაყიდულ ქონებაზე კი აქციონერებს აღარ აქვთ რაიმე უფლება.

**გივი მრელაშვილი**

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დააკისრა ჩემს მოვალეს ჩემს სასარგებლოდ 20,0ათ. ა.შ.შ. დოლარის გადახდა. მიმდინარეობს აღსრულების პროცესი. სასამართლო აღმასრულებელმა აუქციონზე გაიტანა "მოვალის" ერთოთახიანი ბინა, 10,0 ათ. აშშ დოლარად შეფასებული, ვალის ნაწილის დაფარვის მიზნით. (მოვალეს სხვა ქონება არ გააჩნია). მალე შედგება მეორე იძულებითი აუქციონი, რომლის შემდეგ თუ ბინა არ გაიყიდა, კანონის თანახმად, ნატურით გადმომეცემა მე. კითხვა: ზემოთ აღნიშნული შემთხვევის პირობებში, როცა ვალს სრულად ვერ ვიღებ, უნდა გადავიხადო თუ არა რაიმე მოსაკრებელი: ა)7% ბ) სხვა რაიმე მოსაკრებელი, გ)ან "მოვალის" დავალიანება.

ბატონო გივი,

სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონის 113-ე 1-ლი პრიმა მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სააღსრულებო მოსაკრებელი არის ამოღებული თანხის 7%. კრედიტორი მოსაკრებელს იხდის თანხის ამოღების შემდეგ. ხოლო 77-ე 1-ლი პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ნივთის ნატურით გადაცემისას მისი ფასი განისაზღვრება აღსრულების პროცესში დადგენილი ნივთის საბაზრო ღირებულებით. 38-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით აღსრულების ხარჯები ეკისრება მოვალეს. 77-ე მუხლის თანახმად თუ მეორე აუქციონზეც არ გაიყიდა ქონება, მისი ხარჯები ეკისრება მოვალეს. ამრიგად, თუ ხდება ქონების აუქციონზე რეალიზაცია, მიღებულმა თანხამ ჯერ უნდა დაფაროს აუქციონის ხარჯები, შემდეგ კრედიტორის ვალი. ასე თუ არ ხდება, აღსრულების ხარჯებს იხდის მოვალე. ხოლო სხვა რაიმე ხარჯებს კანონი არ ითვალისწინებს. რაც შეეხება მოვალის რაიმე დავალიანებებზე პასუხის გებას, ყოველი პირი თვითონ პირადად აგებს პასუხს თავის ვალებზე.

**ლერი ჯაში**

გაწუხებთ წინა ხელისუფლებისაგან მოტყუებული მეანაბრე. 1985 წელს შემნახველი სალარო 3522/244 ანგ. N10572-ით შევიტანე გარკვეული თანხა, იმის იმედით, რომ მოხუცებულობაში პენსიასთან ერთად ვიქნებოდი უზრუნველყოფილი. მაგრამ მათ მიერ იქნა "პრივატიზირებული." ჩემზე კარგად თქვენ იცით ვისაც ეხება ეს. მაინტერესებს, თუ ვეღირსები ამ თანხის დაბრუნებას სიცოცხლეში და რა კურსით და თუ არ დამიბრუნებენ, რა ბედი მოელის თანხას. მაინტერესებს სალაროს წიგნაკი შეიძლება გადავუფორმო ჩემს შვილიშვილს, რა თქმა უნდა, მხედველობაში მაქვს სახელმწიფო სანოტარო კანტორა.

ბატონო ლერი,

საქართველოს კანონი "სახელმწიფო ვალის შესახებ" განსაზღვრავს რა სახელმწიფოს ვალების სახეებს, არაა მითითება აღნიშნული საკითხის ირგვლივ რაიმე. ამ კანონის თანახმად სახელმწიფო ვალებზე კურირებას ახდენს ფინანსთა სამინისტრო. ამავე სამინისტროში შექმნილია სახელმწიფო ვალის რეესტრი, სადაც შეიტანება მონაცემები სახელმწიფოს მიერ აღიარებულ ვალების შესახებ. აღნიშნული საკითხის გასარკვევად შეგიძლიათ, მიმართოთ აღნიშნულ სამინისტროს. რაც შეეხება გადაფორმებას ამის სრული უფლება გაქვთ.

**ნაირა მგელაძე**

თქვენი გაზეთი 24-02-05 წელს ქრისტესაშვილს პასუხობს: "თუ ისინი არ არიან რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, როგორც თანამესაკუთრენი, თქვენ უფლება გაქვთ, გაყიდოთ ბინა მათი თანხმობის გარეშე", ხოლო თქვენი გაზეთი 3-3-05 წელს მგელაძეს პასუხობს: "ხოლო თუ იგი იყო გარდაცვლილის საკუთრება (ლაპარაკია მიწის ნაკვეთზე), მაშინ საჭირო იყო მესაკუთრის თანხმობა ნაკვეთის შესაძენად". გთხოვთ, დაგვიზუსტოთ, თუ ნაკვეთი უკან ჩააბარა მებაღეობას განცხადებით, სადაც მებაღეობას სთხოვდა, რომ ნაკვეთი გადასცემოდა მგელაძეს, -პირმა, რომელსაც არ მოუხდენია მისი პრივატიზაცია, ნაკვეთი არ გაუტარებია საჯარო რეესტრში, ე. ი. არ ჰყოლია თანამესაკუთრე, იყო თუ არა ამისთვის ცოლის თანხმობა საჭირო. რამდენად მართებულია, რომ მე ნაკვეთი გადმომეცა მებაღეობის ამხანაგობიდან, ყოფილ პატრონს აუნაზღაურე ნაკვეთის ფასი მასზე გაწეული ხარჯი 1995 წელს, მოვახდინე პრივატიზაცია, გავატარე საჯარო რეესტრში, გადმომეცა საკუთრებაში მაშინდელი პრეზიდენტის ხელმოწერით და ახლა 2004 წელს გარდაცვლილის მეუღლე ითხოვს ნაკვეთს უკან.

ქალბატონო ნაირა,

თუ მიწის ნაკვეთი არ იყო მის საკუთრებაში და ჰქონდა სარგებლობის უფლებით, მაშინ დაუბრუნა რა იგი მებაღეობის ამხანაგობას, ამხანაგობას თავისი სურვილისამებრ შეეძლო განეკარგა იგი. რადგან გარდაცვლილი არ ყოფილა აღნიშნული მიწის მესაკუთრე, მის მეუღლეს რაიმე საკუთრების უფლება მასზე არა აქვს. გადმოგცათ რა მებაღეობის ამხანაგობამ მიწის ნაკვეთი საკუთრებაში, რომლის სათანადო გადაფორმება მოახდინეთ, წარმოადგენთ მის მესაკუთრეს. ხოლო გარდაცვლილის მეუღლეს უფლება აქვს, იდავოს ამ ნაკვეთზე, თუ რამდენად მართებულია მისი მოთხოვნა, ამას დააგენს შესაბამისი ორგანო(სასამართლო). ამ შემთხვევაში მისმა მეუღლემ უნდა ამტკიცოს თავისი მოთხოვნის მართებულობა. საერთოდ პირს უფლება აქვს წაუყენოს სხვა პირს რაიმე მოთხოვნა და ვალდებულია ამტკიცოს თავისი მოთხოვნის ნამდვილობა საკითხის განმხილველ ორგანოში.

**ობიექტის თანამშრომლები**

თქვენი გაზეთის 2005 წლის 24 თებერვლის N42-ში მოთავსებული იყო პასუხი ჩვენს შეკითხაზე (გაზეთის მეოთხე სვეტის ზემოდან მეორე კითხვა). კითხვა შეეხება გასხვისებული ობიექტის ახალი ხელმძღვანელობის მხრიდან დებიტორული დავალიანების მიღებაზე უარს იმ მოტივით, რომ ეს თანხა მას არ უზის ბალანსში. ჩვენს შეკითხვაზე გამოგვრჩა ერთი საკითხი, რის გამოც გიხდით ბოდიშს. ობიექტის გასხვისებისას, ახალ მესაკუთრესა და ძველ მესაკუთრეს შორის დაიდო შეთანხმება, რომ ახალი მესაკუთრე ობიექტს შეიძენდა სუფთა ბალანსის შემთხვევაში(არ იქნებოდა, როგორც დებიტორული, ისე კრედიტორული დავალიანება) ამის გამო გასხვისებამდე ობიექტის ძველ მესაკუთრესა და ერთ-ერთ კერძო შპს შორის დაიდო ხელშეკრულება ამ უკანასკნელის მიერ დებიტორული ორგანიზაციიდან ობიექტის კუთვნილი თანხის მიღებაზე. დებიტორი ორგანიზაცია ადასტურებს დოკუმენტურად ამ თანხის არსებობას და ამბობს, რომ ის გადაურიცხავს თანხას ობიექტს ანგარიშზე და არა შპს ანგარიშზე, რადგან ობიექტი არის მისი ლიცენზიები და არა შპს. რამდენად კანონიერია დებიტორი ორგანიზაციის ეს პოზიცია? რა კანონიერი გზა არსებობს ამ შემთხვევეში კუთვნილი თანხის მიღების.

ბატონო მოქალაქენო,

სამოქალაქო კოდექსის 199-ე მუხლის თანახმად:

**მუხლი 199. მოთხოვნის დათმობა**

1. მოთხოვნის მფლობელს (კრედიტორს) შეუძლია მოვალის თანხმობის გარეშე მოთხოვნა მესამე პირს დაუთმოს, თუკი ეს არ ეწინააღმდეგება ვალდებულების არსს, მოვალესთან მის შეთანხმებას ან კანონს (მოთხოვნის დათმობა). მოვალესთან შეთანხმება დათმობის დაუშვებლობის შესახებ შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს მოვალის პატივსადები ინტერესი.

2. მოთხოვნის დათმობა ხდება მოთხოვნის მფლობელსა და მესამე პირს შორის დადებული ხელშეკრულებით. ასეთ შემთხვევებში თავდაპირველი მფლობელის ადგილს იკავებს მესამე პირი.

ამრიგად, თუ არ არსებობს ამ მუხლში მითითებული გარემოებები, დებიტორი ვალდებულია გადაუხადოს აღნიშნული თანხა შ.პ.ს.-ს. რადგან თქვენი ობიექტი გასხვისდა სუფთა ბალანსის საფუძველზე, ამიტომ მისდამი არსებული ვალდებულებების შესრულების მოთხოვნის უფლება დარჩებოდათ მის დამფუძნებელ პარტნიორებს. მათ აქედან გამომდინარე შეუძლიათ მოსთხოვონ დებიტორს ვალდებულების შესრულება სასამართლოს ძალითაც.

**ნაზარაშვილი ვალენტინა**

ვარ 79 წლის სამამულო ომის მონაწილეებთან გათანაბრებული პირი. დანიშნული მაქვს პენსია 35 ლარი, რომელსაც ვერ ვღებულობ იმის გამო, რომ ვღებულობ მეუღლის დაკარგვის გამო პენსიას 65 ლარს. მეკუთვნის თუ არა მეორე პენსია.

ქალბატონო ვალენტინა,

საქრთველოს კანონი " ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ" განსაზღვრავს რა ვეტერანთა და მათთან Gგათანაბრებულ პირთა კატეგორიებს, მიუთითებს, რომ ვეტერანებს და მათთან გათანაბრებულ პირებს უფლება აქვთ მიიღონ შესაბამისი სახის პენსია(მუხლი მე-13, 1-ლი ნაწილი), ასეთივე პენსიის მიღების უფლება აქვთ იმ მეუღლეებს, რომელთა მეუღლეები გარდაცვლილნი არიან ომის დროს ანდა დაკარგულნი(მუხლი მე16). ამრიგად, ამ კანონის მიხედვით თქვენ აკმაყოფილებთ ორივე პირობას. მაგრამ აღნიშნული კანონი არ მიუთითებს, შეგიძლიათ თუ არა ორივე პენსიის ერთად მიღება. ამიტომ საკითხის გასარკვევად მიმართეთ საპენსიო ფონდს. ახლად მიღებული კანონი, რომელიც არეგულირებს აღნიშნულ საკითხს, კი ჯერ ძალაში არ შესულა("კანონი სავალდებულო სადაზღვევო პენსიების შესახებ"-2003 წლის.).

**ლევან ჭავჭავაძე**

თბილისის საერთაშორისო აეროპორტი არის სააქციო სახოგადოება, რომლის აქციათა პაკეტის 100%-ის მფლობელია სახელმწიფო.

აეროპორტის ვეტერანი თანამშრომლები, რომელთაც მიუძღვით ლომის წილი აეროპორტისა და მთლიანად საქართველოს სამოქალაქო ავიაციის მშენებლობაში, გთხოვთ განგვიმარტოთ, გვეკუთვნის თუ არა ჩვენ აქციათა რაოდენობის გარკვეული პროცენტი.

ბატონო ლევან,

საქართველოს კანონის " სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის შესახებ " მე-5 მუხლი აწესებს, რომ:

**მუხლი 5. მუშაკთა სოციალური გარანტია და შეღავათი**

"1. საწარმოს მუშაკთა ინტერესების დაცვის მიზნით, პრივატიზების შესახებ განაცხადის წარდგენის შემდეგ (პრივატიზების ინიციატორის მიუხედავად), მყიდველის მიერ საკუთრების უფლების შეძენამდე, საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროსთან შეთანხმების გარეშე, იკრძალება:

ა) საწარმოს რეორგანიზება ან ლიკვიდაცია;

ბ) საწარმოს საშტატო განრიგის ცვლილება და მუშაკთა რაოდენობის შემცირება ან გაზრდა;

გ) ძირითადი ფონდების გაყიდვა ან გაცვლა, ქირით ან იჯარით გაცემა, გირაოში ჩადება, მათ გამოყენებაზე ადრე დადებული რაიმე ხელშეკრულების მოქმედების შეცვლა ან შეწყვეტა.".

2. საწარმოს სააქციო საზოგადოებად დაფუძნების მომენტისათვის მუშაკებს უსასყიდლოდ ერთდროულად გადაეცემათ მთლიანი საწესდებო კაპიტალის 10%-მდე აქციები, მაგრამ არა უმეტეს საქართველოში არსებული მინიმალური ხელფასის ასმაგი ოდენობისა, ერთ მუშაკზე გაანგარიშებით. აღნიშნული შეღავათი ეხებათ:

ა) იმ მუშაკებს, რომლებისთვისაც საწარმო წარმოადგენს ძირითად სამუშაო ადგილს;

ბ) იმ პირებს, რომლებსაც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უფლება აქვთ დაბრუნდნენ ამ საწარმოში;

გ) პენსიონერებს, რომლებიც პენსიაზე გავიდნენ ამ საწარმოდან არანაკლებ 5 წლის მუშაობის შემდეგ;

დ) იმ პირებს, რომლებიც ამ საწარმოს სააქციო საზოგადოებად დაფუძნებამდე 1 წლით ადრე შეამცირეს და რეგისტრირებული არიან როგორც უმუშევრები;

3. საწარმოს მყიდველი ვალდებულია საკუთრების უფლების გაფორმებიდან 3 თვის ვადაში მუშაკებთან დადოს ხელშეკრულება, რომელშიც შეიტანება შრომის ორგანიზაციასთან, ანაზღაურებასა და დაცვასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

4. საწარმოს მყიდველის ინიციატივით გათავისუფლებული მუშაკების ერთდროული დახმარების ოდენობა და მათი შრომითი მოწყობა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**ნელი ვარაზი**

მოსამართლემ განიხილა მოქალაქე ნ-ს განცხადება და მოქალაქე ბ-სადმი სარჩელის შეტანამდე მისი უზრუნველყოფის მიზნით გამოიტანა განჩინება.

მოსამართლე განჩინებაში წერს: " გამოვარკვიე, რომ მოქალაქე ნ-მა შეიძინა მოქალაქე ბ-საგან 2001 წლის 19 დეკემბერს ბინა და იმავე დღეს დამატებით გადასცა 4000 დოლარი."

მე, როგორც მესამე პირი (ამ განჩინებით) დაზარალებული, გავეცანი მასალებს.

საქმეში არ არსებობს ამ ორ მოქალაქეთა შორის გარიგების დამადასტურებელი დოკუმენტი, ანუ ნასყიდობის ხელშეკრულება. არის მხოლოდ ვალის აღიარების ხელშეკრულება, შედგენილი სამი წლის ანუ 2004 წლის 22 იანვარს, (რომ 2001 წლის 19 დეკემბერს გდასცა 4000 ა.შ.შ. დოლარი.).

კითხვა: მოსამართლეს ჰქონდა თუ არა უფლება, დაყრდნობოდა ზეპირ ან დაუდასტურებელ ინფორმაციას, რომელსაც მის განჩინებაში დომინანტური ფუნქცია აკისრია?

ქალბატონო ნელი,

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის შესაბამისად:

**მუხლი 191.** განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ

მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს განცხადებით სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. განცხადება უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, აგრეთვე მითითებას იმაზე, თუ უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს საჭიროდ

აგრეთვე 192-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად:

**მუხლი 192.** განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ სასამართლოში სარჩელის აღძვრამდე

1. განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ გადაუდებელ შემთხვევაში შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში სარჩელის აღძვრამდე.

ხოლო 194-ე მუხლის მე-2, მე-3, მე-4 ნაწილების მიხედვით კი:

2. სარჩელის უზრუნველსაყოფად გამოტანილ განჩინებაზე მოპასუხეს შეუძლია შეიტანოს საჩივარი, რომელიც უნდა შეიცავდეს:

ა) სარჩელის უზრუნველსაყოფად გამოტანილი განჩინების ზუსტ დასახელებას;

ბ) მითითებას, თუ რა ზომით უნდა გაუქმდეს ან შეიცვალოს განჩინება უზრუნველყოფის შესახებ;

გ) გარემოებებს, რომელთა გამოც უნდა გაუქმდეს ან შეიცვალოს განჩინება უზრუნველყოფის შესახებ.

3. სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ სასამართლო განჩინების გასაჩივრების ვადა შეადგენს ხუთ დღეს. ამ ვადის გაგრძელება არ შეიძლება და მისი დენა იწყება უზრუნველყოფის შესახებ განჩინების მოპასუხისათვის გადაცემის მომენტიდან.

4. საჩივრის შეტანა ვერ შეაჩერებს უზრუნველყოფის შესახებ განჩინების აღსრულებას, მაგრამ სასამართლოს შეუძლია გარკვეული დროით შეაჩეროს აღსრულება ან გააუქმოს უზრუნველყოფისათვის უკვე მიღებული ღონისძიებები.

ამრიგად, აღნიშნული საკითხის გადწყვეტისას საჭიროა, რომ დასაბუთებული იყოს მოთხოვნა რაიმე მტკიცებულებით. მოთხოვნის დასაბუთება შეიძლება ეფუძნებოდეს ერთ ან რამდენიმე მტკიცებულებას. ხოლო რამდენად დასაბუთებულია მოთხოვნა, ამას წყვეტს სასამართლო.

**გიორგი მიქიაშვილი**

მაქვს თუ არა კერძო პირს უფლება, სათანადო სამსახურის გამოყენებით დავადგინო ექსპერტიზის საშუალებით ამა თუ იმ საგანზე არსებული (საეჭვოდ მოხვედრილი) ნივთიერების ნამდვილობა? ვის და სად უნდა მივმართო ამისათვის? (სამედიცინო ექსპერტიზას ხომ არა? ).

მაინტერესებს, ქსოვილზე მოხვედრილი ლაქის შემადგენლობა ადასტურებს თუ არა ნივთიერების საეჭვო ნამდვილობას?

ბატონო გიორგი,

თქვენ ექსპერტიზის ჩასატარებლად უნდა მიმართოთ იუსტიციის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს. მას უფლება აქვს, ხელშეკრულების საფუძველზე ჩაატაროს პირის თხოვნით მისთვის სასურველი ექსპერტიზა. ხოლო თუ რა სახის ექსპერტიზა ტარდება აღნიშნულ საკითხზე, ან სად ტარდება, თქვენი თხოვნით მოგაწოდებენ ინფორმაციას.

**მიხეილ რუხაძე**

ვარ 91 წლის მეორე მსოფლიო ომის 1-ლი ჯგუფის ინვალიდი. საოლქო სასამართლოს 2004 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მეკუთვნის 2004 წლის იანვრიდან მეორე სახის პენსია, 2004 წლის 16 დეკემბერს რაიონულ სასამართლოში ავიღე სააღსრულებო ფურცელი და სასამართლოს გადაწყვეტილებასთან ერთად გადავეცი საპენსიო ფონდის ცენტრალურ ოფის, (რადგანაც რაიონულ საპენსიო ფონდში მქონდა დატოვებული სასამართლოს გადაწყვეტილება და მოვითხოვე დაკმაყოფილება. მათ არ გაასაჩივრეს ჩაბარებიდან ერთი თვის გასვლის შემდეგ და არც დააკმაყოფილეს). ცენტრალურ საპენსიო ფონდში მითხრეს, ჩვენ გავასაჩივრებთ უზენაეს სასამართლოშიო. მაინტერესებს, აქვთ თუ არა მათ კანონიერად გასაჩივრების უფლება, რადგანაც რაიონულმა საპენსიო ფონდმა ჩაბარებიდან ერთი თვის გასვლის შემდეგაც არ გაასაჩივრა. მირჩიეთ, როგორ მოვიქცე, ბოლოს და ბოლოს, ხომ მეკუთვნის.

ბატონო მიხეილ,

საქართველოს კანონის "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" 21-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააღსრულებო ფურცელს გადაწყვეტილების გამომტანი ორგანო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ გადასცემს კრედიტორს, გარდა საქრთველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი დაუყოვნებლივი აღსრულების შემთხვევებისა, როდესაც სააღსრულებო ფურცელი გაიცემა გადაწყვეტილების გამოტანისთანავე. ამრიგად, მხარემ გაუშვა რა გასაჩივრების ვადა, მას არ აქვს უფლება გაასაჩივროს იგი. სამოქალაქო საპრცესო კოდექსის თანახმად (მუხლები 369-ე და 397-ე) არ შეიძლება გაშვებული ვადის არც აღდგენა და არც გაგრძელება. ამიტომ საპენსიო ფონდი ვალდებულია აღასრულოს გადაწყვეტილება.

**რევაზ ასათიანი**

"საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 50-ე მუხლის მოთხოვნები ვრცელდება იმ მოსამსახურეებზე, რომლებმაც მიაღწიეს საპენსიო ასაკს(60-65წ.) და მასზე დაყრდნობით 101-ე მუხლის გამოყენებით შეიძლება მათი გათავისუფლება. მე მაინტერესებს, გამარკვიოს თქვენმა კონსულტაციამ იმაში, რომ უკვე სამხედრო პენსიონერი ომის ინვალიდი, საპენსიო ასაკს გადაცილებული, რომელიც 2004 წელს მიიღეს სამუშაოზე (სპეციფიკურ ომის ინვალიდთა დეპარტამენტში), შეიძლება თუ არა, იგი ორი თვის შემდეგ 50-ე მუხლზე დაყრდნობით (რომელსაც უკუქცევითი ძალა არა აქვს) გაანთავისუფლონ სამსახურიდან ისე, რომ არ გაითვალისწინონ ამავე კანონის 98-ე მუხლის მოთხოვნები. მითუმეტეს არსებობს 2%-იანი ჯავშანი ომის ინვალიდებისათვის, ხოლო შრომის კანონმდებლობა აძლევს უფლებას გააგრძელოს საქმიანობა.

ბატონო რევაზ,

საქართველოს კანონი "საჯარო სამსახურის შესახებ" განსაზღვრავს რა სამსახურში მიღების პირობებს მე-17 მუხლში:

**მუხლი 17. პირი, რომელიც არ მიიღება საჯარო სამსახურში**

საჯარო სამსახურში არ მიიღება პირი, თუ იგი:

ა) ნასამართლევია განზრახ ჩადენილი დანაშაულისათვის და მოხსნილი არა აქვს ნასამართლობა;

ბ) იმყოფება წინასწარი გამოძიების ქვეშ ან პატიმრობაში;

გ) სასამართლოს გადაწყვეტილებით ცნობილია ქმედუუნაროდ ან შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონედ;

დ) სასამართლოს მიერ ჩამორთმეული აქვს შესაბამისი თანამდებობის დაკავების უფლება;

ე) სამედიცინო დასკვნის თანახმად მისი ჯანმრთელობა არ აკმაყოფილებს მოცემული თანამდებობის დასაკავებლად აუცილებელ მოთხოვნებს;

ვ) თანამდებობის დაკავების შედეგად უშუალო სამსახურებრივი ზედამხედველობით უკავშირდება მშობელს, მეუღლეს, დას, ძმას, შვილს ან მეუღლის დას, ძმას, მშობელს;

ზ) არის უცხო ქვეყნის მოქალაქეობის პრეტენდენტი, კანონით ან საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული გამონაკლისის გარდა.

არ მიუთითებს საპენსიო ასაკს როგორც მიღების დამაბრკოლებელ პირობას.

ხოლო 50-ე მუხლი ადგენს საპენსიო ასაკს:

**მუხლი 50. სამსახურში ყოფნის ზღვრული ასაკი და მოსამსახურის საპენსიო უზრუნველყოფა**

"1. სამსახურში ყოფნის ზღვრული ასაკი განისაზღვრება 65 წლით. მოსამსახურე პენსიაში გადის კანონმდებლობით დადგენილი წესით."

ამავე კანონის 101-ე მუხლი საშუალებას აძლევს იმ თანამდებობის პირს, ვისაც უფლება აქვს მიიღოს პიროვნება სამსახურში, გაანთავისუფლოს იგი სამსახურიდან საპენსიო ასაკის მიღწევისას. ამრიგად, ეს მისი უფლებაა.

**მუხლი 101. განთავისუფლება ასაკის გამო**

მოხელე შეიძლება განთავისუფლდეს სამსახურიდან ასაკის გამო ამ კანონის 50-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე.

ხოლო თქვენს მიერ მითითებული 98-ე მუხლი ეხება მხოლოდ ისეთ პირობას, რომელიც მიუთითებს სამსახურეობრივ შეუსაბამობას:

**მუხლი 98. სამსახურიდან განთავისუფლება დაკავებულ თანამდებობასთან შეუსაბამობის გამო**

1. მოხელე შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან დაკავებულ თანამდებობასთან შეუსაბამობის გამო:

ა) გამოსაცდელი ვადის არადამაკმაყოფილებელი შედეგების საფუძველზე;

ბ) ატესტაციის შედეგების საფუძველზე;

გ) იმ დოკუმენტის არქონისას, რომელიც აუცილებელია მოცემული თანამდებობის დასაკავებლად;

დ) სახელმწიფო ენის არადამაკმაყოფილებელი ცოდნის და ნორმალური ურთიერთობის შეუძლებლობის გამო;

ე) თუ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა არ იძლევა საშუალებას სათანადოდ შეასრულოს სამსახურებრივი მოვალეობანი;

ვ) არადამაკმაყოფილებელი პროფესიული ჩვევების გამო.

2. მოხელე თავისუფლდება დაკავებული თანამდებობიდან ამ მუხლის პირველი პუნქტის "ბ"-"ვ" ქვეპუნქტების საფუძველზე, თუ მას არ სურს გადავიდეს სხვა შესაბამის თანამდებობაზე.

98-ე მუხლში მითითებული პირობა და 101-ე მუხლში მითითებული პირობა არის სამსახურიდან განთავისუფლების ორი დამოუკიდებელი პირობა. ამიტომ განთავისუფლებისათვის სრულიად საკმარისია ერთ-ერთის არსებობა.

ხოლო "ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ" კანონის მე-19 მუხლი ეხება მხოლოდ იმ შემთხვევას, როცა ადგილი აქვს სამსახურში შტატების ან მუშაკთა რაოდენობის შემცირებას:

მუხლი 19. ვეტერანი პენსიონერის შრომითი საქმიანობის უფლება

ვეტერან პენსიონერს, თუ პენსიაზე გასვლის შემდეგ განაგრძობენ შრომით საქმიანობას, პენსია და ხელფასი დაკავებული თანამდებობის (გამომუშავების) მიხედვით ეძლევათ სრული ოდენობით.

ომის ინვალიდების სამუშაოზე მისაღებად და მათ შესანარჩუნებლად მუშაკთა რაოდენობის ან შტატების შემცირების დროს ყოველი დარგისათვის წესდება ჯავშანი მუშა-მოსამსახურეთა ორი პროცენტის ფარგლებში. სამინისტროების, ეწყებების, საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ხალმძღვანელებს ევალებათ დაწესებული ჯავშნის ფარგლებში ინვალიდების სამუშაოზე დაუყოვნებლივ მიღება დღიდან მიმართვისა და მუშაკთა რაოდენობის ან შტატების შემცირების დროს მათი სამუშაოზე დატოვების უპირატესი უფლების უზრუნველყოფა.

აგრეთვე უნდა მოგახსენოთ, რომ შრომის კანონთა კოდექსი არის ზოგადი კანონი, ხოლო საჯარო სამსახურის შესახებ კანონი კი სპეციალური. მათ შორის წინააღმდეგობისას კი გამოიყენება სპეციალური კანონი.

2005 წლის ჯაზის სეზონის კონტურები



B2

ფეხბურთი გაგვიძვირდა



B5

"ბენტლის" სასურველი პრობლემები



B6

# ბებე

## ნოველა

მამუკა ხერხეულიძე

დაკვირვებული ვარ, ცუდ ამბებს ყოველთვის ერთი და იგივე ხალხი მატყობინებს.

ამათში ყველაზე სწრაფი პროვაიდერი ჩემი ბავშვობის მეგობარი ნუკრია. ერთხელ რომელიღაც უბნელის წამლით გაპარვა შემატყობინა ტელეფონით - ეხლა იქ ვარ, საავადმყოფოში, ჯერ კიდევ თბილია... გუშინ რა ქენი, დალიეო? - პირდაპირ ასე გააგრძელა. იმ დილასაც ასე მოხდა. მობილურმა დარეკა- ნუკრია. ახალი გაღვიძებული ვიყავი, სანამ ვუპასუხებდი, ქუჩაში გადავიხედე, თოვდა, ისე თბილად, თან პირველად ამ ზამთარში, ნუკრის პანდორას ყუთი არც გამხსენებია. -გაიგე?- ისევ ის იყო, - ბებემ თავი მოიკლაო...

მარჯანიშვილის თეატრთან ძველი, სამსართულიანი, ლამაზი სახლი დგას. აქ გალაკტიონ ტაბიძე ცხოვრობდა, თუმცა პლეხანოველი ქუჩის ბიჭისთვის, რომელსაც იმ დილით ბებემ დაურეკა, მეფე პოეტის და მისი თვითმკვლელობის შესახებ არაფერი იყო ცნობილი. "ჟორიკ, ბებე ვარ, დროზე ამოდი, შენთვის მარმელადი მაქვს, მე აბაზანაში შევდივარ, გასაღები ფეხსაწმენდის ქვეშ იდება, პირდაპირ შემოდი." მობილური გათიშა: "ახია შენზე, ნაღდად აღარ გაიკეთებ".

მარმელადი ანუ წამალი ერთი თვის წინ გადააგდო ჟორიკამ, ნარკოლოგიურში იწვა. კინაღამ გაარეკინა სუბუტექსმა, რა აღარ ელანდებოდა, ცოლზეც ველარ ეჭვიანობდა, თვითონ აღარაფრის თავი აღარ ჰქონდა. წინა დღეს თვითონ დაურეკა ბებეს - "რამე არ იცი? ერთი გაკეთება მინდა რა, უძილობით დავიღალე, მთელი დღე ტელევიზორის ყურებამ შემცენტრა, შპრიცი გადავაგდე და პულტზე დავჯექი, ერთი თვე გავიდა და მაინც არ მიდგება, მოსაფსმელად მახსენდება მარტო."

საბაჩი პერეულოკიდან მარჯანიშვილამდე თხუთმეტი-ოცი წუთი უნდოდა, ბებეს ბოლო ტაიმი. წამმზომი ჩაირთო - ამ დროში უნდა ჩატეულიყო. ყველაფერი მზად იყო, შვიდი წერილი მაგიდაზე იდო, რომელთა ადრესატები ზედმიწევნით შეუსრულებენ ყველა თხოვნას, ოღონდ ეს მერე მოხდება, როცა სახელდახელოდ ნაყიდი ახალი კოსტუმით XXL სასახლეში იწვება თეთრი ბინტით ხელებშეკრული და გამაყრუებული ხმაურით ოდნავ შემცბარი, გაყინული, გალურჯებული სახით. ჟორიკა კი უკვე მოქროდა აჟიტირებული, თოვლჭყაპიან "საბაჩიზე" და ჩხეიძეზე ტრავმატოლოგიურის დარაჯს ესალმებოდა, პალტოზე ჭუჭყიანი, ოდესღაც თეთრი ხალათი რომ ჰქონდა მოსხმული. ბებემ გასაღები ფეხსაწმენდის ქვეშ უკვე დადო, თან ფრთხილად, მეზობელს კარის ხმა არ გაეგო, მისი მობილური ლომბარდში ჰქონდა დაზალოგებული და ყოველ შეხვედრაზე ტვინს უჭამდა, როდის მომცემო (ლაშასთვის დატოვებულ წერილში ამ ლომბარდის მისამართი და ქვითარიც იდო). ნაიკის სპორტული პიჟამოც ეცვა, თასმით მოჭერილი კაპიუშონით, გაგლეჯილი თავიდან გამოსხმულ სისხლს კედლები, ჭერი და მთელს კედელზე გაყოლებული ტანსაცმლის თეთრი კარადა რომ არ დაესვარა. გარდერობი ერთ დროს სავსე იყო. ბებე ტანსაცმლის ფანი ერთ დროს- ახლა კი პლეხანოვზე სუბუტექსის ბარიგებს მისი შმოტკებით ამოიცნობდი.

ძველი წამლის ბარიგებისაგან განსხვავებით, სუბუტექსის დილერები ჩვეულებრივი, "კარგი" ბიჭები იყვნენ და ზოგი საზოგადოებისათვის ცნობილი სახეებიც კი. მოკლედ, ჩვენს სნობურ ქალაქში მოდური რამე გახდა ეს საქმე. იქამდე, რომ თინეიჯერი გოგოები "სუბარუ" გაკეთებულ ბიჭებს განსაკუთრებით ეპრანჭებოდნენ, ზოგი ძველბიჭობის დუბლებში მყოფი, სრულიად ფხიზელი, გოგონებისათვის თავის მოსაწონებლად, წელში ძალით მოხრილი, თვალებს ნაბავდა, ცხვირს იქექავდა და "სუბუ" გაჩხერილის როლს თამაშობდა, კაი ტიპობის პონტში.

ლოგინთან მდგარ ტელევიზორს ხმა ბოლომდე ჰქონდა აწეული, არა იმიტომ, რომ მეზობლებს სროლის ხმა არ გაეგოთ - თვითონ ეშინოდა მოულოდნელი ხმაურის, სიჩუმეში შეიძლება ვერ გამოეკრა. იმ დღესაც, მეზობლად მშენებარე მრავალსართულიანი სახლის სახურავიდან რომ ვერ გადმოხტა, მგონი, სამარისებურმა სიჩუმემ გადააფიქრებინა. ბოლო, მაგრამ მთავარი დეტალი რჩებოდა, იარაღის გატენვა, რომელიც პირველად ეჭირა ხელში. ეს იარაღი ბებესთან ამ ბოლო დროს ჩასახლებულ ერთ პატარა ძველბიჭს, ოთოს ედო ბალიშის ქვეშ, წამალზე მოძრაობის დროს ზედ რომ არ ჰქონოდა, ამ დღეებში წავიღებო. ნანახი კი ჰქონდა ბევრჯერ, მაგრამ თვითონ არასდროს უხმარია. არ უყვარდა, ის კი არა, თბილისის ომი რომ დაიწყო და თითქმის ყველა მის მეგობარს იარაღი ეჭირა, ვინმე რომ ამოიღებდა, მაგარ პანიკას აკეთებდა - გაწიე, შეჩემა, პროსტა რომ გავარდეს, მაინც მე მომხვდება, იმხელა ვარო. იმ წლებში, მგონი, ამის გამოც წაიყვანა ოჯახი ჰოლანდიაში. თავშესაფარი არ მოუთხოვიათ, პლეხანოვი ენატრებოდა. დეზერტირის ბაზრიდან მშობლების გარდაცვალების მერე სახლი აქ, მარჯანიშვილზე გადმოცვალა, თუმცა მაშინ ბევრი ფულიც ტრიალებდა მის ხელში, მეგობარი ოლიგარქის რამდენიმე მილიონიც ბევრჯერ უტარებია ქეისით მოსკოვში ან თბილისში, ისე, რომ შიგნით არც კი ჩაუხედავს. - "წელიწადნახევარი ამსტერდამში ვცხოვრობდი და იქ არ გამიკეთებია წამალი, იმ მოსკოვში რამ გამაგიჟა, ეს სუბუტექსი რამ გამაკეთებინა, უცხოეთში საზოგადოებისაგან გამეტებული, განწირული ბომჟების წამალიო," - ხშირად ამბობდა.

ზატვორი მარცხენა ხელით გამოსწია, სწრაფად, კინოებში რომ უნახავს ისე. რკინების ჩხაკუნი, ჩახმახი ფეხზე შედგა და ტელევიზორიც ჩაქრა. ეტყობა დენი წავიდა. სიჩუმე ჩამოწვა.

მთელი ღამის ნალომკარი ოფლი სრულიად შეაშრა. დააკვირდა, აღარც ფეხები ტკიოდა, რომლების მოჭრასაც ნატრობდა ღამის აბსტინენციაში.. ციებ-ცხელებაც გამქრალიყო, ფიზიკური აღარაფერი აწუხებდა. კედელზე ბავშვობის დროინდელ ფოტოს ახედა: დიდი, მოკლეშარვლიანი, ბუთქუნა ბიჭი კალათბურთის ბურთზე იჯდა და ობიექტივს ენას უყოფდა. მაგიდას გახედა. წერილების დახევა ნიშნავდა იგივეს, ანუ სიცოცხლეს: წამლის ფულის ჩალიჩი, თან საიდან, ყველაფერი, რისი დაზალოგებაც შეიძლებოდა, უკვე ჩაბარებულია, მეგობრებს ველარ ენახვება, ამდენი შეცდომის მერე, რაც არ უნდა მოიფიქროს, არ დაუჯერებენ. კარგი, ერთხელაც მიადგება გიას, ლაშას, ლევანს, ბაბუკას, ან კიდევ ვინმეს, ზახოდის ფულს გამოართმევს, მაგრამ საღამოს ისევ ლომკა, ისევ მაყუთის ძებნა, უძილობა, ისევ ფეხების ღრღნა და რაც მთავარია, საკუთარ თავთან, ძველ, თავმოყვარე ბებესთან დაშვებული კომპრომისები, აუტანელი სინდისის ტკივილი, რასაც სუბუტექსის გარდა არაფერი შველის, ისიც ცოტა ხნით, მეორე გაკეთებამდე, თან ეს დედაძაღლი აღარც აკაიფებს, ცოტა ხანი ხოდზე მოიყვანს, სიგარეტს მოაწევინებს... ბავშვის სწავლის ფული იყო შესატანი, სახლი, სადაც მისგან წასული ცოლი და შვილი ცხოვრობდნენ, ბანკში იყო დაგირავებული, ესეც ბებეს ბრალდებოდა, არადა, ამ ბანკის ერთ-ერთი დამფუძნებელი თავის დროზე თვითონ იყო, სანამ ის ამბები არ მოხდებოდა - ამ პრობლემის მოგვარებას რიგით მეორე წერილში ითხოვდა და ამ თხოვნასაც შეუსრულებენ...

ისევ ოფლმა დაასხა, ფეხებიც ნელ-ნელა ღრღნას იწყებდნენ. სიგარეტის მოწევა დააპირა და მარცხენა ხელში პისტოლეტი აღმოაჩინა. რაღაც უცნაური მომჟავო სუნი ჰქონდა პისტოლეტს. წამით ვერ გაიხსენა, რას აგონებდა, მგონი იმას, ბავშვობისას რადიოლას ელემენტს ენას რომ დაადებდა... სიგარეტიც გათავებულიყო, ჟორიკაც ჩელუსკინელების ხიდამდე მოსული იქნებოდა და ავეჯის მაღაზიასთან მარჯვნივ უხვევდა.

მივიდა, აივნის კარი გამოაღო. ბარდნიდა. ბავშვობის დაკვირვება გაახსენდა თოვლთან დაკავშირებით - სადღაც ზემოთ, ცაში, რაღაც გაფუჭდა და იმიტომ თოვსო. ქუჩის ხმაური აღარ ესმოდა, როცა ყავისფერ, მოკლე დუბლიონკიანი, ჩქარი, მოკლე ნაბიჯებით მომავალი ჟორიკა დაინახა.

ბოლო ტაიმის უკანასკნელი წამები მიქროდნენ.

კარი მიხურა და ტელესერიალის დამასრულებელი სამხრეთამერიკული სიმღერაც აღრიალდა- დენი მოვიდა. ბებე ლოგინზე ჩამოჯდა, პისტოლეტი კაპიუშონზე, ყურთან მიიბჯინა, ოთახს თვალი მოავლო. ყველაფერი მზად იყო საპანაშვიდედ. თავისი ძმაკაცები წარმოიდგინა, ვინ სად იდგებოდა, ან იჯდებოდა, და ბავშვობის დროინდელი, კალათბურთის თამაშის დროს გადამწყვეტი ტყორცნისას გაგონილი ვიღაცის შეძახილი ჩაესმა: "წავიდა!"

ჟორიკა კი უკვე "პალავიკის" ქვემოდან იღებდა გასაღებს - თვითონ ასე წერდა პოლიციაში, ახსნა-განმარტებაში, სადაც, რა თქმა უნდა, მარმელადს ანუ სუბუტექსს არ ახსენებდა, - გულაფრიალებული, უფრო სწორად, ვენებ-აფართხალებული, თუმცა ვენები სადღა ჰქონდა("სუბარუ" ხომ პლასტმასად იქცეოდა სისხლში), საათობით წვალობდა ცისფერი კაპილარის ძებნაში, ის კი არა, ერთხელ ასოზეც გაიკეთა, სადაც ვენა შემორჩენილიყო. მერე დაუჩირქდა და კინაღამ მოსაჭრელი გაუხდა, თუმცა ახლა მაინცდამაინც არაფერში არგოდა. მაღალჭერიან კორიდორში შესულს სახლში მიტოვებული სერიალის პერსონაჟების შემსრულებლებს აცხადებდა პათეტიკური მთარგმნელი, ოღონდ ძალიან ხმამაღლა, ალბათ აბაზანაში რომ გაიგოს ბებემ, იმიტომ აუწია ამხელა ხმაზეო, გაიფიქრა და პირდაპირ საძინებელი ოთახისაკენ გასწია. ბებე შეტყუპებულ ლოგინებზე იყო გადაწოლილი, კაპიუშონიანი კეფით კარისკენ. ალბათ ახალი გაკეთებული აქვს და საძილეც შერეული ჰქონდა და პრიხოდშიაო, ჩქარი ნაბიჯით გასწია საწოლთან მდგარი ტუმბოსკენ, სადაც ტრადიციულად სუბუტექსის დაფშხვნა და "დერბანკა" (გაყოფა) ხდებოდა ხოლმე, თავისი ზახოდი იქ ეგულებოდა. ლოგინს შემოუარა, ბებეს ნაჩქარევად დახედა, უცნაურად ეჩვენა ღია, უმეტყველო და შეშინებული თვალები. მარჯვენა ხელი ტანის ქვეშ არაბუნებრივად მოქცეულიყო. მხოლოდ ახლაღა შეამჩნია ოთახში რაღაც ნაცნობი, მოტკბო სუნი, მარჯვენა მხარეს გადაგდებული კაპიუშონიანი თავიდან სისხლი ჟონავდა და ცისფერ საბანზე ლაქა დიდდებოდა... არა, - წამოიყვირა ჟორიკამ, მაგრამ მისი ხავილი სარეკლამო მუსიკის ხმაში ჩაიკარგა. უცბად მოეჩვენა, რომ ტელევიზორის გამორთვა დაასრულებდა ამ საზარელ სიზმარს, ასე ეგონა, ყველაფერი მორჩებოდა, თუ ხმაური შეწყდებოდა - ეცა და კარგა ხნის მერე იპოვა გამოსართველი.

ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა. იქნებ ცოცხალია, გაიფიქრა და კინოებში ნანახი დეტალი გაახსენდა, ორი თითი საძილე არტერიაზე დაადო. ახლოს მისულმა ბებეს უზარმაზარ ფეხებთან მაკაროვის სისტემის პისტოლეტი დაინახა, ჩახმახშემართული, დაიხარა და აღება დააპირა, მაგრამ გაახსენდა, მისი თითის ანაბეჭდები დააჩნდებოდა იარაღს და ეჭვი მასზე გაჩნდებოდა. უცბად შეეშინდა, გაქცევა მოუნდა. ბებეს უნაკლო მენეჯმენტში ეს ლოჯისტიკური კვანძი უმნიშვნელოვანესი ლაფსუსი იქნებოდა, სამი საათისთვის სამსახურიდან დაბრუნებულ მის უსაყვარლეს, ერთადერთ დედმამისშვილს, მშობლების გარდაცვალების მერე ყველაზე ერთგულ ადამიანს, დას არ უნდა ენახა ეს სცენა, შეიძლება მასაც თავი მოეკლა. მისთვის და შვილისთვის მიწერილი წერილები მარჯვენა ხელში ჰქონდა ჩაბღუჯული, დანარჩენი ხუთი მაგიდაზე იდო. კიდევ კარგი, ჟორიკამ წერილებს დახედა, - წინასწარ განზრახული და ეჭვგარეშე თვითმკვლელობა, რაც სრულიად ნათელი იქნებოდა გამოძიებისთვის და საუბედუროდ, ეკლესიისთვის. ახლობლებისთვის ბებეს დაღუპვაზე უფრო დიდი შოკი მისი წესის აუგებლად დაკრძალვა იყო, არა გარდაცვალება, არამედ ჩვეულებრივი და სამუდამო სიკვდილი.

მარჯანიშვილის თეატრთან, გალაკტიონ ტაბიძის სახლის გვერდზე, უცხოური მანქანები ენაცვლებოდნენ ერთმანეთს, სოლიდურად შავებში ჩაცმული ახალგაზრდა კაცები საქმიანად შედიოდნენ და გამოდიოდნენ პანაშვიდით გახალისებულ სადარბაზოში. ზოგიერთები შესასვლელში იდგნენ, სიგარეტს ეწეოდნენ სახელდახელოდ დადგმულ "გალუაზის" ურნასთან, ხმადაბლა საუბრობდნენ ძალიან ჩვეულებრივ ამბებზე, ვთქვათ, თოვლი როგორ უდროოდ წამოვიდა თბილისში, როცა ზამთარი თითქმის გასული ეგონათ, საბურავები გამოსაცვლელი ჰქონდათ თუ არა, ან ტოტალიზატორში "ლევერის" გაყიდულ თამაშზე, მაგრამ რომელიმე ავტორიტეტული ბებეს ძმაკაცის გამოჩენაზე ჩუმდებოდნენ და თავდახრილები, ღრმა ნაფაზებს არტყამდნენ მწუხარე სახეებით. მაღალჭერიანი კორიდორის მარჯვნივ სამზარეულოში "არმანის" ძაძებიანი ქალები ისხდნენ, ყავას სვამდნენ და შეწუხებული ყვებოდნენ ქმრის რეაქციას ამ ტრაგედიის შეტყობისას, და რაც მთავარია, თავიანთი მოძღვარის კომენტარებს უბედური ბებეს წესის აგების უშანსობაზე და, შესაბამისად, ჯოჯოხეთში გამგზავრებაზე. - არადა წინა შაბათს დასაფლავებაზე შემხვდა და წამეკაიფა, შენს ქმარს პარნოიში რომ დაადექი, ის მომიყევი, კარები რომ გააღებინე, - ზეწრები გამომართვითო, მომსახურე პერსონალის სომხური ხმით როგორ ეძახდიო. ვერაფერი ვერ შევამჩნიე, ჩვეულებრივი ბებე იყოო, - ყვებოდა ერთ-ერთი ქალი - ჩაცმულობის მიხედვით თორემ ისე ალბათ გოგო, რომლის მაკიაჟიც ცრემლებს გაეფუჭებინა.დერეფანში ჩამოკიდებულ სარკეს ზეწარს აფარებდნენ ამ ქალებისათვის უცნობი, უპრეტენზიო და უსახელო ჩაქუჩმომარჯვებული ნათესავ-მეზობლები. შუა გაჩახჩახებულ დიდ ოთახში, სადაც უზარმაზარი სასახლე იდგა, გარშემო ჩამწკრივებულ სკამებზე კანტიკუნტად მგლოვიარე ადამიანები ისხდნენ და ჩუმად ტიროდნენ ბებეს მუდმივ უბედობაზე. მღვდლის და ეკლესიის გარეშე სიკვდილიც კი არ გამოდიოდა ლეგიტიმური. სუდარაგადაფარებულ მიცვალებულს ამაზე ნაფიქრი ჰქონდა - რაც შეიძლება მკაცრად ეძია შური საკუთარ თავზე, ის კი არა, ლაშასათვის მიწერილ წერილში, ქელეხს ნუ გამიკეთებთო, წერდა.

მისი ბიჭები ბებეს საძინებელ ოთახში იყვნენ შეწუხებულები, საკუთარ თავზე გატეხილები, რომ დროულად ვერ მოიცალეს ბებესთვის და ზუსტად ისე იდგნენ ან იჯდნენ, როგორც მან სასხლეტის გამოკვრის წინ წარმოიდგინა. ყველას თავისი წერილი ედო ჯიბეში. დილითვე შეუსრულეს ყველა თხოვნა, ლაშას უკვე გამოეტანა ლომბარდიდან შვიდი, პატარა, წითელი კანტებით შეკრული, ცელოფანის პარკებში ჩადებული ოქროს ძეწკვები, ბეჭდები, საყურეები, მეზობლის შელახული მობილური, რომელსაც რეზინით ჰქონდა შემოკრული ქაღალდის ქვითარი - ორმოცი ლარი, და კიდევ რაღაც ოჯახის რელიქვია - ვითომ ძვირფასი ნივთები. პარკები თემიკოს ეჭირა, შიგნით ქაღალდის ქვითრები იდო, ასათი აშშ დოლარი, მეორეში - სამოცი ლარი და ასე შემდეგ, სულ ალბათ ათას დოლარამდე. ლოგინზე, სადაც ბებემ ბოლოს პისტოლეტის მიბჯენით თავი გაიხვრიტა, ვიღაც მისი ოდნავ "პრიატნი", დასუბუტექსებული ძმაკაცი ჩამომჯდარიყო, ბოხი ხმით უყვებოდა ახალშემოსულ უბნელს და ენერგიულად აჩვენებდა ცაცია ხელით, როგორ გამოკრა, შემდეგ როგორ გაიარა მაკაროვის ვითომ სუსტმა ტყვიამ თავში - და აი, აქ შევიდა - თეთრ გარდერობზე ნატყვიარს აჩვენებდა. ლაშა, გია, თემიკო, კობახა, ბაბუკა ჩუმად ისხდნენ თავჩაღუნული და ერთი და იგივე რამეს ფიქრობდნენ, რასაც არაფერი ეშველებოდა - წესს ვერ აუგებდნენ. ეს იყო ყველაზე შეუძლებელი რამ, დანარჩენი მეასეხარისხოვანი იყო ყველაფერი. ამ ბიჭებს ყველაფრის გაკეთება შეეძლოთ ამ ქალაქში, აქ კი სრულიად უძლურები იყვნენ. მიუხედავად საკუთარი გამოცდილებისა - ამ ქალაქში ძალიან ბევრი თვითმკვლელობა ხდება - მაინც თავიანთ მოძღვარ, მეგობარ ეპისკოპოსებს მორიდებულად ჰკითხეს და როგორც მოსალოდნელი იყო, უარყოფითი პასუხი მიიღეს, მაგაზე არც იფიქროთო.

და უცბად გია წამოდგა - შანსი არ არის, პატრიარქთან მე მივალო. ბიჭებმა, შენ ხომ არ გაგიჟდიო, მაგრამ გიას გაჩერება ალარ არსებობდა. გიჟური აჩემება იცოდა ხოლმე. ბებეს სულს, რომელიც იქვე, ყველასაგან შეუმჩნევლად კუთხეში იდგა და აღარც ლომკა აღელვებდა და აღარც ოვალური, შუაზე გაყოფილი თეთრი აბი, გიას სიჯიუტეზე გაეღიმა, რაც ასევე არავის შეუმჩნევია. გია არავის აღარ უსმენდა, უკვე მანქანაში ჯდებოდა. სადარბაზოსთან, იმ უბნელმა მხრებში მოხრილმა, გამხდარმა, ტყავის ქურთუკიანმა ბიჭებმა შეაჩერეს - ერთი ორმოცი ლარი დაგვიმატე რა, სუბუტექსზე გვაკლდებაო. გიამ ამოიღო და ორმოცდაათლარიანი მისცა, ისე, რომ იმათკენ არც გაუხედავს, ის უკვე საპატრიარქოს მისაღებში მიჰქროდა, ისინი კი ბარიგის ტელეფონს კრიფავდნენ პანაშვიდზე მოსული მათთვის უცხო ადამიანისაგან ნათხოვარი მობილურით, რომელიც შემცბარი იდგა- ტელეფონი არ გაეტაცებინათ და არ გაქცეულიყვნენ - ამ ქალაქში ასეთი რამეებიც ხშირად ხდებოდა.

- თქვენო უწმინდესობავ, ფეხები უკან მრჩებოდა, ვიცი, შეუძლებელ და აბსურდულ რამეს გთხოვთ. რამდენიმე სამღვდელო პირმა და ჩემმა მეგობრებმაც მირჩიეს, ტყუილად ნუ მიხვალ, აზრი არა აქვს, იმ ადამიანსაც უხერხულ მდგომარეობაში აგდებ და შენც ნაწყენი უნდა დარჩეო, იმდენად შეგნებულად აქვს ყველაფერი გაკეთებული. მაგრამ მე, როგორც მისი ბავშვობის მეგობარი, დარწმუნებული ვარ, ეს მკვლელობა იყო... - გიამ ეს აქვე მოიგონა, წინასწარ არასდროს არაფერს გეგმავდა, იმპროვიზაციის და ინტუიციის სჯეროდა. რაც მეგობრებს არალოგიკურად და ხშირ შემთხვევაში ახირებად გვეჩვენებოდა, მისთვის, თუ ერთხელ ამოიჩემებდა, შეუსრულებელი არაფერი არსებობდა. ასე იყო აქამდე, ახლა კი...

მიუხედავად იმისა, რომ მის გარშემო ყველა ერთხმად ამბობდა, არ არსებობსო, მაინც სჯეროდა, პატრიარქისაგან დადებითი პასუხით წამოვიდოდა, რატომ - ეს თვითონაც არ იცოდა, უბრალოდ, ასე სწამდა.

ნეტარ არიან მორწმუნენი.

პატრიარქი თავის უზარმაზარ ხის სავარძლის საზურგეზე თვალებმილულული მისვენებულიყო. ბოლო ფრაზაზე გასწორდა, სათვალე შეისწორა, გიას ისე შეხედა, რომ ამ უკანასკნელმა უხერხულობისგან წამით ისიც გაიფიქრა, იმას ხომ არ ფიქრობს, ვატყუებო. თბილისში ასეთი რამ ერთხელ მოხდა, თვითმკვლელის თავის ჭკუაში მაგარმა "შენძრეულმა" ძმაკაცებმა ასეთი რამე "დამოზგეს", მღვდელი მოატყუეს, მოკლულიაო და წესი ისე ააგებინეს. გიას ეს ამბავი გაახსენდა და თავისი სენტენცია სასწრაფოდ გააგრძელა: - მეუფეო, ძველმა, კარგმა, ჯიგარმა, სპორტსმენმა, კეთილშობილმა ბებემ ახალი, ცუდი ბებე მოჰკლა.

პატრიარქს შეეტყო, რომ ოდნავ დაწყნარდა, ისევ საზურგეს მიენდო, თვალები დახუჭა, სათვალე მოიხსნა, მაგიდაზე დადო და დიდი პაუზის შემდეგ წყნარად წარმოთქვა: - შვილო, გიორგი, მომიყევი კიდევ რამე მის შესახებ... ბესო, ხომ?

- დიახ.

საიდან დაეწყო, არ იცოდა, ის ამბები, რაც მისთვის აქ მოსვლამდე დადებითად ახასიათებდა ბებეს, ახლა ძალიან პრიმიტიული და არაფრისმთქმელი გახდა, რომელი ერთი მოეყოლა... და პირდაპირ დაიწყო: მამამისი ქართული კალათბურთის ლეგენდად წოდებული იმ გუნდის წევრი იყო, ევროპის ჩემპიონობა რომ აქვს მოგებული. თვითონ კი კალათბურთში საქართველოს ნაკრების წევრი, იმ დროისთვის ერთ-ერთი საუკეთესო დინამოელი, დერიუგინის და იმ პლეადის სპორტსმენი, - მიღწევების ჩამოთვლასაც აპირებდა, მაგრამ ატყობდა, ეს ოფიციალური ინფორმაცია არაფრისმომცემი იყო. რაღაც სულ სხვას ელოდა მთელი საქართველოს ცოდვების სამართალმემკვიდრე და კიდევ ერთი დაკარგული ცოდვილი სულის უიმედობით შეწუხებული ხანშიშესული ბერ-მონაზონი, უზარმაზარ ხის სავარძელში ყურადღებით მთვლემარე, პანაგიების და სადღესასწაულო მორთულობის გარეშე, უბრალო შავი მოსასხამით - (ასეთი სანახავი იყო პატრიარქი ოცდასამ ნოემბერსაც, რევოლუციის ღამეს, როცა უსისხლოდ გამარჯვების საუწყებლად ვეწვიეთ საპატრიარქოს ეზოში; ის ბოლთას სცემდა, ჩვენს დანახვაზე ცრემლი მოადგა და განმარტოვდა.) - კიდევ მიამბე რამე, გიორგი, ბესოს შესახებ, წერილებში რას წერს? - გაიმეორა პატრიარქმა ისე, რომ თვალები არ გაუხელია.

გიამ შვილისადმი მიწერილი წერილით დაიწყო.

- დედას დაუჯერე, ისწავლე, მაპატიე, თუ შეძლებ, მაგრამ იცოდე, ჩემი სიკვდილით მეტს გაგიკეთებ, ვიდრე სიცოცხლითო, - და გია მიხვდა, ამით უფრო მძიმდებოდა ბებეს საქმე, რადგან ბიჭებმა ყველაფერი შეუსრულეს, ეს ანგარებიანი წინასწარგანზრახული თვითმკვლელობა იყო. - უწმინდესო, ამ წერილების შინაარსი მე ზუსტად არ ვიცი, მე რაც მომწერა, ჯიბეში მიდევს, თუ ნებას მომცემთ, წაგიკითხავთ. პატრიარქმა თავი დააქნია, კვლავ თვალდახუჭულმა და გიას ამ ბოლო თხოვნას მხოლოდ ფორმალური, მისდამი პატივისცემის გამოხატვის ფუნქცია ჰქონდა. - ერთი კვირის წინ ვნახე და დავპირდი, ამ თვის ბოლოს გაგიშვებ ბიშკეკში, გიმკურნალებ-მეთქი. გია ჯიბიდან წერილს იღებდა ნერვიულად და თვითონვე ხვდებოდა, როგორც სიკვდილმისჯილს, ბოლო თხოვნას უსრულებდნენ, ვთქვათ, სიგარეტს მოაწევინებენ, ვერდიქტი გამოტანილი იყო. ან ეს ბიშკეკი რამ ათქმევინა, რაღაც მხოლოდ მორფინისტებისა და მათი მშობლებისათვის მითოლოგიური სახელწოდება. ამასობაში წერილი უკვე ხელში ეჭირა და დაიწყო პირველად თავის ცხოვრებაში ბორძიკით, უიმედოდ. ტექსტი არ გაუსწორებია, ზუსტად იცავდა სტილს, ამას მნიშვნელობა ალარ ჰქონდა:

*"გრეჩიხ გია (მარტომ წაიკითხე)*

*გია ძმაო შენ თავზე ნურაფერს ნუ იფიქრებ გთხოვ, რომ დროზე დამეწვინა და იქნებ ეს არ მომხდარიყოო, არა ძმაო ასე არ არის, შენ ჯიგარი ხარ, რომ გულით გინდოდა ჩემი აზრზე მოყვანა, მაგრამ მე მარტო ეგ არ მაწუხებდა მე ყველაფერი ერთად მაწუხებდა, ბევრი რამ, რაც ჩემს კაცობაზე და ჩემს პიროვნებაზე მოქმედებდა. კარგი წამალს გადავაგდებდი მაგრამ უამრავ შეცდომას და სინდისის ტანჯვას ხომ ვერ გადამაგდებინებდნენ.*

*გია არის ასეთი ჩემი პატარა ძმა ოთო ჩახავა (მაგთის რაღაც ნომერი) ძალიან კარგი ბიჭია, რაც მე დამპირდი, იმას თუ გაუკეთებ, მაგრად გამიხარდება, იქ ჯოჯოხეთში, იმიტომ რომ კარგი ბიჭია და არ მინდა ცხოვრება დაუმახინჯდეს, თან გულით უნდა გადაგდება.*

*ცამეტიდან ჩვიდმეტ თებერვლამდე უნდა დაწვეს მერე გვიან იქნება, უფრო სწორედ პრობლემატური და თუ ძმა ხარ თუ გექნა საშუალება აფიშირების გარეშე ჩემგან საჩუქრად გაუკეთე. იცოდე თავმოყვარე ბიჭია და ლამაზად გაუკეთე. მე რასაც ვაკეთებ ვიცი რომ ყლეობაა,(გიამ ეს სიტყვა ჩაყლაპა.) ვიცი რომ სუბუტექსმა გამაგიჟა, მაგრამ რა ვქნა გია მაგრად დავიღალე, მომავალი უფრო საშინელი ჩანდა. ვიცი, რომ ჯოჯოხეთში მოვხვდები, მაგრამ აქაც ჯოჯოხეთი იყო ჩემთვის, ამ ბიჭმა მინდა რომ ჩაიტაროს მკურნალობის კურსი, იმიტომ რომ მართლა გულით უნდა. ჩათვალე რომ მე მიკეთებ. ჩემი ძმა ხარ გია და მიდი შეუბერე, მაგრად შეუბერე იცოდე გკოცნი და მაპატიე.*

*ბებე*

*პ.ს. იარაღი ჩემი იყო, იცოდე რომ არ დაიწყონ, საიდან ჰქონდაო და რამე.*

*სულ მქონდა და იმენნა ეგ იარაღი."*

გია ტირილს იკავებდა, მაგრამ ვერ ახერხებდა, როგორც იქნა, ჩაათავა წერილი, სახელოთი ცრემლები შეიმშრალა და ეხლაღა ახედა უკვე წელში გამართულ პატრიარქს, რომელიც სათვალეს ირგებდა თუ თვითონაც ცრემლს იწმენდდა, გიამ ვერ გაარჩია. - გიორგი, შენ იცნობ იმ ყმაწვილს? - არა, უბრალოდ ვიცი, რომ მაგასთან ცხოვრობდა ბოლო ერთი თვე, - ზლუქუნით, თავჩახრილმა უპასუხა გიამ და წამოდგომა დააპირა.

პატრიარქმა მდივანს უხმო:

- მამა მიქაელს სთხოვეთ, გიორგის გაჰყვეს და წესი აუგოს. ბესო ხომ?

ქალი გაკვირვებული, ოდნავ მკაცრი გამომეტყველებით უყურებდა მუხლებზე დაჩოქილ, უკვე მოურიდებლად აღრიალებულ გიას, რომელიც პატრიარქის ანაფორის კალთებს კოცნიდა.






## თეატრები

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
პატრიკ ზიუსკინდის მიხედვით
"კაფე როსინი"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 20:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
რალფ კნიგი
ET CETERA
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
დათო ტურაშვილი
"ჯინსების თაობა"
რეჟისორი: დათო დოიაშვილი
დას: 19:00 სთ.

**სამეფო უბნის თეატრი**
"ლაბირინთი"
ავტორი და რეჟისორი: კახა ბაკურაძე
დას: 19:00 სთ.

## კინოთეატრები

**რუსთაველი**
"წყევლა"
დას: 17:30 სთ.

"სიახლოვე"
დას: 19:30; 21:30 სთ.

**ამირანი**
"ავიატორი"
დას: 15:30; 19:00; 22:00 სთ.

"უიღბლობა"
დას: 13:00 სთ.

## გალერეები

**ქარვასლა**
ქეთი ფერაძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა.

**TMS**
რუსუდან ბოლქვაძის ნამუშევრების გამოფენა

**ვერნისაჟი**
ვანო მელიაშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**ძველი გალერეა**
ლადო თევდორაძის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა
(ფერწერა)

**საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი**
გამოფენა "შუა საუკუნეების ქრისტიანული ხელოვნება"

**თანამედროვე ქართული ტექსტილის გალერეა "ათინათი"**
"მეტამორფოზები"
(თინა კლდიაშვილი და დავით მონავარდაშვილი)

**ორნამენტი**
მუდმივმოქმედი ექსპოზიცია "ტიხრული მინანქარი"

**ჰობი**
თანამედროვე ქართველი მხატვრების ნამუშევართა პერსონალური გამოფენა
(ფერწერა, გრაფიკა)

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე:* culture@24hours.ge

# 2005 წლის ჯაზის სეზონის კონტურები

## ელიტარულიცა და მასობრივიც

ვერა ნეფარიძე

*დევიდ სენბორნი, ჯორჯ კლინტონი, ჯონი სკოფილდი, რენდი ბრეკერი, - ის სახელებია, რომელთა კონცერტებიც ერთი საფეხურით აამაღლებს ჩვენი ტრადიციული ფესტივალის პრესტიჟს. ეს კი, მეტ საფუძველს მოგვცემს, რომ თბილისის მომდევნო ჯაზფესტივალს უფრო თავაწეულებმა ველოდოთ. თუმცა, სიამაყის საბაბი ახლაც გვაქვს - ჯო ზავინული პირველი მერცხალია, ვინც ჯაზის წლევანდელი სეზონის დადგომა უნდა გვაუწყოს.*

"ისთერნ პრომოუშენის" ტრადიცია უკვე ჩვენი ცხოვრების წესად იქცა. ყოველ შემთხვევაში, ვინც ვერ ახერხებს საზღვარგარეთ კონცერტებზე სიარულს, ისღა დარჩენიათ, ელოდონ როდის დაემთხვევა მათ გემოვნებას ზემოთხსენებული კომპანიის (რადგანაც, ჯერჯერობით "ისთერნ პრომოუშენი" ერთადერთია, ვინც სტაბილურად ახორციელებს მუსიკოსთა იმპორტს ჩვენთან) არჩევანი. გახსოვთ ალბათ, როგორ აიტაცეს ცნობა - შემოდგომაზე თბილისში სტინგი ჩამოვაო; შეკითხვა დღემდე რჩება აქტუალურად, იმის მიუხედავად, რომ ერთი შეხედვით, დაუჯერებელი ამაში არაფერია. მაგრამ, უფრო სასიამოვნო ის არის, რომ ამ დროისთვის ქართველ მსმენელს ახალი გასტუმრებული ეყოლება ჯაზის ყველა ის ვარსკვლავი, რითაც თავს იწონებს დაგეგმვის სტადიაში მყოფი, რიგით მეცხრე - "კოკა კოლა" თბილისი "ჯაზფესტივალი". თავის მხრივ, ფესტივალსაც მომზადებული შეხვდება ზავინულისგან მეორედ განებივრებული ჩვენი აუდიტორია.

ჯო ზავინული თავის ბოლოდროინდელ ჯგუფთან "ზავინულ სინდიკატთან" ერთად საქართველოში მეორედ ჩამოდის. პირველად ხუთი წლის წინათ იყო, როდესაც "ისთერნ პრომოუშენმა" თბილისის ჯაზფესტივალის ტრადიცია აღადგინა; თუმცა, კონცერტი ფესტივალის ფარგლებში არ შედიოდა. ზავინულის არც ახლანდელი გასტროლია ფესტივალის ნაწილი. როგორც ორგანიზატორები იხსენებენ, 2000 წლის კონცერტს დიდი აუდიტორია არ ჰყოლია; პირადად არ დავსწრებივარ ზავინულის პირველ კონცერტს, მაგრამ, უბრალოდ, ვენდობი იმ ადამიანების მუსიკალურ გემოვნებას, ვინც ხუთი წლის წინანდელი ფილარმონიის კონცერტი თბილისში გამართულ კონცერტთაგან ერთ-ერთ საუკეთესოდ მიიჩნია.

მას შემდეგ "ზავინულ სინდიკატის" შემადგენლობა შეიცვალა და ჯგუფის წევრებიდან ერთადერთი მუსიკოსი, დასარტყამ ინსტრუმენტზე შემსრულებელი ნათანიელ თაუნსლია, ვისაც საქართველოში ხუთი წლის წინანდელი გამოსვლა ემახსოვრება.

წელს ზავინულის ჩამოყვანას არ ვგეგმავდითო, მეუბნება "ისთერნ პრომოუშენის" მარკეტინგის მენეჯერი კახა კანდელაკი, მაგრამ როდესაც ბაქოელმა პარტნიორებმა შემოგვთავაზეს ზავინულის ტურნეს გრაფიკში თბილისი ჩაესვათ, ამ შანსის ხელიდან გაშვება არ გვინდოდაო. შანსი კი თავისთავად წავიდოდა, რომ არა "ინვესტბანკის" დაინტერესება. "ინვესტბანკი" 13 აპრილს ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში დაგეგმილი კონცერტის გენერალური სპონსორია. მასთან ერთად გასტროლს სხვადასხვა სახის დახმარებით შეეწევიან "ისთერნ პრომოუშენის" ტრადიციული პარტნიორი "შერატონ მეტეხი პალასი" და ავსტრიის ავიახაზები.

ჯო ზავინული და მისი "ზავინულ სინდიკატი" 12 მარტიდან ევროპულ ტურნეს იწყებს. კონცერტებს ავსტრიის, იტალიის, საფრანგეთისა და ჰოლანდიის შემდეგ, ჯგუფი კავკასიის ორ ქალაქში - ბაქოსა და თბილისში გეგმავს. ტურნეში "ზავინულ სინდიკატის" ექვსივე წევრი (ხორხე ბეზერა - პერქაშენი, კლოვის ნუნეს კორეა - გიტარა, ჟაკ ლუი ლინლი მერტი - ბას-გიტარა, ნათანიელ თაუნსლი - დასარტყამი ინსტრუმენტი, საბინ კაბონგო - ვოკალი და ჯო ზავინული - ქიბორდი) მონაწილეობს. სწორედ ეს შემადგენლობა ეწვევა თბილისს 13 აპრილს, დილით. კონცერტის ტექნიკურ მხარეს ჯგუფის ორი ხმის რეჟისორი უზრუნველყოფს.

მუსიკალური ჟურნალის - "დაუნ ბიტის" მიერ უკანასკნელად შარშან, უკვე 21-ჯერ აღიარებული წლის საუკეთესო ქიბორდისტი, თანამედროვეობის აღიარებული მუსიკოსი, ჯო ზავინული საკუთარ ჯგუფთან ერთად გაზაფხულზე ახალი აუდიო კომპაქტ და ციფრული ვიდეოდისკების გამოშვებას აპირებს; ჩვენ კი თვეზე ცოტა მეტი გვაშორებს 73 წლის მუსიკოსთან შეხვედრას.

რაც შეეხება "ისთერნ პრომოუშენის" ტრადიციულ ჯაზფესტივალს, შეიძლება ითქვას, ის დაგეგმვის პროცესშია. თუმცა, ცნობილია რამდენიმე სტუმრის ვინაობა. ჯერ იმ ცვლილების შესახებ მოგახსენებთ, რაც უკანასკნელ თვეებში განიცადა თბილისის ჯაზფესტივალმა. გახსოვთ, რომ "საქართველოს ბანკის" გენერალური სპონსორობის გამო ფესტივალმა შარშან ჩაიარა სახელწოდებით "საქართველოს ბანკის" თბილისის ჯაზფესტივალი და როგორც ვიცოდით, ასეც უნდა გაგრძელებულიყო. მაგრამ, მოგეხსენებათ, ჩვენს ქვეყანაში სტაბილური არაფერია... წლევანდელი, რიგით მეცხრე ფესტივალის "გადარჩენა" "კოკა კოლამ" იკისრა; სწორედ მისი გენერალური სპონსორობით ჩაივლის ფესტივალი; "კოკა კოლასთან" ერთად ფესტივალის ერთგული დარჩა "ნესკაფეც". სწორედ მათი დახმარების წყალობით გახდა შესაძლებელი, წლევანდელ ფესტივალს წონა შეჰმატონ ისეთმა დიდმა მუსიკოსებმა, როგორებიც არიან: გიტარისტი ჯონი სკოფილდი (სკოფილდის ტრიოს კონცერტი ე.წ. "ელიტარული ჯაზის" საღამოს რანგში გავა), ჯორჯ კლინტონი (ორგანიზატორები მისი მოწვევით საცეკვაო მუსიკის მოყვარულებს ასიამოვნებენ), საქსაფონისტი დევიდ სენბორნი (რომელიც ჯაზის დიდოსტატებთან ერთად ჩამოვა). მიმდინარეობს მოლაპარაკებები ბრაზილიელი წყვილის - აირტო მორეირასა და ფლორა პურიმთან; 25 წლისთავის ტურნეს ფარგლებში თბილისში ჩამოვა "ორიჯინალ ბლუზ ბრაზერს ბენდი"; ჯემ-სეიშენებისთვის ფესტივალის ორგანიზატორებს ლონდონიდან ჩამოჰყავთ სპეციალური ჯგუფი; ძალიან საინტერესო ექსპერიმენტი ელის ფესტივალის მსმენელს ჯგუფ "შინისა" და ცნობილი მესაყვირე რენდი ბრეკერის მონაწილეობით; ფაქტობრივად, ეს იქნება ჯაზისა და ფოლკის საღამო. ფესტივალი 29 ივნისს დაიწყება და 6 ივლისამდე გაგრძელდება. და კიდევ სიახლე: ცნობილი ჯაზფესტივალები დასავლეთში, როგორც წესი, არ შემოიფარგლება მხოლოდ კონცერტებით. "ისთერნ პრომოუშენს" თანამშრომლობა - ფესტივალის ფარგლებში მასტერ-კლასის გამართვა შესთავაზა ბობი კოლომბიმ. იმედია, მანამდე თუკი რამე ცვლილება მოხდება ფესტივალის გარშემო, ის მხოლოდ ჩვენი მსმენელის სასიკეთოდ იქნება.


*ზავინული თბილისს მეორედ ეწვევა.*

# ვინ გახდება GEOSTAR 2005?

## პირველი ათეული უკვე გამოვლენილია

ეთერ მამულაშვილი

*თუკი შენ ბავშვობიდან ესტრადის მომღერლობაზე ოცნებობ და ამაში ვოკალური მონაცემებიც ხელს გიწყობს, კომპანია "ჯეოსელი" გაძლევს უნიკალურ შანსს, ამ სურვილის ასახდენად. მეტიც, თუკი კონკურსის ყველა პირობას დააკმაყოფილებ და მსმენელისა და ჟიურის მოწონებასაც დაიმსახურებ, შესაძლოა სულ ცოტა ხანში "ჯეოსტარიც" გახდე.*

კომპანიის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული პროექტი "ჯეოსტარი", საქართველოში უკვე მეორედ ტარდება.

მსგავსი პროექტი, საქართველოს გარდა დღეს მსოფლიოს 22 ქვეყანაში უკვე რამდენიმე წელიწადია წარმატებით მიმდინარეობს. გერმანია, დიდი ბრიტანეთი, ნიდერლანდები, ავსტრალია, ამერიკის შეერთებული შტატები, ბელგია, ნორვეგია, ეს ის მცირე ჩამონათვალია, სადაც ადგილობრივი GSM ოპერატორი კომპანიები სეზონურად მაყურებლისა და კომპეტენტური ჟიურის დახმარებით საკუთარი სახელობის ვარსკვლავებს ავლენენ. ამ პროექტს, რომლის ლიცენზია კომპანია "ჯეოსელმა" პირველად გასულ წელს მოიპოვა, ყოველწლიურად 100 მილიონზე მეტი მუდმივი მაყურებელი ჰყავს.

ამ პროეტის ჩატარებაზე უფლებასა და შესაბამისად ლიცენზიას კომპანია "კლანი" გასცემს, რომლის წარმომადგენლები მუდმივად თვაყურს ადევნებენ, თუ რამდენად კარგად არის ამა თუ იმ მობილური კავშირგაბმულობის კომპანიის მიერ ორგანიზებული და ჩატარებული ეს ღონისძიება. ბუნებრივია, ასეთი კონტროლი გასულ წელს "ჯეოსტარის" მიმართაც ჩატარდა. **"კლანის" წარმომადგენლები, რომლებიც უშუალოდ იმყოფებოდნენ თბილისში კმაყოფილები დარჩნენ "ჯეოსელის" მიერ ორგანიზებული ამ აქციით, ამიტომაც კომპანიის მისი მეორედ ჩატარების უფლება ძალიან მარტივად მიანიჭეს",** - აღნიშნა ჩვენთან საუბრის დროს "ჯეოსელის" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენელმა ირმა ცქტიშვილმა.

"ჯეოსტარი 2005"-ის წინა შესარჩევი ტური კაფე "ბატონებში" თითქმის ერთი კვირა გრძელდებოდა. ორდღიანი კასტინგი ჟიურისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა, ამიტომაც საუკეთესოების გამოსავლენად დამატებით კიდევ ერთი ტურის ჩატარება გახდა საჭირო.

ჟიურის ყველა წევრი და პროექტის ორგანიზატორები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ შარშანდელთან შედარებით, წელს არჩევანის გაკეთება ძალიან რთული იყო. 4 ათასზე მეტ მსურველს შორის 10 საუკეთესოს არჩევა არც თუ იოლი საქმეა, მითუმეტეს, როცა კონკურენცია შარშანდელთან შედარებით ერთიორად გაზრდილია. **"წელს ჩვენ ძალიან რთულ მდგომარეობაში ვართ იმ თვლასაზრისით, რომ ამდენ კარგ ბავშვს შორის არჩევანის გაკეთება ძალიან გვიჭირს. თუკი შარშან 50 გამომსვლელს შორის 49 ნაკლებად საინტერესო იყო და მხოლოდ ერთი იყო მოსაწონი, წელს ყველაფერი პირიქით არის. წელს უფრო მეტია მუსიკალურად მომზადებული ბავშვების რაოდენობა და არჩევანი უფრო მეტ კარგ ადამიანს შორის უნდა გაკეთდეს. კიდევ ერთი; თუკი შარშან საშუალო ხარისხიდან საუკეთესოს და კარგს გამოვყოფდით, წელს კარგებიდან მხოლოდ საუკეთესოები უნდა შევარჩიოთ",** - აღნიშნა ჩვენთან საუბრის დროს ჟიურის ერთ-ერთმა წევრმა ნიკა მემანიშვილმა. ჟიურის შემადგენლობა უცვლელია - ნატო მეტონიძე, ნანიკო ხაზარაძე, დუტა სხრტლაძე და ნიკა მემანიშვილი.

გუშინ იმ ათეულის ვინაობაც გაირკვა, რომლებიც 21 მარტს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში წარდგებიან მაყურებლის წინაშე. ამ დღიდან მოყოლებული 30 მაისის ჩათვლით ყოველ ორშაბათს ამ დარბაზში კონკურსანტები სხვადასხვა ჟანრში იმღერებენ და საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმის გამოვლენას ახლა უკვე მაყურებლის წინაშე შეეცდებიან. ეს უკანასკნელი კი საკუთარ რჩეულს შესაბამის ტელეფონის ნომერზე ტექსტურ შეტყობინებას უგზავნის. კონკურსის ყველა ეტაპზე მომდევნო ტურს ერთი ყველაზე დაბალი რეიტინგის მქონე კონკურსანტი აკლდება.

კონკურსანტთა ათეული, სადაც სქესთა ბალანსი აშკარად დაცულია, ასე გამოიყურება: ხატია სახიაშვილი, გიორგი შარაბიძე, გიორგი ბუშელაშვილი, გუგა აფციაური, დათუნა სირბილაძე, ირაკლი აბულაძე, ბოკა კვეკვესქირი, ქეთი ტუღუში, სოფო კუჭავა და ირინა ონაშვილი. ნუ გაგიკვირდათ, დიახ ეს "მის საქართველო 2004" ირინა ონაშვილია, რომლისთვისაც "ჯეოსტარში" მონაწილეობის მიღება, საკუთარი შესაძლებლობების ერთგვარი გამოცდა იყო.

ის მოსაზრება, რომ ქართულ ესტრადაზე მოსახვედრად ხშირ შემთხვევაში მხოლოდ ბევრი ფული, ან "მაგარი მამიკოს" შვილობა კმარა, "ჯეოსელმა" ნაწილობრივ უკვე გააქარწყლა. კომპანიის ინიციატივა, რომელიც ნიჭიერი ახალგაზრდების ხელშეწყობას გულისხმობს, ჩვენს ქვეყანაში პირველად გასული წლის შემოდგომაზე ჩატარდა. მიუხედავად იმისა, რომ კონკურსში მონაწილე რვა კონკურსანტისგან "ჯეოსტარი" მხოლოდ ერთი გახდა, დანარჩენი შვიდის ცხოვრება ამ პროექტის შემდეგ რადიკალურად შეიცვალა. "ჯეოსელის" ამ პროექტმა რვავე კონკურსანტს პროფესიულ კარიერაში სერიოზული წარმატებები მოუტანა. თითქმის ყველამ საკუთარი ოცნება სრულად თუ არა, ნაწილობრივ მაინც აისრულა. ერთ-ერთი მათგანი ლიკა შუბითიძე იყო, რომელსაც ამ ცოტა ხნის წინათ კლუბმა "ნოა-ნოამ" კონტრაქტი გაუფორმა, ამის პარალელურად კომპანია "არტპრომმა" ლიკას კომპაქტ-დისკის ჩაწერა შესთავაზა, რაზედაც მუშაობა უკვე დაწყებულია. "თი ბი სი ჯგუფმა" ლიკასთვის კლიპის გადაღება საკუთარ თავზე აიღო.

მაისიში სოლო კონცერტისთვის ემზადება, "ჯეოსტარის" კიდევ ერთი მონაწილე ნუკი ცარელაშივილი, რომელმაც ბოლო ორ თვეში კიდევ რამდენიმე სერიოზული წინადადება და შემოთავაზება მიიღო.

დარწმუნებული ვარ ბევრს შეშურდება და სალომე სუხიშვილის ადგილზე ყოფნას ბევრი ისურვებდა, როცა მის ამბავს გაიგებთ. მიუხედავად იმისა, რომ სალომე სხვა მონაწილეებთან შედარებით ყველაზე ადრე გამოეთიშა კონკურსს, ამას ხელი როდი შეუშლია მომღერალ უცნობთან ერთად დუეტისა და კლიპის ჩაწერისთვის. და როგორც სალო ამბობს, ახალი კლიპი ქართულ ეკრანებზე სულ მალე გამოვა.


*"ჯეოსტარის" ჟიური*

# თბილისში ამერიკელი არქიტექტორი გაიხსენეს



კომპანია "არსისა" და "კიდ არქიტექტურის" ინიციატივით გუშინ "არსი გალერეაში" გაიმართა ამერიკელი არქიტექტორის ფილიპ ჯონსონის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო, სადაც არქიტექტორის ცნობილი ნამუშევრები იქნა წარმოდგენილი. ღონისძიებას არქიტექტორები, ამერიკის საელჩოს წარმომადგენლები და სამხატვრო აკადემიის სტუდენტები დაესწრნენ.

ფილიპ ჯონსონი, რომელსაც კოლეგები ამერიკული არქიტექტურის მეტრსაც კი უწოდებდნენ, არის ისეთი ცნობილი ნამუშევრების ავტორი, როგორიცაა 1949 წელს აგებული "შუშის სახლი" ქალაქ ნიუ ქენაანში, ასევე 1957 წელს აშენებული თომას ჰიუსტონის უნივერსიტეტი. ბოლოს იგი იყო ავტორი ცათამბჯენებისა, რომელიც კომპანია ATT-ს პროექტით შემუშავდა მანჰეტენის ცენტრისათვის.

ფილიპ ჯონსონი წელს 26 იანვარს, 99 წლის ასაკში ქალაქ ნიუ ქენაანში გარდაიცვალა.

*მედიანიუსი*

# მიზანშია ავსტრალიელი, როგორც ამერიკული კერპი



*რასელ ქროუ "ბრწყინვალე გონებაში"*

ჟურნალ GQ-ში დაბეჭდილ ცნობას რასელ ქროუს შესახებ გუშინ მთელი უცხოური პრესა იმეორებდა. ავსტრალიელმა მსახიობმა GQ-ში გამოქვეყნებულ ინტერვიუში აღნიშნა, რომ მასზე თავდასხმას "ალ ქაიდას" ტერორისტული დაჯგუფების წევრები გეგმავდნენ. 2001 წელს შედგენილი გეგმის მიხედვით, ტერორისტებს რასელ ქროუ უნდა გაეტაცებინათ. ამით კი შტატებში "კულტურული დესტაბილიზაცია" უნდა დაეწყოთ.

იმავე ინტერვიუში რასელ ქროუ აცხადებს, რომ მას გამოძიების ფედერალური ბიუროს ფარული აგენტები ორი ფილმის გადაღების განმავლობაში იცავდნენ. "სრულყოფილი გონისა" და "ოსტატი და მბრძანებელი: სამყაროს შორეული კიდის" გადაღებები გაძლიერებული დაცვის ქვეშ მიმდინარეობდა. გადაცმული აგენტები რასელ ქროუს არც იმავე წელს გამართულ "ოქროს გლობუსის" ცერემონიალზე მოშორებიან გვერდიდან.

ჟურნალისტის კითხვას, თუ ვინ აპირებდა მაინც მასზე თავდასხმას, ქროუმ ასე უპასუხა: "ეს იყო პირველი დიალოგი ჩემს ცხოვრებაშიც, რომელშიც სიტყვა "ალ ქაიდა" ახსენეს".

ასე რომ, 2001 წელი მსახიობისთვის, თურმე, ფრიად დაძაბული ყოფილა. არადა, იმ წელს მან დიდი აღიარებაც მოიპოვა. "ოქროს გლობუსის" ცერემონიალზე ქროუ "გლადიატორში" შესრულებული როლისთვის საუკეთესო მამაკაც მსახიობად აღიარეს.

"არა მგონია, მიზანში მხოლოდ მე ვყოფილიყავი ამოღებული, მაგრამ მიზანი ასეთი იყო - დაეშინებინათ ნამდვილი ამერიკული კერპები, ვარსკვლავები და ამით განეხორციელებინათ კულტურული დესტაბილიზაცია - არადა, ესეც ხომ ცხოვრებისეული ირონიაა", - თქვა ქროუმ და იგულისხმა ის, რომ თვითონ ახალ ზელანდიაში დაბადებული ავსტრალიელია და არა ამერიკელი.

რასელ ქროუ აცხადებს, რომ ბოლოს გამოძიების ფედერალურმა ბიურომ დაცვა შეწყვიტა, რადგან დაასკვნეს, რომ საფრთხის არსებობა შეიძლება გაზვიადებულიც ყოფილიყო. ასე რომ, ზუსტად არავინ იცის, მართლაც გადაურჩა რასელ ქროუ "ალ ქაიდას" კლანჭებს, თუ ცნობა ამის შესახებ გაზვიადებული იყო.

# ნიუ იორკის საგაზაფხულო კინოგეგმები




*ნიკოლ კიდმანი და შონ პენი ფილმში "მთარგმნელი"*

ჯერ მართალია, მარტია, მაგრამ ნიუ იორკი უკვე ემზადება მნიშვნელოვანი კინოღონისძიებისთვის. 19 აპრილს რობერტ დე ნიროს მიერ დაარსებული "ტრიბეკას" ფესტივალი იწყება და მზადება კინემატოგრაფისტთა წრეებში თანდათან პიკს აღწევს. "ბი ბი სი"-ს გუშინდელი ცნობით, 13-დღიან ფესტივალს სიდნეი პოლაკისა და ნიკოლ კიდმანის ბოლო ნამუშევარი "მთარგმნელი" გახსნის - სურათი გაეროს თანამშრომლის შესახებ, რომელიც მძაფრსიუჟეტიან აბლაბუდაში გაეხვევა.

უნდა ითქვას, რომ ფესტივალი წლიდან წლამდე სულ უფრო დიდი ყურადღებით სარგებლობს. წელს 250-ზე მეტ ფილმს უჩვენებენ. თითქმის ნახევარი დამოუკიდებელი წყაროებით დაფინანსებული ამერიკული სურათებია. ფესტივალზე 60-მდე მსოფლიო პრემიერაც შედგება. წინასწარვე დიდი განხილვის საგნად იქცა სურათი "დიდი ახალი შესანიშნავი" (Great New Wonderful), რომელიც 11 სექტემბრის შესახებ ხუთ ისტორიას აერთიანებს. საუბრობენ 1953 წელს გამოსულ საშინელებათა ჟანრის კლასიკის "ცვილის სახლის" რიმეიქზეც. ორიგინალ ვარიანტში მთავარ როლს ვინსენტ პრაისი თამაშობს. 2005 წელს კი ფილმში პერიზ ჰილტონიც გამოჩნდება. რეჟისორი სრულიად უცნობი ჰაუმ სერა გახლავთ.

ტრიბეკას ფესტივალს საკმაოდ კომპეტენტური ჟიური განსჯის - ბრიტანელი მსახიობების ალფრედ მოლინას და ალან კამინგის ჩათვლით.

დე ნირო კმაყოფილია: "წლიდან წლამდე სულ უფრო მეტ მხარდაჭერას ვგრძნობთ, როგორც ადგილობრივებისგან, ისე მსოფლიო კინოს წრეებიდან", - აცხადებს ის.

ტრადიცია არც წელს დაირღვევა და ვარსკვლავებით სავსე პრემიერების გარდა ოჯახურ გარემოზე ორიენტირებული კინოჩვენებებიც გაიმართება. ეს ღონისძიებები ღია ცის ქვეშ მოეწყობა - ზედმიწევნით მეგობრულ და ლაღ გარემოში.

რეჟისორი სიდნეი პოლაკი კი, რომელმაც 2003 წელს მსოფლიო კინემატოგრაფში შეტანილი წვლილისთვის "ოსკარი" მოიპოვა, წლევანდელ ტრიბეკაზე თავისი ახალი ფილმის "მთარგმნელის" შესახებ ისაუბრებს.

კიდმანი, როგორც გაეროს თარჯიმანი მკვლელობის გეგმის შესახებ საუბარს მოჰკრავს ყურს. ამის შემდეგ მისი სიცოცხლე აშკარა საფრთხის წინაშე დადგება. ფილმის ზოგიერთი სცენა გაეროს ნიუ იორკულ შტაბ-ბინაში გადაიღეს. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა გაეროს სტრუქტურაში კინოს სამყაროდან შეაღწიეს.

რაც შეეხება ტრიბეკას, ის სტარტს, როგორც უკვე მოგახსენეთ, 19 აპრილს აიღებს. რობერტ დე ნირო ღონისძიებას 2002 წლიდან მართავს - 11 სექტემბრის ტერაქტებისას დანგრეული მანჰეტენის გამოსაცოცხლებლად. მართალია, კანსა და ვენეციამდე ბევრი უკლია, მაგრამ მას შემდეგ მოყოლებული, ტრიბეკა თანდათან ძალიან მოდურ ბრენდად ყალიბდება.

ისარგებლეთ ლაი·ლაი-თ & იკითხეთ 24 საათი

1 აქციაში მონაწილეობის მიღება შეუძლია „24 საათი"-ს ყველა მკითხველს

2 შეაგროვეთ სამი ქვემოთ მონიშნული კუპონი და მიიღეთ საჩუქრად ლაი-ლაის სიმ-ბარათი

3 კუპონები ამოჭერით მითითებულ ადგილას და შეაგროვეთ ისე, რომ დაკომპლექტდეს ნუმერაცია 1, 2, 3 (მნიშვნელობა არ აქვს რომელი თარიღის გაზეთიდანაა ამოჭრილი კუპონი).

4 კუპონები წარადგინეთ ჯეოსელის თბილისისა და რეგიონების სარეალიზაციო წერტილებში ან სადილერო ქსელში. თქვენ იხდით 10 ლარს ისევ თქვენი სასაუბრო დროისთვის და იღებთ ლაი-ლაის სრულ სასტარტო პაკეტს (ლაი-ლაის სიმ-ბარათი + 10 ლარის ღირებულების სასაუბრო დრო)

| ქალაქი | მისამართი |
|---|---|
| თბილისი | რუსთაველის გამზ. №38 |
| | კოსტავას №37 |
| | ბაქოს №2 |
| | შეშელიძის №3 |
| | ჯავახეთის №44 |
| | ქ. წამებულის გამზ. №75 |
| | კინოთეატრი "რუსთაველი" |
| | გამსახურდიას გამზ. №24 |
| | რუსთაველის გამზ. №31 |
| | მარჯანიშვილის №19 |
| | წერეთლის გამზ. №141ა |
| | ყაზბეგის გამზ. №41 |
| | მ.კოსტავას №22 |
| | მ.კოსტავას №7 |
| ზესტაფონი | ჭანტურიას № 2 |
| ქუთაისი | თამარ მეფის №25 |
| სამტრედია | რუსთაველის № 27 |
| სენაკი | რუსთაველის № 211 |
| ზუგდიდი | კოსტავას №5ა |
| ხობი | დადიანის № 238 |
| ფოთი | 26 მაისის № 2 |
| ბათუმი | ერას №54/62 |
| ქობულეთი | აღმაშენებლის №135 |
| ოზურგეთი | ჭავჭავაძის № 6 |
| ჩოხატაური | ღუმბაძის №7 |
| ლანჩხუთი | თავისუფლების №2 |
| რუსთავი | ხალხთა მეგობრობის №10 |
| მარნეული | რუსთაველის №37 |
| ბოლნისი | ს.-ს. ორბელიანის № 44 |
| თელავი | კოსტავას № 3 |
| ყვარელი | ილია ჭავჭავაძის №64 |
| ლაგოდეხი | 26 მაისის №14 |
| წნორი | სტალინის №11 |
| დედოფლისწყარო | რუსთაველის № 4 |
| მცხეთა | სამხედროს №11 |
| კასპი | სტალინის №98 |
| გორი | სტალინის №15 |
| ცხინვალი | ცელნიკოვის №211/39 |
| ხაშური | რუსთაველის №16 |
| ბორჯომი | რუსთაველის № 121 |
| ახალციხე | ნათენაძის № 76 |
| ახალქალაქი | კლარა ცეტკინის №77 |

24 საათი 2 ლაი·ლაი

ამოჭერი

აქცია ძალაშია: 2005 წლის 1 თებერვლიდან 1 აპრილამდე.

კუპონების განაღდება შესაძლებელია: 2005 წლის 15 აპრილამდე.

სიმ-ბარათის აქტივაციის ბოლო ვადა: 2005 წლის 30 აპრილი.

*პაულო კოელიოს სვეტი*

# ჯარისკაცი ტყეში



ერთხელ პირენეებში, ბილიკს მივუყვებოდი, მშვილდ-ისრის სატყორცნად შესაბამის ადგილს ვეძებდი. გზად ფრანგი ჯარისკაცების ბანაკს გადავეყარე. ყველა მე მომაშტერდა, მე კი თავი ისე დავიჭირე, თითქოს, არაფერი დამინახავს და ჩემ გზაზე წავედი (ხომ ხვდებით, ზოგჯერ პარანოიკულად ეჩვენება ხოლმე ადამიანს, რომ ვიღაცა მას ჯაშუშად იღებს...).

მალე იდეალური ადგილიც ვიპოვე. ის იყო, ჩემი დაწყებითი, სუნთქვის ვარჯიშების ჩატარებას მოვრჩი, რომ შევატყვე, ჩემსკენ დაჯავშნული მანქანა მოემართებოდა.

შინაგანად მაშინვე თავის დასაცავად განვეწყვე. მოვემზადე შესაძლო კითხვებზე პასუხის გასაცემად: რომ მე მაქვს მშვილდის ლიცენზია; რომ ეს ადგილი ძალიან უსაფრთხოა; რომ ერთადერთი, ვინც შეიძლება უკმაყოფილო დარჩეს, ტყის მცველია და არა ჯარისკაცი და ა.შ. მაგრამ უცებ ერთი კაცი სამხედრო მანქანიდან გადმოხტა და მკითხა, მწერალი ხომ არ ვიყავი. შემდეგ კი იმ მიდამოს შესახებ რამდენიმე საინტერესო ამბავი გამანდო.

მერე კი თითქმის ბოლო წვეთამდე დაძლია თავისი, თითქმის ხელშესახები სიმორცხვე და ისიც მითხრა, რომ წიგნი თვითონაც დაუწერია, თანაც თემა ძალიან უცნაური გარემოების გამო შეურჩევია.

რამდენიმე ხნის წინ მან და მისმა ცოლმა კეთროვანი ინდოელი ბავშვის მკურნალობის პროცესი დაასპონსორეს. ბავშვი ინდოეთიდან საფრანგეთში ჩამოიყვანეს და საეკლესიო თავშესაფარში მიაბარეს. პატარას იქ მონაზვნები უვლიდნენ. ცოლ-ქმარმა გოგონას მონახულება გადაწყვიტა. მათ თავშესაფარში კარგა ხანი დაჰყვეს. დიდხანს ისაუბრეს. საუბრის ბოლოს ერთ-ერთმა მონაზონმა კაცს შესთავაზა, ხომ არ გსურთ, ბავშვებისთვის სასულიერო გაკვეთილების ჩატარებაში დაგვეხმაროთო. ჟან პოლ სეტომ (ჩემი ნაცნობი ჯარისკაცის სახელია) დედებს აუხსნა, რომ კატეხიზმის სწავლის არანაირი გამოცდილება არ ჰქონდა, მაგრამ მაინც იფიქრებდა, იქნებ ღმერთსაც მიეცა ნიშანი.

იმ ღამეს, ლოცვების შემდეგ, მან პასუხი მიიღო: "იმის ნაცვლად, რომ პირდაპირ პასუხის გაცემაზე იფიქრო, შეეცადე და მოიძიე ის კითხვები, რაც შეიძლება, ბავშვებს დაებადოთ".

იდეა სეტოს ჭკუაში დაუჯდა. მან რამდენიმე სკოლა მოიარა და მოსწავლეებს სთხოვა, დაეწერათ ყველაფერი, რისი ცოდნაც ცხოვრების შესახებ სურდათ. ცხადია, ბავშვებს უამრავი კითხვა ჰქონდათ და მზად იყვნენ, ხმამაღლაც დაესვათ ეს საკითხები, მაგრამ სეტომ მაინც წერილობითი ფორმა არჩია. ამ გზით, ის ყველაზე მორცხვ პატარასაც კი გულისნადებს გაამჟღავნებინებდა. შედეგი საინტერესო გამოვიდა. სეტომ ყველაფერი ერთ წიგნად შეკრა და ასე უწოდა: "ბავშვი, რომელიც უამრავ კითხვას სვამდა" (L'Enfant qui posait toujours des questions. Editions Altess, Paris).

აი, რამდენიმე კითხვა წიგნიდან:

**სად მივდივართ სიკვდილის შემდეგ?**

**რატომ გვეშინია უცხოელების?**

**მართლა არსებობენ თუ არა მარსელები და უცხოპლანეტელები?**

**რატომ ატყდებათ თავს უბედური შემთხვევები მათაც კი, ვისაც ღმერთის სწამს?**

**რას ნიშნავს ღმერთი?**

**რატომ ვიბადებით, თუკი, ბოლოს მაინც უნდა მოვკვდეთ?**

**რამდენი ვარსკვლავია ცაში?**

**ვინ გამოიგონა ომი და ბედნიერება?**

**უსმენს თუ არა ღმერთი ადამიანებს, რომელთაც ჩვენი ღმერთის (კათოლიკების) არ სწამთ?**

**რატომ არსებობენ ღარიბი ადამიანები და ავადმყოფები?**

**რატომ შექმნა ღმერთმა კოღოები და მწერები?**

**რატომ არ არის მფარველი ანგელოზი ჩვენ გვერდით მაშინ, როცა სევდა გვიპყრობს?**

**რატომ გვიყვარს ზოგი ადამიანი და გვეზიზღება სხვა?**

**ვინ დაარქვა სახელები ფერებს?**

**თუ ღმერთი სამოთხეშია და დედაჩემიც იქ არის იმიტომ, რომ ის გარდაცვლილია, მაშინ ღმერთი როგორღაა ცოცხალი?**

დიდი იმედი მაქვს, ზოგი მასწავლებელი მაინც, რომელიც წაიკითხავს ამ სვეტს, დაფიქრდება ამ მეთოდზე და თვითონაც მოინდომებს ბავშვების წარმოსახვაში დაბადებული კითხვები მოისმინოს.

შეიძლება, ჯობდეს კიდეც იმის ნაცვლად, რომ სამყაროს ჩვენეული - დიდური გავლენა მოვახვიოთ პატარებს თავზე, მათ კითხვებს მოვუსმინოთ. გავიხსენოთ ჩვენივე კითხვები - ჯერაც პასუხგაუცემელნი - რომელთაც ბავშვობაში ჩვენც ვსვამდით.

***ქართულად გამოცემულია პაულო კოელიოს საერთაშორისო ბესტსელერები: "თერთმეტი წუთი", "ალქიმიკოსი", "რიო-პედრას ნაპირას ჩამოვჯექი და ავტირდი" და "ვერონიკამ სიკვდილი გადაწყვიტა". იკითხეთ წიგნის მაღაზიებში.***

ინფოთეკა

### ხუაკინს უზარმაზარ თანხას სთავაზობენ

ლონდონის "ჩელსის" ხელმძღვანელობამ კიდევ ერთხელ მიმართა წინადადებით ესპანური კლუბის "ბეტისის" ფეხბურთელს ხოაკინს. ამჯერად "ლურჯები" მისთვის რეკორდული თანხის - კვირაში 130 ათასი გირვანქა სტერლინგის გადახდა აპირებენ. ასეთი თანხა მსოფლიო ფეხბურთში არავის მიუღია. გარდა ამისა, "ბეტისი" ხუაკინის ტრანფერისთვის 30 მილიონ გირვანქა სტერლინგს მიიღებს.

სხვათა შორის, ამ ფეხბურთელის ყიდვა მადრიდის "რეალსაც" უნდა.

### ფერგიუსონმა გაშვებული შანსების გამო დაიჩივლა

ინგლისური კლუბის "მანჩესტერ იუნაიტედის" მთავარმა მწვრთნელმა, რომლის გუნდიც "მილანთან" მარცხის გამო ჩემპიონთა ლიგას გამოეთიშა, წაგების მიზეზად გამოუყენებელი შანსები დაასახელა.

"რამდენიმე შესანიშნავი მომენტი ვერ გამოვიყენეთ. გოლის გატანა რომ შეგვძლებოდა, საქმეც სხვაგვარად წაგვივიდოდა - ანგარიშს შევინარჩუნებდით. თამაში რთული იყო. შესანიშნავი დატყმით კრესპომ მატჩის ბედი გადაწყვიტა. გული მწყდება იმის გამო, რომ ტურნირს გამოვეთიშეთ, თუმცა, ვაღიარებ, რომ შესანიშნავ გუნდს დავუთმეთ ადგილი", - განაცხადა ფერგიუსონმა.

### შევჩენკო ორ კვირაში დაბრუნდება

ეროვნული ნაკრებისა და "მილანის" თავდამსხმელმა ანდრეი შევჩენკომ განაცხადა, რომ, სავარაუდოდ, ორ კვირაში უკვე ფორმაში იქნება.

შეგახსენებთ, რომ იტალიის ჩემპიონატის ერთ-ერთი მატჩის დროს უკრაინელ ფორვარდს მეტოქე გუნდის ფეხბურთელთან შეჯახებისას სახე დაუზიანდა.

"ექიმებმა მითხრეს, რომ ორ კვირაში შევძლებ მოედანზე გასვლას, დამცავი ნიღბის ტარებაც აღარ დამჭირდება".

### ფიფამ ანტირასისტული ელჩები დანიშნა

ფიფა ფეხბურთში რასიზმის გამოვლინების წინააღმდეგ მებრძოლ ელჩთა ჯგუფის ჩამოყალიბებას აპირებს. მას სათავეში ჩაუდგება რასიზმის ერთ-ერთი ბოლო "მსხვერპლი", საფრანგეთის ეროვნული ნაკრებისა და "არსენალის" ფორვარდი ტიერი ანრი. ჯგუფში ასევე შევლენ ცნობილი ფეხბურთელები და მწვრთნელები, ისეთებიც, რომელთაც კარიერა უკვე დასრულებული აქვთ.

"ძალიან ცუდია, რომ ისევ გვიწევს რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლა. მჯერა, ჯგუფის შექმნა რაღაც შედეგს გამოიღებს", - განაცხადა ფიფას პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა.

### მიდო ეროვნულ ნაკრებში არ გამოიძახეს

"ტოტენჰემის" ეგვიპტელი ფორვარდი მიდო საუდის არაბეთთან ამხანაგურ მატჩში მონაწილეობის მისაღებად ეროვნულ ნაკრებში არ გამოიძახეს.

შეხვედრა მომავალ კვირასაა დაგეგმილი.

შეგახსენებთ, რომ მიდომ ნაკრებში ადგილი მაშინ დაკარგა, როცა სექტემბერში, ფეხის ტრავმის მიზეზით, კამერუნთან თამაშზე უარი განაცხადა. არადა, მეორე დღეს "რომას" მაისურით მოედანზე გამოვიდა (მაშინ იტალიურ კლუბში თამაშობდა). ეგვიპტის ეროვნულ ნაკრებს იმ დროს მარკო ტარდელი წვრთნიდა.

### "ბაიერმა" მთავარ მწვრთნელს კონტრაქტი გაუგრძელა

"როიტერსის" ცნობით, გერმანულმა კლუბმა "ბაიერმა" მთავარ მწვრთნელს კლაუს აუგენტალერს 2005-06 წლების სეზონის დამთავრებამდე გაუგრძელა კონტრაქტი.

აუგენტალერი 2003 წლის მაისში მოვიდა კლუბში, ქვეყნის ჩემპიონატის დამთავრებამდე ორი ტურით ადრე. მან შეძლო გუნდი მეორე ბუნდესლიგიდან გამოვარდნისგან ეხსნა.

### "ბოხუმი" ფორვარდის გარეშე დარჩა

გერმანული კლუბი "ბოხუმი" სეზონის ბოლომდე ფორვარდის ფილიპ ტროანის გარეშე დარჩა. ჩეხმა ფეხბურთელმა "შალკეს" წინააღმდეგ მატჩში მუხლის ტრავმა მიიღო.

### ვიალი "იუვეს" უდანაშაულობაში დარწმუნებულია

წარსულში იტალიის ეროვნული ნაკრებისა და "იუვენტუსის" ცნობილმა ფეხბურთელმა ჯანლუკა ვიალიმ განაცხადა, რომ "იუვეში" თამაშიც დროს აკრძალულ პრეპარატებს არ იღებდა.

ვიალი კლუბში მაშინ თამაშობდა, როცა კლუბის ექიმი იყო რიკარდო აგრიკოლა, კაცი, რომელსაც ბრალად სდებენ ფეხბურთელებისთვის აკრძალული პრეპარატების მიცემას.

"კატეგორიულად უარვყოფ ყოველგვარ ბრალდებას. მე არა მხოლოდ ფეხბურთელი ვარ, არამედ მამა და მეუღლეც. ჩემი ოჯახის წინაშე ვალდებულება მაქვს აღებული. დამიჯერეთ, აკრძალული პრეპარატებით საკუთარ ჯანმრთელობას ზიანს არ მივაყენებდი", - განაცხადა ვიალიმ, რომელიც ასევე დარწმუნებულია, რომ 1994-98 წლებში "იუვენტუსმა" ყველა ტიტული სამართლიანად მოიგო.

"ყველა მიღწევა თავგამოდებული შრომის, ვარჯიშის შედეგი იყო და არა აკრძალული პრეპარატების".

# ვერის ბაღელები



# ტოტალური ფეხბურთი ტოტალიტარული სისტემის საპირისპიროდ

რუბრიკას უძღვება
ნინო სვანიძე

*ჩვენი სტუმრები არიან ალექსანდრე რონდელი და ნუგზარ პერონიძე - ვერისბაღელები, რომლებსაც ქართულ ფეხბურთში ევროპული აზროვნების დანერგვა აუცილებლად მიაჩნიათ.*

**ნუგზარ პერონიძე:** "ვერაფრით დავეთანხმები იმ მოსაზრებას, თითქოს ზოგიერთი საბჭოთა გუნდი ოდესმე ტოტალურ ფეხბურთს თამაშობდა. ტოტალურ ფეხბურთს კი არა, სანამ საბჭოთა სისტემის ფეხბურთის გავლენას არ მოვიცილებთ, არაფერი გვეშველება. საბჭოთა ეპოქაში კარგი ფეხბურთელებიც იყვნენ და კარგი გუნდებიც, მაგრამ მაინც იმ სისტემაში იყვნენ გაჩხერილები და ამას ვერავინ ვერაფერი მოუხერხა - ანდრო ჟორდანიამაც კი ვერ გამოავლინა ბოლომდე ის, სინამდვილეში რა შესაძლებლობაც ჰქონდა".

**ალექსანდრე რონდელი:** "მართალია. შეიძლება პარადოქსადაც ჟღერდეს ის, რასაც ახლა ვიტყვი, მაგრამ საბჭოთა სპორტი ცუდი სპორტი იყო; ვითომ სპორტს დიდი ხელშეწყობა ჰქონდა, უამრავი ოლიმპიური ჩემპიონიც ჰყავდათ, მაგრამ ყველაფერი იმისთვის კეთდებოდა, რომ ბოლოს წითელი დროშა აფრიალებულიყო"...

**ნუგზარ პერონიძე:** "იდეოლოგიზებული იყო, პოლიტიზებული - საბჭოთა სპორტსმენს ყველაზე მეტი სიმძიმე უნდა აეწია და ამას ეწირებოდა ყველაფერი"...

**ალექსანდრე რონდელი:** "თუმცა, სანახაობრივად ცუდი არ იყო - ახლანდელი ტოტალური ფეხბურთი MTV-ს გადაცემებს მაგონებს - სულ ერთი და იგივე ტრიალებს, სოლისტები აღარ ჩანან. ძველად ფეხბურთში სოლისტები ჩანდნენ; იყო დრამატურგია, ფაბულა - ხან შენელდებოდა თამაში, ხან აჩქარდებოდა".

**ნუგზარ პერონიძე:** "ჰო, მაგრამ მე მაინც მიმაჩნია, რომ საბჭოთა სისტემის გავლენამ სპორტსმენებს პლასტიკაც კი შეუცვალა. პოლიტიკა ყველა ქვეყნის ფეხბურთზე ზემოქმედებს მეტ-ნაკლებად, მაგრამ - არა ამ დოზით. მე გერმანული ფეხბურთის თაყვანისმცემელი არ ვარ, მაგრამ დააკვირდით, სულ სხვადასხვა პლასტიკით თამაშობენ დასავლეთგერმანელი და აღმოსავლეთგერმანელი ფეხბურთელები, თუნდაც, ჩრდილო და სამხრეთკორეელი სპორტსმენები. მოკლედ, უნიჭიერესი ადამიანიც კი თავს ბოლომდე ვერ გამოავლენს ამ სისტემაში - მესხი რისთვის გაუშვეს, ან ანდრო ჟორდანია; გალაკტიონი რატომ ლოთობდა?! გალაკტიონის ერთ-ერთ თანაკლასელს თავის დროზე უთქვამს: ის გალოთდა და მე კაცი გამოვედიო. აი, ასეთი ქვეყანა იყო და იმ გავლენას დღესაც მძაფრად განვიცდით".

**ალექსანდრე რონდელი:** "სპორტსა და მეცნიერებაში ნაკლებად სცოდავდა ის სისტემა - სხვა სფეროებში კიდევ უფრო მეტი ცოდვები აქვთ. სპორტში რეალური შედეგები მაინც სჭირდებოდათ და კიდევ როგორღაც გაჰქონდათ თავი იმდროინდელ ფეხბურთელებსა და მწვრთნელებს. დანარჩენი ყველაფერი ტყუილი და სიცრუე იყო. იმიტომაც დაინგრა და განადგურდა. ისე, იმ სისტემაში ერთი კარგი მოვლენა მაინც არსებობდა - ვერის ბაღი. ახლა მსგავსი აღარაფერია; ან იქნებ უკვე ყველგანაა და ჩვენ აზრზე არა ვართ".

**ნუგზარ პერონიძე:** "სწორედ იმ სისტემის საპირისპიროდ არსებობდა ჩვენი ბაღი - თავისუფლების კუნძულივით იყო"...

**ალექსანდრე რონდელი:** "ბაღში ყოველდღე ნამდვილად არ დავდიოდი. თუმცა, იყო პერიოდები, როცა გადაბმულად თვეების განმავლობაში მივლია. იცით, როდის მინდებოდა ბაღში მისვლა? ძალიან რომ შემომაწვებოდა ბოლმა; მივდიოდი და გვიანობამდე ვრჩებოდი. არ მახსოვს შემთხვევა, იქიდან ცუდ გუნებაზე წამოვსულიყავი. იქ იყო თავისუფალი სიტყვა, ძალიან საინტერესო პოლემიკა, ენამოსწრებულობის კასკადი...

ბევრ ახლანდელ ცნობილ პოლემისტს ვერის ბაღის სკოლა აქვს გავლილი".

**ნუგზარ პერონიძე:** "ჰო, პოლემიკა ზოგჯერ ძალიან სასაცილოც ხდებოდა ხოლმე. მახსოვს, ერთხელ პოლიტიკური დისპუტი გვაქვს - მაშინ ინგლისი და არგენტინა ფოლკლენდის კუნძულების გამო დავობდნენ; ვდავობდით ჩვენც, მაგრამ ვერაფრით ვერ გავარკვიეთ, ვის მხარეს იყო სიმართლე. ერთი ავტორიტეტული კაცი გვყავდა ბაღში, უნივერსიტეტის ლექტორი, გვარად ხაჟალია, რომელიც იმ დღეს დაღლილი იყო და ბაღში, სკამზე ჩამოეძინა; კამათში მონაწილეობა არ მიუღია. ბოლოს, ძალიან რომ გაგვიჭირდა, "ხაჟო" გავაღვიძეთ და ვთხოვეთ, კამათის ბედი გადაეწყვიტა; თვალი გაახილა და იკითხა, - რუსეთი ვის მხარესააო. ვუთხარით, - არგენტინას ემხრობათქო. ესე იგი, ინგლისია მართალიო, - დაასკვნა "ხაჟომ".

**ალექსანდრე რონდელი:** "პირადად მე უფროსი ვერისბაღელების კეთილგანწყობას იმით მივაღწიე, რომ ყოველთვის ახალ-ახალ ინფორმაციას ვფლობდი. დღის განმავლობაში "ბელადს" სადმე შევხვდებოდი ან დამირეკავდა, რაიმე საინტერესო სიახლეს მოვუყვებოდი, მერე, საღამოს, ის თავისებურად გადასცემდა ბაღელებს და ყველა პირდაღებული უსმენდა; მე არასდროს ვეჩხირებოდი ბელადს - უფრო ვამაგრებდი; ძალიან ვუყვარდი".

**ნუგზრ პერონიძე:** "აბა, მთელი ახალგაზრდობა ბი-ბი-სი-ზე მქონდა ყური მიდებული, რამე არ გამომპარვოდა"...

**ალექსანდრე რონდელი:** "რას ამბობ, მარტო მეზობლის კედელზე არ მქონდა ყური მიდებული და იმასაც ვნანობ (იცინის). აი, ნუგზარს რაც შეეხება, პანტიანი სულაც ამის აღმოჩენილია"...

**ნუგზარ პერონიძე:** "მე და ჩემმა ძმამ - გოდერძიმ უნივერსიტეტის ფიზიკოსებისგან ავიღეთ კონსულტაცია; ვიცოდით, რომ ყარსში იდგა გამაძლიერებელი, მერე ისიც გავითვალისწინეთ, რომ ტელევიზიის გავრცელება პირდაპირხაზოვანია; ვიფიქრეთ, სად შეიძლებოდა თურქეთი დაეჭირა და პანტიანი ავირჩიეთ - ყველაზე ახლოს იყო; ავედით. მეზობლის მანქანაში 12-ვოლტიანი ტელევიზორი გვედგა გარეთ გამოყოფილი ანტენით და დავიჭირეთ; მერე დაიწყო დიდი მოძრაობა პანტიანისკენ - მთელი თბილისი ადიოდა"...

**ალექსანდრე რონდელი:** "სხვათა შორის, მერე მიამბეს - ნატოს კოსმიური დაზვერვა დაინტერესებულა, რა იყო ეს ათასობით მანქანისგან შემდგარი განათებული კოლონა და სად მიდიოდა; თავიდან ჯარების გადაადგილება ჰგონებიათ"...

**ნუგზარ პერონიძე:** " თავიდან ქართული სპეცსამსახურებიც დაინტერესდნენ, მაგრამ რომ მიხვდნენ, ამ ყველაფერს პოლიტიკასთან კავშირი არ ჰქონდა, მერე თვითონაც ამოდიოდნენ, თამაშებს იწერდნენ და პატიაშვილისთვის ჩაჰქონდათ".

**ალექსანდრე რონდელი:** "მახსოვს, 70-იან წლებში ინგლისში სტაჟირებაზე ვიყავი. იქ რამდენ ფეხბურთს ვნახავდი, ხომ წარმოგიდგენიათ; ჩამოვედი და, რა თქმა უნდა, ვერის ბაღში გამოვცხადდი ანგარიშის ჩასაბარებლად - ხომ უნდა მომეყოლა იქაური ჩემპიონატის ამბავი; აღფრთოვანებული ვარ ინგლისის ჩემპიონატით და გატაცებით ვყვები იქაური ფეხბურთის შესახებ. არადა, ბაღის უმრავლესობა, როგორც ცნობილია, ლათინურამერიკულ ფეხბურთს ეთაყვანება, ინგლისურს არ ცნობს. მოკლედ, ისეთი დღე მაყარეს, თავი ფეხბურთის უცოდინარი მეგონა. ბელადმაც კი ალმაცერად შემომხედა. არადა, ახლა ყველა ინგლისის ჩემპიონატს შენატრის და უყურებს. ჰოდა, რაც დრო გადის, უფრო ვრწმუნდები, რომ არც ისეთი უცოდინარი ვყოფილვარ".

**ნუგზარ პერონიძე:** "ყოველ შემთხვევაში, დღევანდელ ქართულ ფეხბურთს ევროპულ აზროვნებასთან ზიარება სჭირდება და დიდ შეცდომად მიმაჩნია, ახლახან პატარა ქართველი ფეხბურთელები ბრაზილიაში რომ გაგზავნეს სასწავლებლად. ის ხიბლი, რაც ბრაზილიურ ფეხბურთს აქვს, ქართველებსაც შეიძლება თანდაყოლილად მოსდგამდეთ, აი, ევროპული ცოდნა კი ნამდვილად აკლიათ და აუცილებლად უნდა მიიღონ.

რა შეიძლებოდა მოეხერხებინა ექვს თვეში ბოსკამპს ამ წლობით დანგრეული სისტემისთვის. აქ ხომ საფეხბურთო პოლიტიკა არ არსებობს. ამ პოლიტიკას ფედერაცია უნდა გეგმავდეს, ფიქრობდეს; კამათები უნდა იმართებოდეს, რა გზას დავადგეთ. არადა, დღეს ამაზე არავინ ფიქრობს. აი, მაგალითად, გოგიტა გოგუაძე ჩვენი მეგობრის ჯემალ ჩიმაკაძის აღმოჩენილია (ჯემალი ახლახან გარდაიცვალა და თქვენს რუბრიკაშიც იყო მასზე საუბარი); ეხვეწებოდა ყველა ქართველ მწვრთნელს, - გუნდში აიყვანეთო, - მაგრამ ყური არავინ ათხოვა: დაბალია, პატარააო. ჩამოვიდა ფრანგი მწვრთნელი, გოგუაძის ერთი თამაში ნახა და მაშინვე გუნდში აიყვანა.

რაც ჟირესი გახდა მწვრთნელი, ის მაინც გამოჩნდა ზუსტად, გუნდს რა აკლია, რა სჭირდება; მანამდე ისეთი არეულობა იყო, ესეც არ ჩანდა. ამიტომ, ევროპულ სკოლას უდავოდ პოზიტიური გავლენა აქვს ჩვენს ფეხბურთზე".

**ალექსანდრე რონდელი:** "სხვათა შორის, დღეს ბევრს შეიძლება არც ახსოვდეს, რომ "დინამოს" სულ პირველი მწვრთნელი ჩეხი გახლდათ - ლილბეკი, რომელმაც ასწავლა ქართველ ფეხბურთელებს ბურთთან მოპყრობა. მერე, სტალინის ეპოქაში, ეს ამბავი მიიჩქმალა - როგორ შეიძლებოდა, უცხოელი მწვრთნელი გვყოლოდა...

ერთი რამაა კიდევ ძალიან მნიშვნელოვანი - სტადიონზე დღეს დადის ძალიან დაბალი დონის საზოგადოება. ახლახან ლიტვის გუნდთან იყო თამაში. მაყურებელი ისეთ შეურაცხყოფას აყენებდა სტუმრებს, სამარცხვინო იყო. როგორ შეიძლება - ლიტვა ჩვენი მეგობარი ქვეყანაა, ამდენი საერთო გვაქვს. არადა, წინათ ისეთი კულტურაც არსებობდა ჩვენში, რომ თუ მოწინააღმდეგე გუნდის ფეხბურთელი კარგ ილეთს გააკეთებდა, ქართველები ოვაციას უმართავდნენ - სხვისი ნიჭის დაფასებაც შეეძლოთ".

**ნუგზარ პერონიძე:** "ახლა ერთი სიტყვა ისევ ტოტალურ ფეხბურთზე ვთქვათ - ეს იდეა მხოლოდ თავისუფალ ქვეყანაში თუ გაჩნდებოდა. მიხელსი ფანტასტიკური მწვრთნელი იყო და ერთხელაც მოიგონა ასეთი ტაქტიკა. საერთოდ, გუნდმა ტაქტიკა სისტემატურად თუ არ ცვალა, ცოტა ხანში წაკითხული წიგნივით ხდება. ეს ტოტალური ფეხბურთის ტაქტიკა სწორედ მოწინააღმდეგის გასაოცებლად, დასაბნევად, გამარჯვებისთვისაა გამიზნული"...

**ალექსანდრე რონდელი:** "ადვილი არ გეგონოთ. ადრე ფეხბურთში ფუნქციები მკვეთრად იყო გამიჯნული. ტოტალურის დროს ყველა ერთად თამაშობს და ამას სჭირდება ძალიან კარგი ფიზიკური მომზადება; თვითონ ტაქტიკაც ძალიან ძნელი დასაგეგმია და დიდ სისწრაფეს მოითხოვს. ამას მხოლოდ უმაღლესი დონის ფეხბურთელები და მწვრთნელები თუ ახერხებენ. "მანჩესტერ იუნაიტედი" ტოტალურ ფეხბურთს არ თამაშობს? მართალია, როდესაც ფორვარდი თავის თამაშს თამაშობს, ცენტრალური ფორვარდი - თავისას, იქ ცოტა სხვა ხიბლი აქვს სანახაობას - ბალეტივით არის; ტოტალური ფეხბურთის სანახაობრივი უპირატესობა სხვაა - სისწრაფე, საოცარი ტექნიკა"...

**ნუგზარ პერონიძე:** "მთავარი ისაა, რომ ეს იქ ხდება, სადაც სიახლეს ეძებენ. ესეც ძიების, განვითარების ნაწილია"...

**ალექსანდრე რონდელი:** "აი, როგორც დემოკრატიაა მმართველობის საუკეთესო ფორმა, ისე ეს ტოტალური ფეხბურთიც ამ დროისთვის უნივერსალური მიგნებაა - დაბლიუს პრინციპით თამაში უკვე მოძველებულია.

ერთადერთი, რისიც მეშინია - ამ უსწრაფეს პროცესებს, ფეხბურთში და ყველა სხვა დანარჩენ სფეროშიც, საქართველო სამუდამოდ არ ჩამორჩეს. ფეხბურთს კიდევ აქვს შანსი - ბოლოს და ბოლოს, საკმარისი წარმატებაც გვინახავს".

ჭადრაკი

# ნაიდორფის საჩუქარი

ლინარესის საჭადრაკო სუპერტურნირის მე-12 ტურში შეჯიბრების ლიდერმა გარი კასპაროვმა მეხუთე პარტია მოიგო და უახლოეს მდევარს ერთნახევარი ქულით გაუსწრო. მსოფლიო რეიტინგის პირველმა ნომერმა შავი ფიგურებით 25-ე სვლაზე ფარ-ხმალი დააყრევინა ინგლისელ მაიკლ ადამსს.

ადამსმა და კასპაროვმა სიცილიური ვარიანტი აირჩიეს, რომელიც ლეგენდარული არგენტინელი დიდოსტატის მიგელ ნაიდორფის სახელს ატარებს. ცნობილია, რომ ნაიდორფი ჭადრაკს შესანიშნავად თამაშობდა, მაგრამ უაღრესად დაბნეული იყო. სასაცილომდე დაბნეული. საქმე იქამდეც კი მიდიოდა, რომ მას პერსონალურ კაცს დაუყენებდნენ იმისთვის, რათა შეეხსენებინა, საპირფარეშოდან გამოსვლისას შარვალზე ელვა შეიკარითო. ნაიდორფს ასობით ვარიანტი უტრიალებდა თავში, მაგრამ უბრალო რაღაცებს ვერ იმახსოვრებდა. ის ჯერ კიდევ სიცოცხლეში აღიარეს არგენტინის ყველა დროის საუკეთესო მოჭადრაკედ. ნაიდორფი მხიარული და პატივცემული ადამიანი იყო.

ის რამდენიმე წლის წინ გარდაიცვალა, მაგრამ დარჩნენ მისი სადებიუტო ვარიანტების თაყვანისმცემლები. მათ რიცხვს მიეკუთვნება მაიკლ ადამსიც. პარტიის ასეთი ვარიანტი ლინარესში ვესელინ ტოპალოვის წინააღმდეგ ადამსმა ერთხელ უკვე გამოიყენა. იმ მატჩში უპირატესობასაც მიაღწია და გამარჯვებამდე ცოტაღა დააკლდა. ამჯერად კი ფიასკო განიცადა. ის პარტია კასპაროვმა, ბუნებრივია, დაიმახსოვრა და თავისი გზით სვლა გადაწყვიტა. დებიუტში მეტოქეებმა დაიწყეს სხვადასხვა ფრთაზე გარღვევისთვის მზადება.

21-ე სვლისთვის საჭადრაკო დაფაზე საინტერესო სიტუაცია შეიქმნა. ორი მეფე, თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებაო, თუ ვინ მიიღებს პირველად შამათს. პირველად თეთრი მეფე შედრკა. ადამსმა გადაწყვიტა, დაცვაში ეთამაშა. სხვა ვერაფერი მოიფიქრა იმის გარდა, რომ კასპაროვისთვის უბრალო, წარმატებული კომბინაციის განხორციელების საშუალება მიეცა. ამის შემდეგ თეთრები განწირულნი იყვნენ.

კასპაროვის უმთავრესმა კონკურენტმა ვიშვანათან ანანდმა მდევრის როლი წარმატებით ვერ შეითვისა. მან ტურნირის აუტსაიდერს ფრანსისკო ვალიეხოს ქულა გაუყო და ბულგარელ დიდოსტატს ვესელინ ტოპალოვს საშუალება მისცა დასწეოდა. ტოპალოვმა, თავის მხრივ, მორიგი მარცხი აგემა ფიდეს მსოფლიო ჩემპიონ რუსტამ კასიმჯანოვს. კასიმჯანოვი ბოლო ოთხ პარტიაში სამჯერ დამარცხდა და სატურნირო ცხრილში ბოლო ადგილზე ჩამოქვეითდა.

ტურნირის დასრულებამდე ორი ტურით ადრე კასპაროვი 1,5 ქულას უგებს ანანდსა და ტოპალოვს. გამარჯვების მოსაპოვებლად მას ნახევარი ქულაც ყოფნის. შეიძლება მან პირველობა მე-13 ტურში გაიფორმოს, როცა ინდოელ ანანდს შეხვდება. ანანდს ბოლო შანსი დარჩა იმის დასადასტურებლად, რომ ის იმ ტურნირებში იმარჯვებს, რომლებშიც გარი კასპაროვიც მონაწილეობს. თუმცა, შეიძლება ანანდს კასპაროვის დამარცხებამაც აღარ უშველოს. მათ გარდა, მე-13 ტურში ერთმანეთთან ურთიერთობას გაარკვევენ: ვალიეხო-ტოპალოვი, კასიმჯანოვი-ლეკო.

ინფოთეკა

### "არსენალის" აქციების ხუთი პროცენტი ტელეკომპანიამ იყიდა

ტელეკომპანიამ "ITV"-მ ლონდონის "არსენალის" აქციების კიდევ ხუთი პროცენტი შეიძინა 30 მილიონ გირვანქა სტერლინგად.

შეგახსენებთ, რომ 2000 წლის სექტემბერში "ITV" 47 მილიონ გირვანქა სტერგლინგად გახდა "მეთოფეთა" აქციების ასევე ხუთი პროცენტის მფლობელი.

იტყობინებიან, რომ ტელეკომპანიისგან მიღებული ფული კლუბის ახალი სტადიონის მშენებლობას მოხმარდება. მშენებლობა მთლიანობაში 350 მილიონი გირვანქა სტერლინგი ჯდება.

### სტამი "მილანში" 2007 წლამდე დარჩება

უეფას ოფიციალური საიტის ცნობით, "მილანის" მცველმა იაპ სტამმა კლუბთან კონტრაქტის ვადა 2007 წლის ივნისამდე გააგრძელა.

32 წლის ჰოლანდიელი გასულ ზაფხულს "ლაციოდან" "მილანში" გადავიდა, თუმცა, ტრავმების გამო ბევრი მატჩი გამოტოვა.

ამჟამად ფეხბურთელი სრულიად ჯანმრთელია. მან თავისი ყოფილი კლუბის "მანჩესტერ იუნაიტედის" წინააღმდეგ ითამაშა და იტალიელებს ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გასვლაში დაეხმარა.

### "ფლუმინენსეს" თავდამსხმელს დისკვალიფიკაცია მისცეს

ბრაზილიის თასის ერთ-ერთი მატჩის დროს მოწინააღმდეგის დარტყმის გამო "ფლუმინენსეს" ბრაზილიელ თავდამსხმელს ფილიპეს ექვსთვიანი დისკვალიფიკაცია მისცეს.

"როიტერსის" ცნობით, დისკვალიფიკაციის ვადის ხანგრძლივობის გამო შეიძლება კლუბმა ფილიპესთან კონტრაქტი გაწყვიტოს.

**მოამზადა ნინო ტიკარაძემ**

TV-სპორტი

**ხუთშაბათი. 10 მარტი**

**НТВ+ФУТБОЛ**
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:20 ლიბერტადორესის თასი. "სან პაულუ" (ბრაზილია) - "უნივერსიდად დე ჩილე" (ჩილე)
14:05 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. "ბაიერი" - "ლივერპული". საპასუხო მატჩი
16:00 თავისუფალი დარტყმა
16:15 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. "არსენალი" - "ბავარია". საპასუხო მატჩი
18:10 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. "იუვენტუსი" - "რეალი". საპასუხო მატჩი
20:05 "ფუტბოლისტიკა"
20:35 "ფეხბურთი ანიდან ჰაემდე"
21:05 თავისუფალი დარტყმა
21:20 სახვალიო ტელეპროგრამა
21:25 საუიკენდო მატჩების ანონსი
21:30 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალური მატჩების მიმოხილვა
23:00 ლიბერტადორესის თასი. "სან პაულუ" (ბრაზილია) - "უნივერსიდად დე ჩილე" (ჩილე)
00:45 თავისუფალი დარტყმა

**НТВ+ПЛЮС**
10:00, 13:00, 16:00, 18:00 პრესცენტრი
10:20, 20:50 "ქრონიკა"
10:25, 13:15 "ჰარმონიის ფორმულა"
10:45 კარატე-კეკუსინკაი. იაპონიის ჩემპიონატი
12:15 "სპორტისიმო"
13:35 "თოვლის სამყარო". ტელეჟურნალი
14:00 ბადმინტონი. საერთაშორისო ტურნირი გერმანიაში
16:15 უშუ-სანდა. საერთაშორისო შეხვედრა - რუსეთი - დსთ
16:45 "არტეფაქტი". ფეხბურთი
17:30 "ჩქაროსნული სამყარო" - ტელეჟურნალი
18:15 ჩვენი ჰოკეი პლუსზე. რუსეთის ჩემპიონატი. "ხიმიკი" - "მეტალურგი". პირდაპირი ტრანსლაცია
20:55 სახვალიო ტელეპროგრამა
21:00 "მოტოვებული კვირა"
21:45 NBA-ს საკალათბურთო მიმოხილვა
22:15 სამთოსათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასის ფინალი შვეიცარიაში. ქალები. დაშვება
23:15 ჭადრაკი. სუპერტურნირი ლინარესში
23:45 ATP-ს საჩოგბურთო მიმოხილვა
00:15 ახალი ამბები
00:30 სამთოსათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასის ფინალი შვეიცარიაში. ვაჟები. დაშვება
01:30 "ჩქაროსნული სამყარო" - ტელეჟურნალი

**EUROSPORT**
10:30 ბიატლონი. მსოფლიო ჩემპიონატი ავსტრიაში. ქალები
11:30 სამთო თხილამურები. მსოფლიო თასი შვეიცარიაში. სუპერგიგანტი. ვაჟები. პირდაპირი ტრანსლაცია
12:45 ბიატლონი. მსოფლიო ჩემპიონატი ავსტრიაში. ვაჟები
13:45 სათხილამურო რბოლა. მსოფლიო თასის ეტაპი ნორვეგიაში
14:30 სამთო თხილამურები. მსოფლიო თასი შვეიცარიაში. სუპერგიგანტი. ქალები. პირდაპირი ტრანსლაცია
15:45 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი ფინეთში
17:15 ველოსპორტი. პარიზი-ნიცა, საფრანგეთი. პირდაპირი ტრანსლაცია
19:00 სნუკერი. მასტერსის ტურნირი ირლანდიაში. მეოთხედფინალი
20:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. "რალი მექსიკა"
21:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი ნორვეგიაში. პირდაპირი ტრანსლაცია
22:00 სნუკერი. მასტერსის ტურნირი ირლანდიაში. მეოთხედფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
01:00 ახალი ამბები
01:15 ფეხბურთი - უეფას თასი
02:15 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა. კვირის მატჩი

ფეხბურთი

# "რეალი" დაბერდა



ფრანგი დავიდ ტრეზეგეს გოლმა "იუვენტუსის" გამარჯვებას დასაბამი მისცა.

დღის და ალბათ, ჩემპიონთა ლიგის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მატჩი ტურინში, "დელე ალპის" სტადიონზე გაიმართა. ამ შეხვედრას, პირველ ყოვლისა, პასუხი უნდა გაეცა კითხვაზე, სინამდვილეში რას წარმოადგენს მადრიდის "რეალი". გაირკვა, რომ ის ჩავარდნა, რომელსაც გუნდი ესპანეთის პრიმერადივიზიონში განიცდის შემთხვევითი არ არის და მის გამოსწორებას რადიკალური ცვლილებები სჭირდება. სავარაუდოა, რომ გუნდში ცვლილებები მოხდება. რამდენად შეეხება ეს ცვლილება ვანდერლეი ლუშემბურგოს რთული სათქმელია, მაგრამ შემადგენლობა რომ გადახალისდება, ფაქტია.

"სამეფო კლუბში" დიდი ხანია აირია საქმეები. ფეხბურთელთა ჯგუფმა უარი განაცხადა ფიზიკურ ვარჯიშებზე, რომელიც მწვრთნელის მიერ მოწვეულმა ფიზმომზადების სპეციალისტმა დაადგინა. ამ შფოთს კლუბის ხელმძღვანელობა ანგარიშს უწევდა, მაგრამ ტურინში მარცხის შემდეგ შეიძლება სიტუაცია შეიცვალოს.

"იუვენტუსმა" მეორედ დაითხოვა "რეალი" ჩემპიონთა ლიგის გათამაშებიდან. შარშანწინ ტურინელთა წარმატებას პაველ ნედვედს მიაწერდნენ, რომელმაც მართლაც ლომის წილი დაიდო მადრიდელთა დამარცხებაში, მაგრამ გუშინ ნედვედმა ტრავმის გამო გამოტოვა თამაში და ეს ფაქტი "რეალს" დამატებით უპირატესობას ანიჭებდა. ამის მიუხედავად, "რეალმა" ვერაფერი გააწყო კაპელოს საათივით აწყობილი მექანიზმის წინაშე. დავიდ ტრეზეგემ და მარსელო ზალაიეტამ ორი უპასუხო გოლი აგემეს სტუმრებს და "რეალი" შინ შერცხვენილი გაისტუმრეს.

| | |
|---|---|
| "იუვენტუსი" - "რეალი" | 2:0 დ.დ. (0:1) |
| "არსენალი" - "ბაიერნი" | 1:0 (1:3) |
| "მონაკო" - "პსვ ეინდჰოვენი" | 0:2 (0:1) |
| "ბაიერი" - "ლივერპული" | 1:3 (1:3) |

მერვედფინალების კიდევ ერთი საინტერესო მოვლენა ინგლისურ-გერმანული დაპირისპირება იყო, რომელიც ყაიმით დასრულდა. მეოთხედფინალის საგზური ერთმა გერმანულმა და ერთმა ინგლისურმა გუნდმა მოიპოვა. კერძოდ, დრამატულ, ორრაუნდიან ბრძოლაში მიუნხენის "ბაიერნმა" ლონდონის "არსენალი" დაამარცხა, ხოლო "ლივერპულმა" ორივე მატჩი ერთნაირი ანგარიშით - 3:1 მოუგო ლევერკუზენის "ბაიერს".

მერსისაიდელებს სამი წლის წინანდელი მარცხისთვის რევანშის აღება მართებდათ, ამიტომ ისინი ლევერკუზენში საბრძოლველად ჩავიდნენ. თუმცა, არავინ მოელოდა, რომ "ბაიერი" ესოდენ იოლად დაყრიდა ფარ-ხმალს. მატჩის შემდეგ "ლივერპულის" მწვრთნელმა რაფაელ ბენიტესმა სწორედ ეს თქვა - "ჩემთვის მატჩის დასაწყისი და მისი განვითარება ნამდვილი სიურპრიზი იყო".

ბენიტესი არაფრით მოელოდა, თუ მისი გუნდი პრაქტიკულად ოთხ წუთში მოათავებდა საქმეს. "ლივერპულის" ესპანელმა ლეგიონერმა ლუის გარსიამ 28-ე და 32-ე წუთებზე ორჯერ აილო მეკარე ჰანს-იორგ ბუტის კარი და ამით პრაქტიკულად წერტილი დაუსვა მატჩს.

რაც შეეხება ლონდონის "არსენალისა" და მიუნხენის "ბაიერნის" დაპირისპირებას, როგორც მოსალოდნელი იყო თამაში უაღრესად დრამატული გამოდგა. ნათქვამია საუკეთესო დაცვა თავდასხმააო და ფელიქს მაგათის გუნდმა თავიდანვე შეუტია მასპინძლებს, მაგრამ ხუთი კუთხურის გარდა ვერაფერს გამორჩა. სამაგიეროდ "არსენალი" მიზანმიმართულად უტევდა და ცდილობდა მცირე შანსიც კი გამოეყენებინა.

"არსენალმა" გამოიყენა კიდეც შანსი, მაგრამ მისთვის სამწუხაროდ მხოლოდ ერთხელ და გათამაშებას გამოეთიშა. ერთადერთი გოლი თამაშის 66-ე წუთზე ლონდონელთა ფრანგმა ფორვარდმა ტიერი ანრიმ გაიტანა.

როგორც არ უნდა ვილაპარაკოთ დღის ნამდვილი სიურპრიზი მაინც პსვ-ის გამარჯვება იყო მონაკოში. სპეციალისტებმა ეს ამბავი სენსაციადაც კი აღიქვეს. მართლაც არავინ ელოდა მონეგასკების ასეთ უსუსურ თამაშს, თანაც საკუთარ მინდორზე. დიდიე დეშამის გუნდი შარშანდელი გათამაშების ფინალისტია და სავარაუდო იყო, რომ ის მწვავედ შეუტევდა, მაგრამ მოხდა ისე, რომ ჰოლანდიელებმა მეტოქეს არაფერი დაუთმეს. ანგარიში 26-ე წუთზე ვენეგოორმა გახსნა. მის ზუსტ დარტყმას მეკარე რომამ ვერაფერი მოუხერხა. 69-ე წუთზე კი თამაში პრაქტიკულად დასრულდა. ბესლიმ, რომელმაც პირველი გოლის ავტორი ვენეგოორი შესცვალა, მეორედ აილო "მონაკოს" კარი და "პსვ ეინდჰოვენმა" მეოთხედფინალის საგზური მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ თამაში უაღრესად უხეში გამოდგა. მატჩის არბიტრმა ბენეტიმ ფეხბურთელებს ექვსი ყვითელი ბარათი უჩვენა. "მონაკოს" ფეხბურთელი გივე კი მინდვრიდან გააძევა.

# ფეხბურთი გაგვიძვირდა

## რა ღირს სტადიონზე ევროპის ჩემპიონის ხილვა?

A1 გვერდიდან



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

ჩვენი ნაკრების თამაშებზე დასასწრები ბილეთი 20-დან 50 ლარამდე ეღირება.

**ქომაგებს, მთლიანად საქართველოს მოუტანა დიდი სიხარული. ეროვნული ნაკრების და თბილისის "დინამოს" შარშანდელმა თამაშმა გამოაცოცხლა ჩვენი ფეხბურთი, ქომაგები მასობრივად უბრუნდებიან სტადიონს და მათი რიცხვი დღითი დღე მატულობს.**

**ჩვენი ეროვნული ნაკრები საქართველოს დამოუკიდებელი ფეხბურთის ისტორიაში ორ უმნიშვნელოვანეს მატჩს ატარებს. 26 მარტს საქართველოს ნაკრების მეტოქე 2004 წლის ევროპის ჩემპიონი საბერძნეთის ნაკრები იქნება, 30 მარტს კი - ბოლო მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი თურქეთის ნაკრები. მთელმა საქართველომ კარგად იცის ამ ორი მატჩის შედეგის დიდი მნიშვნელობა როგორც შესარჩევი ციკლის სატურნირო მდგომარეობის, ისე ზოგადად ჩვენი ფეხბურთის წინსვლისთვის.**

**ბატონო მერაბ, ცნობილია, რომ ჩვენი ეროვნული ნაკრების ფეხბურთელები ითხოვენ და მოუთმენლად ელიან ეროვნული სტადიონის კეთილმოწყობას, სადაც გამარჯვებისთვის მათთან ერთად 70 ათასი გულმხურვალე ქომაგი იბრძოლებს. სამწუხაროდ, გაურკვეველი მიზეზების გამო ჩვენი ფეხბურთელების მოლოდინი ჯერჯერობით მხოლოდ ოცნებად რჩება. ჩვენც, ქომაგებს და ფეხბურთელებსაც, "ლოკომოტივის" სტადიონიღა გვრჩება, რომელიც, როგორც ცნობილია, მხოლოდ 25 ათასამდე მაყურებელს იტევს. ყველამ კარგად ვიცით, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ და როგორი წარმატებით თამაშობენ საკუთარი გულშემატკივრების წინაშე ჩვენი ფეხბურთელები. სწორედ ქომაგების დახმარებით მოახერხა ჩვენმა ნაკრებმა ბულგარეთის, უნგრეთის, პოლონეთის, რუსეთის და ალბანეთის ნაკრებების დამარცხება.**

**ბატონო მერაბ, როგორც შევიტყვეთ, უწესრიგობასთან ბრძოლის თვალსაზრისით და ამ მატჩების ჩატარებისას გაწეული ხარჯების დასაფარავად, ასევე, ფეხბურთელებისთვის პრემიების გასაცემად, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია აპირებს ბილეთების გაძვირებას 20-50 ლარამდე. დღევანდელი საქართველოსთვის და, რაც მთავარია, ფეხბურთის მოყვარულთათვის, რომლებიც, როგორც წესი, სკოლის მოსწავლეები და სტუდენტები არიან, ასეთი თანხის გადახდა წარმოუდგენელია. ბილეთების ასეთი ფასის გამო, სავარაუდოდ, ჩვენს ფეხბურთელებს სტადიონი მთლიანად თუ არა, ნახევრად ცარიელი დახვდებათ. ასეთი ძვირად ღირებული ბილეთების მქონე მაყურებლებით რომ შეივსოს კიდეც სტადიონი, ჩვენს ნაკრებს ქომაგები მაინც არ ეყოლებათ. ქომაგები სტადიონზე თამაშის საყურებლად კი არა, თავის გუნდთან ერთად საბრძოლველად მოდიან. მსოფლიოს არაერთ ფეხბურთელს უთქვამს, რომ სწორედ ამ ერთგული ხალხის - გულშემატკივრების გასახარად გამოდის მოედანზე და ამისთვის მზადაა თავგანწირვისთვის.**

**ბატონო მერაბ, ვერანაირი ფულადი შემოსავალი ვერ გადაწონის ამ მატჩში გამარჯვების სიხარულს და მნიშვნელობას. რაც შეეხება უწესრიგობასთან ბრძოლას, მატჩამდე რამდენიმე დღით ადრე ჩვენი სპორტული მედია მუშაობას გააჩაღებს ამ მიმართულებით. ამ პროცესში აქტიურად მიიღებენ მონაწილეობას ჩვენი ვეტერანი ფეხბურთელები და ქომაგთა ლიგა. დარწმუნებული ვართ, ბატონი ალენ ჟირესი და ჩვენი ფეხბურთელები გაგებით მოეკიდებიან გულშემატკივართა ამ თხოვნას და შემოგვიერთდებიან კიდეც.**

**ბატონო მერაბ, ქართული ფეხბურთის ქომაგთა ლიგა მრავალრიცხოვანი გულშემატკივრების სახელით გთხოვთ, ადრინდელ ფასებში დატოვოთ ბილეთების ფასი ეროვნული ნაკრების ამ მატჩებზე, რაც ფეხბურთელებს და ხალხს შეგვაძლებინებს, ერთად მოვიპოვოთ ასე ნანატრი გამარჯვებები.**

**ქართული ფეხბურთის ქომაგთა ლიგა**

ქომაგთა ლიგის ვიცე-პრეზიდენტმა ზურაბ პეტრიაშვილმა ამ საკითხთან დაკავშირებით გუშინ ჟურნალისტებთან შეხვედრა მოაწყო, რასაც პრესკონფერენციის ფორმა არ ჰქონია. პეტრიაშვილმა უფრო თავისი გულისტკივილი და მოსაზრებები გაგვიზიარა.

"არ იფიქროთ, თითქოს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან კონფრონტაცია გვსურდეს და ბილეთებთან დაკავშირებული კამპანიაც იმიტომ წამოვიწყეთ. უბრალოდ, ძალიან გვინდა, ყველა ჭეშმარიტი გულშემატკივარი, რომელსაც გულით სწადია თავისი ნაკრების ქომაგობა, სტადიონზე მოხვდეს და თავად გახდეს ამ დიდი მატჩების მონაწილე. ამ ქომაგებმა დიდი წვლილი შეიტანეს ეროვნული ნაკრების, გნებავთ, თბილისის "დინამოს" ბოლოდროინდელ წარმატებებში. ეს თავად ფეხბურთელებმაც აღიარეს. ბილეთების ასეთი ფასი კი, ჩემი აზრით, იმას გამოიწვევს, რომ სტადიონზე მხოლოდ ის მაყურებელი მოვა, რომელიც თამაშს ისე შეხედავს, როგორც თეატრალურ წარმოდგენას", - აღნიშნა ბატონმა ზურაბმა.

სხვათა შორის, სწორედ ქომაგთა ლიგამ მოახერხა 500-მდე ქომაგის ორგანიზება, ჩვენში "ჯუნგლებს" რომ ვეძახით, რომლებიც ეროვნული ნაკრების მატჩებზე ("დინამოს" საერთაშორისო თამაშებზეც) 90-90 წუთი არ გაჩუმებულა და ხმის ჩახლეჩამდე ქომაგობდნენ ჩვენს გუნდებს. მაშინ ფედერაციამ კეთილი ნება გამოიჩინა და ეს კონტინგენტი უფასო ბილეთებით მოამარაგა. როგორც ირკვევა, ფედერაციას ამის უფლება არ ჰქონდა - აკრძალვა უეფადან მოდის. შეხვედრას დაესწრო საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრესატაშე ლევან სალუქვაძე, რომელმაც თქვა:

"უეფას იმპერატიული მოთხოვნით, ფედერაციას სტადიონზე ადგილების საერთო რაოდენობის მხოლოდ ორ პროცენტზე აქვს უფასო ბილეთების დაბეჭდვის უფლება. "ლოკომოტივის" სტადიონის ადგილების საერთო რაოდენობის 2 პროცენტი 490 ადგილია. უეფას კვოტით, 1215 უფასო ბილეთი სტუმარი გუნდის დელეგაციას ეკუთვნის, 160 ბილეთი მოითხოვა საქართველოს პრეზიდენტის დაცვის სამსახურმა, ხოლო 200 ბილეთი - უშიშროების სამსახურმა. ამ ბილეთების ჯამი უკვე აჭარბებს უეფას დადგენილ ნორმას - 490-ს. ფედერაციის ხელმძღვანელობას კარგად ესმის, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ამ თამაშებზე ქომაგების მხარდაჭერა. ამიტომ მიღებულია გადაწყვეტილება - ლიგა ადგილების საჭირო რაოდენობას მაინც მიიღებს, ოღონდ, ამას არ ექნება უფასო ბილეთის ფორმა. ჩვენ მოვამზადებთ ეგრეთ წოდებულ ტექნიკურ საშვებს და ქომაგთა ლიგის წევრებს სტადიონზე ამ საშვებით შევუშვებთ. თუ რას გულისხმობს ეს საშვი და რა მოვალეობა დაეკისრებათ მის მფლობელებს, ამას თქვენთან - ქომაგთა ლიგასთან შეთანხმებით გადავწყვეტთ".

რაც შეეხება იმას, რომ სტადიონი საერთოდ ან სანახევროდ არ შეივსება, არც ამის საშიშროება არსებობს.

"როგორც საქართველო-საბერძნეთის, ისე საქართველო-თურქეთის მატჩების 50-ლარიანი ბილეთები, პრაქტიკულად, უკვე გაყიდულად შეიძლება ჩავთვალოთ. ყველა დანარჩენ, მათ შორის, 20 და 30-ლარიან ბილეთებზე ფედერაციაში იმდენი ჯგუფური მოთხოვნაა შემოსული, რომ, გვერწმუნეთ, ორივე მატჩზე ტრიბუნებზე ნემსის ჩასავარდნი ადგილი არ იქნება. რაც შეეხება იმ გარემოებას, რამდენად ძვირია ბილეთების ფასი... მოგეხსენებათ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია საზოგადოებრივი ორგანიზაციაა, რომელსაც დამფინანსებლები არ ჰყავს. ამ ორ თამაშზე ძალიან დიდი ხარჯის გაღება გვიწევს. ქართველი ლეგიონერი ფეხბურთელების გამოძახების დაფინანსება, შეკრების ორგანიზება, მსაჯთა ბრიგადების და უეფას ოფიციალური დელეგაციების მასპინძლობა, ფეხბურთელების პრემირება, ნაკრების მწვრთნელების ხელფასები და... რომელი ერთი ჩამოვთვალო. გვესმის, რომ თუნდაც 20 ლარის გადახდა ბევრ გულშემატკივარს გაუჭირდება, მაგრამ რეალობა ასეთია. თუმცა, ფედერაციას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ტელეკომპანია "იმედთან", რომელიც პირდაპირ ეთერში გადასცემს ამ მატჩებს. ასე რომ, გულშემატკივრებს, რომლებიც სტადიონზე შესვლას ვერ მოახერხებენ, თამაშების ნახვის საშუალება მაინც ექნებათ", - განმარტა ლევან სალუქვაძემ.

ჭიდაობა

# ხალიჩაზე მშვიდობის ყალიონი გააბოლეს



გოგიტიძე: "საჭიდაო სამყარო ისევ ერთიანია".

ბიგა გურასაშვილი

*ალბათ, მოსალოდნელიც იყო, რომ მოვლენები შესაბამისი თანმიმდევრობით განვითარდებოდა, როგორც ეს გუშინ მოხდა. უფრო ადრე კი მაშინ, როდესაც საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტს ბაკურ გოგიტიძეს პრეზიდენტის უფლებამოსილება დროებით შეუჩერეს.*

*გუშინ ფალავანთა კლუბში ის მოხდა, რაც ლოგიკურ გაგრძელებად შეიძლება ჩაითვალოს.*

15 დეკემბერს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდიუმმა პრეზიდენტად ერთხმად აირჩია ბაკურ გოგიტიძე. ორი თვის შემდეგ იმავე პრეზიდიუმმა გოგიტიძეს დროებით, 4 მაისის რიგგარეშე სხდომამდე შეუჩერა უფლებამოსილება. ამ დღეს ხელახლა უნდა ჩატარებულიყო პრეზიდენტის არჩევნები. უფლებამოსილებაშეჩერებული პრეზიდენტი მაისს არ დაელოდა და ვადამდე ადრე თვითონ მოიწვია პრეზიდიუმი. თუმცა, როგორც გაირკვა, ეს იყო არა რიგგარეშე სხდომა, არამედ შერიგების შეკრება.

ყველაფერი კი ასე დაიწყო. გოგიტიძის მოსვლიდან ცოტა ხანში, უფრო სწორად, 1 თებერვლიდან აშკარა გახდა, რომ საჭიდაო სამყარო ორად გაიხლიჩა. ვითარება მას შემდეგ დაიძაბა, რაც ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა მიიღო ერთპიროვნული გადაწყვეტილება, ნაკრების ძველი მწვრთნელების ბეგია დარჩიასა (ბერძნულ-რომაული) და ზაზა თურმანიძის (თავისუფალი) ადგილებზე, შესაბამისად, კობა ჭიჭეიშვილი და ზაზა ტყეშელაშვილი დაენიშნა. ამასთან, სამივე ასაკობრივ ჯგუფს (დიდებს, ახალგაზრდებსა და ჭაბუკებს) მთავარ მწვრთნელად ვანო ნიკოლაიშვილი ჩაუყენა სათავეში.

ეს ყველაფერი ბერძენ-რომაელთა და თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა საქართველოს ჩემპიონატზე (1-4 თებერვალი) გახმაურდა. მოვლენებიც სწორედ მაშინ დაიძაბა. ბერძენ-რომაელთა ნაკრები ბეგი დარჩიას გუნდში დაბრუნების მოთხოვნით გამოვიდა და პროტესტის გარკვეულ ფორმასაც მიმართა. ეს იყო მუქარა - მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში გუნდი დაიშლებოდა და საზღვარგარეთ გაიფანტებოდა. გოგიტიძე იძულებული გახდა, ვითარების განსამუხტავად კომპრომისზე წასულიყო და ძველი მწვრთნელები ნაკრებში დაეტოვებინა, ოღონდ ახლად დანიშნულთა თანაშემწეებად. ამასთან, ახალ მწვრთნელებს საცდელი ვადით ევროპის ჩემპიონატამდე უნდა შეესრულებინათ თავიანთი მოვალეობა, მერე კი მათ უფლებამოსილებას გადახედავდნენ. არც ამან გაჭრა. ნაკრები შეუვალი აღმოჩნდა.

ფედერაციის ერთი ჯგუფი გოგიტიძეს პირობის დარღვევაში ადანაშაულებდა. პირობა კი ის იყო, რომ პრეზიდენტად მოსვლის შემთხვევაში, ერთი წელი მაინც, ნაკრების მწვრთნელებს არავინ შეეხებოდა!

ამის გამო დღის წესრიგში დადგა პრეზიდენტისთვის უფლებამოსილების შეჩერების საკითხი, რაც 11 თებერვალს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის თეიმურაზ ყაზარაშვილის მიერ მოწვეულ პრეზიდიუმის სხდომაზე სისრულეში მოიყვანეს კიდეც. პრეზიდიუმის 11 წევრმა (სულ 18 ესწრებოდა) მიიღო გადაწყვეტილება: ბაკურ გოგიტიძისთვის უფლებამოსილება დროებით შეეჩერებინათ. გოგიტიძე განაჩენს უკანონოდ თვლიდა - პრეზიდიუმი სრულად არ იყო წარმოდგენილი, ამიტომ უფლებამოსილების შეჩერების უფლება არ ჰქონდაო. იმავე პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით, ყაზარაშვილი 4 მაისამდე, პრეზიდენტის ხელახალ არჩევნებამდე, პრეზიდენტის მოვალეობის დროებით შემსრულებლად დაინიშნა. საკუთარ თანამდებობებს დაუბრუნდნენ ბეგი დარჩია და ზაზა თურმანიძეც.

მართალი გითხრათ, გუშინ ვითარების გამძაფრებას ველოდი. მაგრამ ასე არ აღმოჩნდა. ბაკურ გოგიტიძემ გვითხრა: კონფლიქტი ამოწურულია, ვითარება - განმუხტული. არ არსებობს დაპირისპირებული მხარეები. საჭიდაო სამყარო კვლავაც ერთ ოჯახად რჩება. მწვრთნელები ბეგი დარჩია და ზაზა თურმანიძე თავიანთ ადგილებზე არიან. ჩემი ერთადერთი თხოვნა ის იყო, რომ ვანო ნიკოლაიშვილი თანამდებობაზე დარჩენილიყო და დარჩა კიდეცო.

უჩვეულო კი ის იყო, რომ მეორე მხრიდან გუშინდელ თავყრილობას არავინ ესწრებოდა, რასაც არაერთხელ გაესვა ხაზი, თუმცა, გოგიტიძე გვარწმუნებდა: ყველაფერი რიგზეა, ორივე მხარე კომპრომისზე წავიდა. თუ არ გჯერათ, შეგიძლიათ თეიმურაზ ყაზარაშვილსაც შეეხმიანოთ, რომელმაც ფედერაციის მეორე ბეჭედი გადმომცა! დღეის იქით ფედერაციას ექნება მხოლოდ ერთი ბეჭედი, მეორე კი განადგურდებაო.

ბოლოს გოგიტიძემ გვამცნო: უკრაინაში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენები, ყოფილი მოჭიდავეები, წლის განმავლობაში საქართველოს რეგიონებისთვის ათ საჭიდაო ხალიჩას გამოგზავნიან. და კიდევ, საქართველოს ნაკრებები (სამივე ასაკობრივი ჯგუფი) "ადიდასის" 2005 წლის მოდელით შეიმოსება.

# "ბენტლის" სასურველი პრობლემები

იმ პრობლემებს, რომელთა წინაშეც აღმოჩნდა უმაღლესი კლასის ავტომობილების მწარმოებელი ინგლისური კომპანია "ბენტლი", ნებისმიერი სხვა ავტომწარმოებელი კომპანია ისურვებდა - "ბენტლი" მალე შეუდგება თავისი პოპულარული კუპეს, "კონტინენტალ GT-ს" სედანის ვერსიის (სახელად კონტინენტალ ფლაინგ სპურს) წარმოებას. პრობლემა კი იმაში მდგომარეობს, რომ თუ წინასწარი სამარკეტინგო ვარაუდი გამართლდა, მაშინ გერმანული "ფოლკსვაგენის" მფლობელობაში მყოფ კომპანიას ინგლისის ქალაქ ქრიუში მდებარე ფაბრიკის საწარმოო სიმძლავრეები აღარ ეყოფა.

ვოლფსბურგელებმა კი უკვე მიაგნეს კიდეც პრობლემის მოგვარების საუკეთესო გზას - ახალი ავტომობილების წარმოება დაევალება დრეზდენში მდებარე ქარხანას, რომელიც დღეისათვის ლუქსის კლასის "ფოლკსვაგენ ფაეტონს" აწარმოებს. იმის გამო, რომ ამ ავტომობილზე მოთხოვნა მეტისმეტად მცირეა, ქარხანა სრულად არაა დატვირთული.

ყველაფერი კარგი, მაგრამ გერმანული "ბენტლი" ყურს ცუდად ხვდება. ინგლისური მარკის მესვეურები შიშობენ, რომ "ბენტლის" სახელს გაუტეხს ის ფაქტი, რომ მისი "წმინდა ინგლისური ავტომობილები" გერმანიაში დამზადდება.

თუმცა, ვოლფსბურგელებმა (ფოლკსვაგენის შტაბ-ბინა სწორედ ამ ქალაქში მდებარეობს) ამ შემთხვევისთვისა მიაგნეს გამოსავალს - დრეზდენის ქარხანაში მოხდება ცალკეული აგრეგატების და ძარის დამზადება-აწყობა, რის შემდეგაც, დაკომპლექტებული, ასაწყობად გამზადებული ავტომობილები ქრიუს ფაბრიკაში გადაიგზავნება და იქ დასრულდება მათი აწყობა. ამ შემთხვევაში, ავტომობილზე ვერავინ იტყვის, გერმანულიაო, მაგრამ ამ შემთხვევაში, გარკვეული ლოგისტიკური პრობლემები შეიქმნება.

არის კიდევ ერთი გამოსავალი - ქრიუს ქარხანა იკისრებს ახალი სედანის წარმოებას, მაგრამ თუ მისი საწარმოო მოცულობა შეკვეთებს ვერ გასწვდება, მხოლოდ მაშინ ჩაერთვება საქმეში დრეზდენის ქარხანა. ამდენად, ავტომობილების ნაწილი ინგლისური იქნება, ნაწილი კი - ნახევრად გერმანული.



"კონტინენტალ ფლაინგ სპურ"

ახლა კი ამ პრობლემის გამომწვევი კონკრეტული რიცხვებიც მოვიშველიოთ: 2003 წელს ქრიუს ქარხანამ სულ 790 ცალი "კონტინენტალ GT" აწარმოა, მაგრამ მომდევნო წელს უკვე 7000 ცალი "კონტინენტალ GT-ს" დამზადება გახდა საჭირო. კომპანიის მესვეურთა განცხადებით, ქრიუს ქარხნის მაქსიმალური პოტენციალი წლიურად 9000 ავტომობილის წარმოებაა. კომპანიის სამარკეტინგო განყოფილების შეფ ედრიან ჰოლმარკის განცხადებით, მალე "ბენტლი" ამაზე ორჯერ მეტ შეკვეთას მიიღებს გერმანიიდან, იაპონიიდან და აშშ-დან. ესე იგი, სასწრაფო ზომებია მისაღები იმისათვის, რომ წარმოებამ შეძლოს მოთხოვნის დაკმაყოფილება და არ შეიქმნას დეფიციტი.

ამ გარემოებათა გამო, კომპანიას პირველ ხანებში მოუწევს კუპე "კონტინენტალ GT-ს" წარმოების ტემპების ხელოვნურად შენელება. მხოლოდ ამ შემთხვევაში გახდება შესაძლებელი სედან " კონტინენტალ ფლაინგ სპურის" წარმოების ქრიუს ქარხანაში დაწყება. ამას კომპანია იმისათვის აკეთებს, რომ ბაზარზე კონკურენტები შეავიწროოს, შესაბამისი შედეგის მომკას კი მას შემდეგ იმედოვნებს, რაც გადაწყდება წარმოების მოცულობის პრობლემა.

"როცა ჩვენ არ ვართ თამაშში, რომელშიც ჩვენი კონკურენტები მონაწილეობენ, მაშინ ჩვენ მხოლოდ ვაგებთ. ამიტომ, ყველა ვარიანტში ვაპირებთ სამოდელო რიგის გაფართოებას, რათა თამაშგარეში ყოფნა გამოვრიცხოთ. ამასთან, წინდაწინ ვაცხადებთ, რომ ლუქსის კლასის სეგმენტის მხოლოდ 5 პროცენტზე გვაქვს პრეტენზია. და ეს მიზანი მეტად ძნელი მისაღწევია, რადგან უაღრესად კონურენტუნარიან მეტოქეებთან გვაქვს საქმე", - ჟენევის ავტოსალონზე გამართულ სპეციალურ პრსკონფერენციაზე განაცხადა ჰოლმარკმა.

ახლა კი იმ ავტომობილის შესახებ, რომლის წარმოების დაწყებასაც მოჰყვა ბევრისთვის სასურველი პრობლემის წარმოქმნა. ეს არის ოთხკარიანი სედანი "კონტინენტალ ფლაინგ სპურ".

ამ ავტომობილზე მუშაობა "ფოლკსვაგენის" კონსტრუქტორებმა ჯერ კიდევ 1999 წელს დაიწყეს, სწორედ მაშინ, როცა დაიწყო მუშაობა კუპე "კონტინენტალ GT-ზე". იმთავითვე გადაწყდა, რომ ორივე ავტომობილი ერთ პლატფორმაზე აგებულიყო. სხვათა შორის, იგივე პლატფორმა გამოყენებულია "ფოლკსვაგენ ფაეტონისთვისაც". ეს ავტომობილი არაფრით ჩამორჩება თავის შტუდგარდტელ (მერსედეს-ბენცი) და მიუნხენელ (ბეემვე) კონკურენტებს, მაგრამ ლუქსის კლასს მარკით (ფოლკსვაგენი ხომ სახალხო ავტომობილების მწარმოებელია) არ შეეფერება და სწორედ ამიტომ უჭირს ბაზარზე დაკვიდრება. მისგან განსხვავებით კი, მონათესავე "კონტინენტალ GT-ზე" მოთხოვნის დაკმაყოფილება სულ უფრო ძნელდება.



"კონტინენტალ ფლაინგ სპურის" ინტერიერი

იმის მიუხედავად, რომ კუპეც და სედანიც თითქმის ერთდროულად იქმნებოდა, ვოლფსბურგში გადაწყვიტეს, რომ ჯერ კუპეს წარმოება დაწყებულიყო, სედანის ტექნიკურ-ეკონომიკური პროექტი კი დროებით თაროზე შემოდეს. ეს გადაწყვეტილება 2001 წელს იქნა მიღებული და ამის მიზეზი ის იყო, რომ მარკეტოლოგებმა არ გარისკეს "ბენტლის" პრესტიჟის შელახვა მცირეგაბარიტიანი სედანის წარმოებით. მცირეს ამ ავტომობილს მაინც ვერ უწოდებ - მისი სიგრძე 5.300 მეტრია, თვლებს შორის ბაზა კი - 3.065 მეტრი (შესაბამისად, 0.130 და 0.65 მეტრით მეტი, ვიდრე "ფაეტონის" შესაბამისი პარამტრები).

ავტომობილს ტექნიკური აღჭურვილობაც თავისი წარმომავლობის შესაფერისი აქვს - მის კაპოტქვეშ განლაგებულია "ფოლკსვაგენის" მიერ შემუშავებული, W-კონფიგურაციის 12-ცილინდრიანი, 6 ლიტრი მუშა მოცულობის მქონე, ორი ტურბოკომპრესორით აღჭურვილი ძრავი, რომელიც 552 ცხენის ძალას ავითარებს. მასთან აგრეგატირებულია 6-საფეხურიანი ავტომატური გადაცემათა კოლოფი. ტრანსმისიის გავლით, მაბრუნი მომენტი ყველა წამყვან ბორბალს მიეწოდება. ამ აგრეგატების წყალობით, 2.5-ტონიან ავტომობილს შესაშური დინამიკური პარამეტრები აქვს: მისი მაქსიმალური სიჩქარე 305 კმ/სთ-ია, ადგილიდან 100 კმ/სთ სიჩქარის ასაკრეფად კი 5 წამიც ჰყოფნის.

ბრიტანეთში ამ ავტომობილის ღირებულება 112 000 გირვანქა სტერლინგია, აშშ-ში კი - 162 285 აშშ დოლარი. "ბენტლი" და "ფოლკსვაგენი" იმედოვნებენ, რომ "კონტინენტალ ფლაინგ სპურის" მეშვეობით, მყიდველთა გარკვეულ ნაწილს წაართმევენ "მერსედეს-ბენცის" S-კლასის და "ბეემვეს" მე-7 სერიის სედანებს, რომელთა ღირებულება ბევრით არ ჩამოუვარდება ქრიუს არისტოკრატისას.



"ბენტლი არნაჟ დროპჰედ კუპე"

"კონტინენტალ ფლაინგ სპურის" გარდა, "ბენტლის" სამოდელო გამა კიდევ ერთი ახალი ავტომობილით შეივსება, რომლის პროტოტიპიც კომპანიამ ლოს ანჯელესის ავტოსალონზე წარადგინა. ესაა კაბრიოლეტი "ბენტლი არნაჟ დროპჰედ კუპე". ეს ავტომობილი სედან "არნაჟის" ბაზაზეა დამზადებული და მისგანვე აქვს მიღებული ძირითადი აგრეგატიც. ესაა 6.75-ლიტრიანი V8, რომელიც ორი ტურბოკომპრესორის დახმარებით 450 ცხენის ძალას ავითარებს.

ამ ავტომობილში გემოვნებითაა შერწყმული "ბენტლის" კლასიკური და თანამედროვე მოდელების დიზაინის ცალკეული ელემენტები. ეს ეხება როგორც ექსტერიერს, ისე ინტერიერსაც. რაც მთავარია, ავტომობილს აქვს მოსახსნელი სახურავი, რომელიც მოქმედებაში მოჰყავს ავტომატიკას - ჰიდროცილინდრების მეშვეობით, ავტომობილის სახურავი 25 წამში იკეცება და საბარგულში იმალება. იმისათვის, რომ ღია მდგომარეობაში მგზავრები დაცულნი იყვნენ, კონსტრუქტორებმა უკანა სავარძლების უკან განალაგეს დამცავი რკალები, რომლებიც, ჩვეულებრივ, არ ჩანს და მხოლოდ იმ შემთხვევაში მოდის მოქმედებაში, თუ საავარიო სიტუაცია იქმნება და ავტომობილი გადაყირავების საფრთხის წინაშე აღმოჩნდება.

მოკლედ, "ბენტლის" მარკის შესაფერისი ავტომობილია, მაგრამ ის ჯერ მხოლოდ საცდელი ეგზემპლარია და მისი დანიშნულება ისაა, რომ შესწავლილ იქნეს მასზე მოთხოვნა. ამ მხრივ, "ბენტლის" ჯერჯერობით ყოფილი პარტნიორი, დღეს კი კონკურენტი "როლს როისი" უსწრებს, რომელმაც გამოაცხადა, რომ 2007 წლიდან შეუდგება "ფანტომის" ბაზაზე შექმნილი კაბრიოლეტის წარმოებას, რომლის პროტოტიპი ჟენევის შარშანდელ ავტოსალონზე წარუდგინა საზოგადოებას.

# "მაიბახის" შემდეგი ნაბიჯი

ორი წლის წინ, როცა "მერსედეს-ბენცმა" მსოფლიო საავტომობილო სამყაროს წარუდგინა თავისი ახალი შედევრი სახელად "მაიბახ", ეჭვიც არავის შეჰპარვია იმაში, რომ ეს ავტომობილი წარმატებით დაიმკვიდრებდა ადგილს ცისქვეშეთში. კომფორტული, სწრაფი და მდიდრული ავტომობილის იმიჯს უნდა მოეზიდა ძლიერთა ამა ქვეყნისათა შეკვეთები.

თუმცა, მარკეტოლოგებმა ზედმეტად შეაფასეს მსოფლიო ბაზრის შესაბამისი სეგმენტის შესაძლებლობანი და შედეგად, თუ პრემიერიდან პირველ წელიწადში მათ 600 "მაიბახის" რეალიზება შეძლეს, შარშან გაყიდული ავტომობილების რაოდენობა 500-მდე დაეცა, რაც ორჯერ ნაკლებია დაგეგმილ რაოდენობაზე.

ისიც აღსანიშნავია, რომ უკეთესად არც კონკურენტებს მისდით საქმე. მაგალითად, გაყიდვების დაგეგმილ რაოდენობამდე თითქმის 300 ავტომობილით ნაკლების რეალიზება შეძლო "როლს როისმა". თუმცა, ინგლისურმა კომპანიამ (ის ახლა გერმანული "ბეემვეს" კუთვნილებაა) და მისმა ყოფილმა ნათესავმა, ახლა კი კონკურენტი "ფოლკსვაგენის" ფრთებს შეფარებულმა "ბენტლიმ" თავიანთი მოდელების განახლება და გამრავალფეროვნება განიზრახეს, რითაც გაყიდვების რაოდენობის გაზრდას იმედოვნებენ. ბუნებრივია, "მაიბახისგანაც" იგივე იყო მოსალოდნელი. წინააღმდეგ შემთხვევაში, გაყიდვები კიდევ უფრო დაეცემა...



ჰოდა, "სამქიმიანებმაც" არ დააგვიანეს რეაგირება და ჟენევის ავტოსალონისთვის მოამზადეს საბაზო მოდელ 57-ის გაუმჯობესებული მოდიფიკაცია სახელად "მაიბახ 57S" (S - სპეშლ, ანუ განსაკუთრებული), რომელიც კონკურენტებთან შედარებით, სიმძლავრის მხრივ, სერიოზულ ფორას მიიღებს.

ავტომობილის კაპოტქვეშ განლაგებულია "მერსედეს-ბენცის" პარტნიორი ატელიე AMG-ს კონსტრუქტორთა მიერ დამუშავებული აგრეგატი, რომელიც ასევე გამოიყენება ამავე ატელიეში მომზადებულ მოდელებში - "მერსედეს S65-ში", "მერსედეს CL65-სა" და "მერსედეს SL65-ში". ეს არის ორი ტურბოკომპრესორით აღჭურვილი, 5.5-ლიტრიანი V12, რომლის მუშა მოცულობაც AMG-ს სპეციალისტებმა 6 ლიტრამდე, სიმძლავრე კი 612 ცხ.ძალამდე (450 კვტ) გაზარდეს (უწინდელი 550 ცხ.ძალიდან). უფრო მეტიც, ძრავის მაბრუნი მომენტი წარმოუდგენელ მაჩვენებლამდე, 1200 ნ.მ-მდე (მუხლა ლილვის 2000-4000 ბრ/წთ დიაპაზონში) გაიზარდა. ესოდენ დიდი მაბრუნი მომენტი ტრანსმისიის რესურსის კატასტროფულ შემცირებას გამოიწვევდა, რის გამოც, კონსტრუქტორებმა ელექტრონიკის გამოყენებით, იგი 1000 ნ.მ-ის დონეზე შეზღუდეს.

ბუნებრივია, ავტომობილს შესანიშნავი დინამიკაც უნდა ჰქონოდა. პირველმა ტესტებმა ეს ვარაუდი გაამართლა - თითქმის სამტონიან სედანს, 100 კმ/სთ-მდე ასაჩქარებლად 5 წამი ჰყოფნის და ადვილად აღწევს სიჩქარის ხელოვნურად შეზღუდულ ზღვარს - 250 კმ/სთ-ს. სხვათა შორის, საბაზო "მაიბახ 57-საც" არანაკლებ შთამბეჭდავი აჩქარება აქვს (100 კმ/სთ სიჩქარეს 5.2 წამში ავითარებს), მაგრამ გაცილებით ნაკლები სიმძლავრის მარაგი გააჩნია. სწორედ სიმძლავრეა ერთ-ერთი იმ "იარაღთაგანი", რომლითაც AMG-ს მიერ მომზადებულმა "მაიბახმა" უნდა შეძლოს კონკურენტთა შევიწროება.



იმისათვის, რომ ხაზი გაესვათ ახალი მძლავრი "მაიბახის" ექსკლუზიურობისთვის, კონსტრუქტორებმა მას დაუყენეს რადიატორის მსხვილუჯრედებიანი ბადე, ახალი, "სპორტული" ყაიდის გამოსაბოლქვი მილები და განმასხვავებელი ნიშანი "57S". ამასთან, სალონის გასაფორმებლად გამოყენებულია ხის ყველაზე ძვირადღირებული ლაქი, რითაც, ჩვეულებრივ, ელიტარულ როიალებს ფარავენ. რამდენიმე ადგილზე კი გამოყენებულია კარბონის კომპოზიტისგან დამზადებული დეტალები - ბოლოს და ბოლოს, ავტომობილს სპორტულ სტილზეც აქვს პრეტენზია.

სედან "მაიბახ 57S-ის" ოფიციალური დებიუტი 3 მარტს, ჟენევის ავტოსალონზე შედგა. იქვე დაიწყო მასზე შეკვეთების მიღება. თუმცა, ჯერჯერობით შტუდგარდტელებს ოფიციალურად არ გამოუცხადებიათ ავტომობილის ღირებულება. დადის ხმები, რომ ახალი, უფრო სპორტული "მაიბახის" ღირებულებას ნახევარ მილიონ დოლარამდე "ცენტები" დააკლდება. თუმცა, ჩვეულებრივ მოკვდავთათვის, მის ფასს არაფრის შეცვლა შეუძლია - ყიდვას მაინც ვერ შეძლებენ. სამაგიეროდ, ძნელი წარმოსადგენია, ფასმა დააბრკოლოს ის პოტენციური მყიდველი, ვის ბიუჯეტშიც არაერთი მილიონი ევრო ან დოლარი ირიცხება. ასეთებისთვის უფრო მნიშვნელოვანი ხომ პრესტიჟი და ექსკლუზიურობაა.

საკუთრივ "მერსედეს-ბენცის" გარდა, "მაიბახ 57-ის" მოდერნიზება შტუდგარდტული კომპანიის პარტნიორმა სატიუნინგო ატელიე "ბრაბუსმაც" სცადა. მისმა კონსტრუქტორებმა V12 ძრავის ლიტრაჟი 6.3 ლიტრამდე გაზარდეს, ის ორი ტურბოკომპრესორით აღჭურვეს და წვის კამერა, გაზგამანაწილებელი მექანიზმი და დგუშები შეუცვალეს. დგუშების დიამეტრი გაიზარდა, ბარბაცას სვლა კი შემცირდა. უფრო დიდ დიაპაზონში ხდება საწვავი ნარევისა შეშვებისა და ნამწვი აირების გამოშვების ფაზების გადაფარვა, რის საშუალებასაც იძლევა ის გარემოება, რომ გაიზარდა მუხლა ლილვის ბრუნთა რიცხვი. ამ დროს წვის კამერაში საწვავი ნარევი ჯერ კიდევ მაშინ იწყებს შესვლას, როცა ნამწვი აირი ბოლომდე არაა გამოდევნილი. შედეგად, ცილინდრში უფრო დიდი მოცულობის საწვავი შედის და გამომუშავებული ენერგიაც იზრდება.

ჩატარებული საინჟინრო სამუშაოების შედეგად, ძრავის სიმძლავრემ 640 ცხ.ძალას (471 კვტ) მიაღწია. ძრავი მაქსიმალურ სიმძლავრეს მუხლა ლილვის 5100 ბრ/წთ-ზე გამოიმუშავებს. 1026 ნ.მ-მდე გაიზარდა მისი მაბრუნი მომენტის სიდიდე, რაც მუხლა ლილვის მეტად დაბალ ბრუნთა რიცხვზე, 1750 ბრ/წთ-ზე მიიღწევა და დიდ დიაპაზონში შენარჩუნდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ შესამჩნევად გაიზარდა ძრავის ეგრეთ წოდებული ელასტიურობა, რასაც შედეგად მოსდევს მთლიანად ავტომობილის მიმღებიანობის გაუმჯობესება.

ამ აგრეგატის წყალობით, "ბრაბუსის" მიერ მოდერნიზებული "მაიბახ SV 12" ადგილიდან 100 კმ/სთ სიჩქარეს 4.9 წამში ავითარებს, გერმანულ ჟურნალ "აუტო მოტორ უნდ შპორტის" მიერ ჩატარებულ ტესტებზე კი ავტომობილის მაქსიმალური სიჩქარე 314 კმ/სთ ნიშნულზე დაფიქსირდა!

ამასთან, "ბრაბუსის" კონსტრუქტორებმა" ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ ეს ავტომობილი ბორბლებზე მდგარ, ლუქსის კლასის ოფისად გადაეკეთებინათ. წინა სავარძლების ზურგზე ჩამონტაჟებულია კომპიუტერები და მათი მონიტორები. კომპიუტერებს 80-გიგაბაიტიანი მყარი დისკი აქვთ და ისინი თანამგზავრული კავშირის მეშვეობით, ინტერნეტშია ჩართული. კლავიატურა კი პროცესორს მავთულების გარეშე უკავშირდება.

უცნაურია, მაგრამ მწარმოებელი არც ამ სუპერ-მაიბახის ფასზე ლაპარაკობს...

# უფრო გრძელი "როლს-როის ფანტომი"

ორი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც "ბეემვეს" მფლობელობაში გადასულმა ინგლისური ავტოინდუსტრიის სიამაყე "როლს-როისმა" პირველი ავტომობილი გამოუშვა სახელად "ფანტომი", მაგრამ თავისი კონკურენტებისგან განსხვავებით, აქამდე არ უშვებდა ამ ავტომობილის დაგრძელებულ ვერსიას. და აი, ინგლისის გუდვუდის სიახლოვეს ბაზირებულმა კომპანიამ თავისი პროდუქციის თაყვანისმცემელს მორიგი სიახლე მოუმზადა - ჟენევის ავტოსალონის დამთვალიერებელმა იხილა "ფანტომის" ახალი, დაგრძელებული ვერსია.

საერთოდ, ცნობილია, რომ "როლსებს" მათი პატრონები თავადვე მართავენ და ამდენად, ცოტა არ იყოს, უცნაურია, რომ კომპანიამ ისედაც სოლიდური გაბარიტების მქონე "ფანტომის" დაგრძელება ისურვა. ავტომობილი ზომაში თვლებს შორის ბაზის დაგრძელების ხარჯზე გაიზარდა. ბაზის დაგრძელებას კი შედეგად უკანა სავარძლების მგზავრთა კომფორტის გაუმჯობესება მოჰყვა.

"ახლა, როცა ჩვენმა კომპანიამ დაიბრუნა მოწინავე პოზიცია სუპერ-ლუქსის კლასის ავტომობილების მწარმოებელ წამყვან კომპანიებს შორის, ჩვენ შეგვიძლია სამოდელო გამის გაფართოებაზეც ვიზრუნოთ. სწორედ ამ მიზნით გადადგმული ნაბიჯია ჩვენს მიერ მომზადებული, "ფანტომის" დაგრძელებული ვერსია. ამ სტრატეგიის ნაწილი იყო ცოტა ხნის წინ ჩვენს მიერ გაკეთებული განცხადებაც იმის თაობაზე, რომ 2007 წლიდან ჩვენ კლიენტურას "ფანტომზე" ბაზირებულ კაბრიოლეტსაც შევთავაზებთ", - განაცხადა ჟენევაში გამართულ სპეციალურ საპრეზენტაციო პრესკონფერენციაზე "როლს-როისის" აღმასრულებელმა და დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარემ იან რობერტსონმა.



უნდა ითქვას, რომ "ფანტომის" დაგრძელებული ვარიანტის წარმოება ჯერ კიდევ მაშინ იყო გადაწყვეტილი, სანამ თავად "ფანტომის" წარმოება დაიწყებოდა. ეს ავტომობილი აწყობილია ხელით დამზადებულ, ალუმინის ჩარჩოს მქონე პლატფორმაზე. თანაც, კონსტრუქცია ისეთია, რომ ავტომობილის დასაგრძელებლად აღარ გახდა საჭირო მეტად შრომატევადი სამუშაო, რომელიც ჩარჩოს გადაჭრას და ორ ნაწილს შორის მეტალის დამატებითი სეგმენტის ჩაკერებას ითვალისწინებს (ამ ხერხს ხშირად მიმართავენ ლიმუზინების მწარმოებელი ფირმები).



ახალი ავტომობილის სიგრძე 250 მილიმეტრით მეტია საბაზო "ფანტომისაზე". მას შუა საყრდენის უკან დამატებითი სეგმენტი გაუჩნდა. სხვათა შორის, მისი პლატფორმა ყველაზე გრძელია მსოფლიოში არსებულ, ალუმინის პლატფორმებს შორის.

უნდა ითქვას, რომ საბაზო "ფანტომს" ჩვეულებრივზე გრძელი ბაზა (3570 მმ) აქვს, რის გამოც, მის უკანა მგზავრებს სრულებითაც არ აკლდათ კომფორტი, თუმცა როცა პრესტიჟზე და ექსკლუზიურობაზეა ლაპარაკი, იქ დიდი მნიშვნელობა ენიჭება არა მხოლოდ ძრავის ლიტრაჟს, არამედ ავტომობილის გაბარიტებსაც.

აქ იმის თქმაც ღირს, რომ კომპანიის მარკეტოლოგები კარგა ხანს არ ჩქარობდნენ "ფანტომის" დაგრძელებული ვერსიის წარმოების დაწყებას და ეს ნაბიჯი მხოლოდ მას შემდეგ გადადგეს, რაც დილერებისგან საკმაოზე მეტი წინასწარი შეკვეთა მიიღეს გრძელ "ფანტომზე". ამ მხრივ, განსაკუთრებით აქტიურობდნენ ინგლისური მარკის შუააღმოსავლეთელი ნავთობმაგნატები, რომლებიც ჩვეულებრივ, "როლსების" ყველაზე დიდ მოყვარულებად ითვლებიან.

სხვათა შორის, სანამ გუდვუდელები ორჭოფობდნენ და მარკეტოლოგების რჩევებს ელოდნენ, მათი ქმნილების დაგრძელება იკისრა ამერიკულმა სატიუნინგო კომპანია "გენადიმ", რომელმაც 38 სანტიმეტრით დააგრძელა "ფანტომი". უფრო მეტიც, ეს კომპანია სპეციალური შეკვეთის შემთხვევაში, 1.5 მეტრით დაგრძელებულ "ფანტომის" დამზადებასაც კისრულობს.

რაც შეეხება "როლს როისის" მიერ დაგრძელებულ "ფანტომს", მისი ბაზა 3.820 მეტრია, ავტომობილის სიგრძე კი 6.084 მეტრს აღწევს, რაც ოდნავ ნაკლებია გრძელბაზიანი "მაიბახ 62-ის" სიგრძეზე. იმის მიუხედავად, რომ ავტომობილის დაგრძელებამ მისი წონის საგრძნობი ზრდა (ძარის სიხისტის შესანარჩუნებლად, მისი ტიხრებით გამაგრებაა აუცილებელი, რასაც კონსტრუქციის დამძიმება მოჰყვება) გამოიწვია, გუდვუდელებს ხელი არ უხლიათ ძრავისა და ტრანსმისიისთვის. და მაინც, თითქმის არ შეცვლილა (ყოველ შემთხვევაში, ამას გვაუწყებენ კომპანიის მესვეურები) ავტომობილის დინამიკა და მართვადობა.

დაგრძელებული "ფანტომის" წარმოება იმავე ქარხანაში განლაგდება, სადაც სტანდარტული სედანები მზადდება. დაგრძელებულ ლიმუზინზე შეკვეთების მიღება კომპანიამ ჟენევაშივე დაიწყო, მათ განაღდებას კი შემოდგომიდან შეუდგება. ავტომობილის საბაზო ღირებულება 385 ათასი დოლარი იქნება, რაც 56 ათასი დოლარით მეტია სტანდარტული "ფანტომის" საბაზო ღირებულებაზე.

**გვერდი მოამზადა**
**მერაბ ლორთქიფანიძემ**

| | |
|---|---|
| სახელი ______ | მისამართი ______ |
| გვარი ______ | |
| ასაკი ______ | საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ______ |
| სიმაღლე ______ | |

| | |
|---|---|
| 1 ოჯახური მდგომარეობა :<br>დაქორწინებული<br>დაუქორწინებელი<br>გაყრილი<br>ქვრივი | 8 თქვენი ინტერესები |
| 2 შვილები: (თუ გყავთ) | 9 თქვენი ჰობი |
| 3 პროფესია : | 10 თქვენი საყვარელი გადაცემა და ტელეშოუები ? |
| 4 სამუშაო ადგილი (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა) | 11 როგორ დახარჯავდით 8000 ლარს ერთ დღეში ? (პასუხი: ერთ დღეში ვერ დახარჯავ არ მიიღება) |
| 5 ადრე სად მუშაობდით? (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა) | 12 როგორ გრძნობთ თავს ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ? (ახსენით პასუხი) |
| 6 სხვა რომელ ტელეშოუებში გაქვთ მონაწილეობა მიღებული, სად და როდის? | 13 როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი თავი გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაშის დროს ? (ახსენით პასუხი) |
| 7 სხვა რომელ არასატელევიზიო კონკურსებში და შეჯიბრებებში მიგიღიათ მონაწილეობა სად და როდის? | ჩემი ხელმოწერით ვადასტურებ, რომ მოწოდებული ინფორმაცია არის ზუსტი და რომ არც მე და არც ჩემი ოჯახის წევრი არ მუშაობს სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-ში.<br>ხელმოწერა______ თარიღი______<br>ანკეტა ხელმოწერის გარეშე არ მიიღება ! |



გადაცემა
სუსტი რგოლი

## მოთამაშის ანკეტა

გიხერხებათ კროსვორდების ამოხსნა?

გიყვართ ინტელექტუალური თამაშები?

არ გეშინიათ, გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაში?

დაგვიკავშირდით, "რუსთავი 2" ეძებს ერუდირებულ, თამამ, გონებამახვილ კონკურსანტებს.

გადაცემაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა გქონდეთ მხოლოდ ზოგადი განათლება, იუმორის გრძნობა და მოგების სურვილი.

**[illegible]**
[illegible]

**ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:**
[illegible]

თქვენი ფოტოსურათი

გთხოვთ, დააკრათ ნებისმიერი ზომის ფოტოსურათი, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გამოსახული, მასზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი. ფოტოსურათი გადაღებული უნდა იყოს ბოლო ორი წლის განმავლობაში.

## სკანვორდი



წინა სკანვორდის პასუხები: [illegible]

1. იტალიელი წყალში მხტომელი, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი; 2. ფრანგი საესტრადო მომღერალი; 3. რისამე შეფასების სისწორის ნიშანი; 4. უნაღდო ანგარიშსწორების სისტემა; 5. შენობა ქვეწარმავლებისა და ცხოველებისათვის; 6. განთქმული მოჭიდავე; 7. მოკლე ალეგორიული მოთხრობა; 8. სამხრეთ ნახევარსფეროს სავარაუდო მატერიკი; 9. სატირულ-იუმორისტული ხასიათის საგაზეთო სტატია; 10. სახელმწიფო სამხრეთ აზიაში; 11. წმინდა ხარი ეგვიპტურ მითოლოგიაში; 12. კარის ან ჭიშკრის შიგნიდან დასაკეტი მოწყობილობა; 13. შუა საუკუნეების სამთავრო დასავლეთ საქართველოში; 14. ლატვიის დედაქალაქი; 15. სამხედრო შარვალზე დაკერებული ფერადი კანტი; 16. მექორწილე ქალი; 17. რაიმე დაწესებულების განყოფილება; 18. სითხის ან აირის წნევის საზომი ხელსაწყო; 19. საყოველთაოდ აღიარებული დიდი წარმატება; 20. დიდი და ღრმა ბზარი; 21. სახელმწიფო დასავლეთ აზიაში; 22. ნარკოტიკული ნივთიერება; 23. სამხრეთ ამერიკის 1981-82 წლების საუკეთესო ფეხბურთელი; 24. ამერიკელი ბიოლოგი, გენეტიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი; 25. ფრანგული მსუბუქი ავტომობილების მარკა; 26. განსაკუთრებული უნარი, ნიჭი; 27. სურნელოვანი ფისი, იხმარება მღვდელმსახურების დროს; 28. თბილი ქვეყნების ხე; 29. წერილობითი თხოვნა, საჩივარი; 30. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული მეფის რუსეთში; 31. იტალიელი ვიოლინოს ოსტატი; 32. ქალაქი და პროვინცია ცენტრალურ იტალიაში; 33. ძველებრაელი წინასწარმეტყველი; 34. თავადის ტიტული ინდოეთში; 35. საკონდიტრო ნაწარმი; 36. ინდონეზიის დედაქალაქი; 37. საშუალო ზომის მავნე მწერი; 38. ავტომობილის მოძრაობის სამართავი მოწყობილობა.

## TV პროგრამა

10 მარტი

### რუსთავი - 2

**07.30** დილა **08.00** ტელელილიპუტები **10.00** სერიალი "შეყვარებული ქალები" **11.00** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 02.45** კურიერი **12.20** სერიალი "შეყვარებული ქალები" **13.30** მხ. ფილმი "ვერცხლისფერი მგელი" **15.25** ჩემპიონთა ლიგა. **17.25** ტელელილიპუტები **18.30** პატრული **19.50** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** ვის უნდა 50 ათასი **23.00** დოკ. ფილმი "ადამიანის სხეული" (ბი-ბი-სი) **00.00** მხ. ფილმი "პიანისტი" (18) (ედრიან ბროუდი) **03.00** პატრული

### TV5

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00,** 02.15(შვეიცარია), 02.40(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **08.30** ტელედილა. **10.30** ტელეტურიზმი. **11.05** აგდაცემა საოჯახო ფოტოები. **12.20** მაშველები. ტელესერიალი. **15.30** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **16.25** გადაცემა: ფრანს ევროპ ინფო. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **20.25** ამოუცნობი. მხ ფილმი. რეჟისორი ელიზაბეტ რაპენი. **22.05** აკუსტიკა. **03.05** ჰედი სლიმანი ბერლინში.

### [logo]

**08.00** "ადრე" **10.00** დოკ. ფილმი "დღე, როდესაც ჩვენ ფიქრი დავიწყეთ" **11.00** სერიალი "მემკვიდრე ლუნა" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმაციური ფილმი "რედვოლი" **12.45** ანიმაციური ფილმი "ციცქნა მოჩვენებანი" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერიალი "მაქსიმო ჩემი სიყვარული" **15.00** "მთავარი" აზერბაიჯანულ ენაზე **15.20** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.30** "ბიოგრაფიული პორტრეტები" - მუჰამედ ალი. მე-2ს. **16.30** დოკ. ფილმი "მკვლელი ჭიანჭველები" **17.30** დოკ. ფილმი "მითხარი რატომ" -ჯანმრთელი სხეული **18.00** "მთავარი" - რეგიონებიდან **18.30** სერიალი "შირლი ჰოლმსი" **19.00** "ჰოლმარკი" წარმოგიდგენთ - "ვედმინი" **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** სერიალი "მემკვიდრე ლუნა" **22.00** დოკ. ფილმი "ომის ნანგრევები მარჯნის ზღვაში" **23.00** მედიატორი **23.30** ქართ. ფილმი "ჩარი-რამა" (გ) **02.00** საინფ. გამოშვება

### კავკასია

**11.00** ტუწ-ემ **11.30** მხ. ფილმი "გაქცევა გულაგიდან" (გ) **13.00** ტუწ-ემ **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.20** ტუწ-ემ **19.20** სპექტრი **21.15** მხ. ფილმი "ველური ბანდა" (გ) **00.30** ტუწ-ემ

### 202

**10.00** დებატები (განმ.) **12.00** მუსიკალურ-გასართობი გადაცემა "პროპაგანდა" **13.00** სერიალი "დიდი სახლი" (გან.) **14.00** მუს. გადაცემა "პროპაგანდა" **18.00** მუსიკა **22.00** სერიალი "დიდი სახლი" **23.00** დებატები 202-ზე

### მზე

**08.30** მუსიკა მზეზე **09.00** "ფოკუსის ისტორია" **09.30** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **10.00** სერიალი "პოლიციელი ქალები" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **12.05** შემეცნებითი პროგრამა "სამყაროს უთვალავი ფერი" **13.05** "დიელი და პასკო" **14.15** არჩევანის ზღვარზე **15.10** შემეცნებითი პროგრამა "სამყაროს უთვალავი ფერი" **16.05** "ველური მთვარე" **17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** "დიელი და პასკო" **18.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.50** მუსიკა **19.00** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **20.45** სერიალი "პოლიციელი ქალები" **21.45** არჩევანის ზღვარზე **22.45** საფესტივალო ჩვენება **23.45** მხ. ფილმი "ნემესიდას თამაში" (გ) (კერლი პოუპი)

### მეორე არხი

**19.00** სერიალი "ხუმრობა იქით იყოს" **19.50** "ბაბილინა" **20.05** მულტსერიალი "მარსუპილამი" **20.30** სერიალი "ცეკვის ენა" **20.55** დოკ. ფილმი "ხეები" **21.45** დოკ. ფილმი "დიზაინი" **22.10** კინოსეანსი "მყუდრო სავანე"

### იმედი

**07.00** სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" **07.30** დოკ. სერიალი "ისტორიის ერთი კვირა" **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.10** იმედის დილა **10.05** სერიალი "მოჯადოება" **11.15** სერიალი "კექსი დიდ ქალაქში" **11.35** სერიალი "ორი ბედი" **12.40, 16.25, 03.55** ტვ-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი "ქვინსში ასე ხდება" (ჯ. მალკოვიჩი) **15.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 03.45** ქრონიკა **15.20** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.40** დოკ. სერიალი "ბრძოლა გადარჩენისთვის" **17.10, 04.25** იმედის მელოდიები **17.30** "ერთხელ ჰოლივუდში" **18.05** სერიალი "მოჯადოება" **19.55** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.55** სერიალი "ორი ბედი" **22.50** სერიალი "კექსი დიდ ქალაქში" **23.15** "ათასიდან ერთი შანსი" **23.45** მხ. ფილმი "ჯოჯოხეთური საქმეები" (15) (ტ. ლიუნგი) **01.30** მხ. ფილმი "პან თადეუში" (გ) (რეჟ. ა. ვაიდა)

### აჭარა

**08.00** დილის გადაცემა **09.00** სერიალი "ჩემი სამი და" **10.00** მუსიკა **10.30** დოკ. ფილმი "პორშე" **11.30, 14.30, 20.30** საინფ. გამოშვება **11.45** მხ. ფილმი "კურსიკელი" **13.30** მუსიკა **14.50** ფანტასტიკა "ავტოსადგომი" **16.30** დოკ. ფილმი **17.30** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **17.55** მულტფილმი **19.30** სერიალი "ჩემი სამი და" **21.05** დრამა "წითლებს შორის" **22.35** "გადარჩენილი სიტყვა" **23.15** "ექსკლუზივი" **00.00** საინფ. დაიჯესტი **00.25** მხ. ფილმი "ქარის საწინააღმდეგოდ" **02.00** მუსიკა

### ОРТ

**06.00** "Доброе утро" **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости**. 09.20, 21.30** Сериал **"ХИРОМАНТ". 10.30, 18.40** Сериал **"КЛОН". 11.30** Дисней-клуб: "Утиные истории"**. 12.20** Евгений Жариков в детективном сериале **"РОЖДЕННАЯ РЕВОЛЮЦИЕЙ". 13.50** Спецрасследование. "Мафия нищих"**. 14.30** "Угадай мелодию" **15.20** Сериал **"СЫЩИК БЕЗ ЛИЦЕНЗИИ". 16.30** "Пять вечеров". Четверг**. 17.30** Сериал **"БОГАТСТВО". 19.50** Сериал **"ЖЕНСКИЙ РОМАН". 21.00** Время**. 22.40** "Человек и закон" **23.30** Ночное "Время"**. 23.50** Теория невероятности. "Вещие сны"**. 00.20** "Гении и злодеи". Андрей Платонов**. 00.50** Док. фильм "Пеле"**. 01.40** Клэр Дэйнс в приключенческом фильме **"РАЗРУШЕННЫЙ ДВОРЕЦ"**. Две подружки Элис Марано и Дарлин Дэвис решают отправиться в Таиланд и отпраздновать окончание средней школы. Солнце, море, экзотика и... новый знакомый, очаровательный австралиец Ник Паркс - обаятельный, загадочный и вызывающий безграничное доверие. Влюбленность и безрассудство затмевают здравый смысл, и, поддавшись уговорам Ника, подружки отправляются на уик-энд в Гонконг. Сказочное путешествие оборачивается кошмарным сном: прямо из аэропорта девушки попадают в таиландскую тюрьму: в рюкзачке Элис обнаружен героин**... 03.30** Винс Вон в мелодраме **"СУХОЕ, ПРОХЛАДНОЕ МЕСТО"**

### НТВ

**06.00** "Сегодня утром"**. 09.05** Детективный сериал **"ОНА НАПИСАЛА УБИЙСТВО: УБИЙСТВО В ВЕГАСЕ". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00** Сегодня **10.20** Тайны разведки**. 10.55** Клодия Карвэн в комедии **"ГЕРОЙ ЕЕ РОМАНА" 13.40** Юрий Никулин в фильме **"КО МНЕ, МУХТАР!"**. **15.30** Чрезвычайное происшествие**. 16.20** Ток-шоу "Принцип домино"**. 17.30** Сериал **"АДВОКАТ". "ДЕЛО ПРОСТЫХ ЛЮДЕЙ"**. Часть 2-я**. 18.35** Чрезвычайное происшествие**. 19.35** Детективный сериал **"ЛЕГЕНДА О ТАМПУКЕ". 22.40** "К барьеру!" Ток-шоу **00.15** Михаил Барышников в фильме **"БЕЛЫЕ НОЧИ"**. Во времена "холодной войны" советский выдающийся танцовщик Николай Родченко бежит на Запад, надеясь обрести там свободу. Но однажды случилось так, что самолет, в котором Родченко летел в Японию, вынужден был совершить посадку в СССР на военном аэродроме в Сибири. Волею судьбы опять Николай оказался "дома". Сотрудники КГБ с присущей им настырностью начинают "уговаривать" беглеца, чтобы он остался в СССР. К счастью, удача оказалась на стороне Николая и ему вновь удается бежать от ненавистного режима. Ему в этом помогали Рэйнолд, американский чечеточник и его русская жена - Даша**. 02.55** Бильярд**. 03.15** Сериал **"ПЕРВЫЙ ПОНЕДЕЛЬНИК". 04.10** Сериал **"ЗА ГРАНЬЮ ВОЗМОЖНОГО". 04.55** Сериал **"ЛЮБОВЬ ВДОВЦА-2". 05.40** Чрезвычайное происшествие.

# ხატვა აბრეშუმზე

ვერა ნეფარიძე

*"ერთი და იგივეს არ ვაკეთებ. მაგრამ, გრაფიკისა და ქსოვილის შერწყმა ისე მომეწონა, მგონია, რომ დიდხანს გავაგრძელებ", - თქვა გუშინ "ქარვასლაში" გახსნილი გამოფენის ავტორმა ქეთი ფერაძემ. მხატვარმა გალერეაში საკუთარ გრაფიკულ ნამუშევრებთან ერთად დამთვალიერებელს თავისი უკანასკნელი 13 წლის გატაცება - აბრეშუმზე შესრულებული გრაფიკული ნახატები წარუდგინა.*



"გრაფიკისა და ქსოვილის შერწყმა არ არის ახალი, მაგრამ ამას ქეთი ნამდვილად მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ოსტატობით აკეთებს. ამიტომაც შევთავაზეთ გამოფენა, რისთვისაც ბევრი იშრომა", - გვითხრა "ქარვასლას" საგამოფენო დარბაზის მასპინძელმა, ლიკა მამაცაშვილმა.

ის, რაზეც ავტორმა ბევრი იშრომა, აღმოჩნდა საკმაოდ დიდ სივრცეში გაშლილი აბრეშუმის ფარდები, დეკორატიული თეფშები, შარფები, ტაფტაზე ტუშითა და ნატურალური მინერალებით შესრულებულ კომპოზიციები (ეს უკანასკნელი ექსპოზიციაზე განსაკუთრებით ორიგინალური იყო).

ქეთი ფერაძე ქსოვილებით მაშინ დაინტერესდა, როდესაც საქართველოში სამოქალაქო ომი გაჩაღდა; "როდესაც მეუღლესთან ერთად მოსკოვში წავედი საცხოვრებლად, ქსოვილის ახალი საღებავები აღმოვაჩინე. მაშინ დაიწყო ჩემი შეხება ქსოვილთან. ჯერ ერთი ამას, პრაქტიკული, გამოყენებითი დატვირთვაც ჰქონდა - ვაკეთებდი და ვყიდდი, საარსებოდ მჭირდებოდა, თანაც მე ხატვის გარეშე ცხოვრება უბრალოდ, არ შემიძლია", - მითხრა ავტორმა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გრაფიკის ფაკულტეტის დასრულების შემდეგ, ქეთი ფერაძე დაახლოებით ათ ჯგუფურ გამოფენაში მონაწილეობდა; 1990 წლიდან მიღებული აქვს მონაწილეობა ჰელსინკიში ქართველ მხატვართა ჯგუფურ გამოფენაში; ჰქონია გამოფენები მოსკოვში, შვედეთში; 1998 წელს "შერატონ მეტეხი პალასში" მონაწილეობდა აქსესუარების დიზაინის ჩვენებაში; პირველი პერსონალური გამოფენა რამდენიმე წლის წინათ ჰქონდა, მაგრამ "ქარვასლას" ექსპოზიციას მაინც პირველ პერსონალურ გამოფენად მიიჩნევს. ალბათ იმიტომ, რომ აქ უფრო უხვადაა წარმოდგენილი მისი ბოლო დროინდელი ნამუშევრები (მნიშვნელოვანი რომ არ ყოფილიყო, ალბათ არც დაამთხვევდა გამოფენის გახსნას საკუთარ დაბადების დღეს). 1992 წლიდან ქეთი ფერაძე არის "იუნესკოს" მიერ დაარსებული მხატვართა ფედერაციის წევრი და საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი. მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოს, რუსეთის, პოლონეთის, საფრანგეთის, იაპონიის, აშშ-ს, ავსტრიისა და იტალიის კერძო კოლექციებში. ამ გამოფენის წყალობით, ალბათ ქეთი ფერაძის ნამუშევრებს კიდევ შეჰმატებენ საკუთარ კერძო კოლექციებს მსურველები. ყოველ შემთხვევაში, როგორც "ქარვასლას" მასპინძელმა ივარაუდა, მალე დარბაზში ერთი ქსოვილიც კი აღარ დარჩება.

# სანამ შემოდგომა მოვა




"ბუკერი" ლიტერატორების წრისთვის საშემოდგომო სიამოვნებად ითვლება. ლოდინად ეს ღონისძიება ყოველთვის ღირს ხოლმე; მაგრამ ოქტომბრამდე დარჩენილ მაინც გრძელ ინტერვალს სხვადასხვა არც ისე ნაკლები დონის ლიტერატურული პრემიები ავსებს.

თუნდაც აპრილი და ბრიტანული წიგნის ჯილდო. "ბი ბი სი"-ს ცნობით, წლის წიგნის ტიტულის მოპოვებას მთელი მსოფლიოს მასშტაბით უკვე სუპერპოპულარული "და ვინჩის კოდი" და ბობ დილანის მემუარები შეეცდებიან, ბილ ბრაისონისა და მაიკლ პალინის, მარკ ჰედონის და გილიან მაქკიტის ნაწარმოებების მხარდამხარ.

"და ვინჩის კოდი" ბრიტანული წიგნის ჯილდოზე სამშაბათს წარადგინეს. ავტორი დენ ბრაუნი კი წლის მწერლის წოდებაზეა ნომინირებული.

დანარჩენ ნომინანტებს შორის, ასევე, არიან "უაიტბრედის" პრიზის მფლობელი ანდრეა ლევი, მსახიობი შეილა ჰენკოკი და მოდელი ჯორდანი. ჰენკოკი წარდგენილია ორ პრიზზე: წლის ავტორი და წლის საუკეთესო ბიოგრაფია.

ამავე კატეგორიაში ლიდერობს აშშ-ს ყოფილი პრეზიდენტი ბილ კლინტონიც თავისი "ჩემი ცხოვრებისთვის". იქვეა სცენარისტი საიმონ გრეი წიგნისთვის "მოწევის დღიურები" - გრეი წერს იმაზე, თუ როგორ ცდილობდა სიგარეტისთვის დაენებებინა თავი.

როგორც ხედავთ, წლის საუკეთესო მწერლობის ტიტულზე საკმაოდ წარმომადგენლობითი "დელეგაცია" აცხადებს პრეტენზიას. მოდელსა და მსახიობზე რომ აღარაფერი ვთქვათ - აქვეა როკის ლეგენდა ბობ დილანიც. ჯილდოს მოპოვებას ის თავისი ავტობიოგრაფიით "ქრონიკები - ნაწილი პირველით" შეეცდება. მაიკლ პალინიც ხომ "მონთი ფაითონის" კომიკოსი გახლდათ. ახლა კი წლის ბრიტანული წიგნის ნომინაციაზე წიგნად გადაკეთებული ტელეშოუს "ჰიმალაიას" გამოა წარდგენილი.

თუმცა, ნომინანტთა შორის აღიარებული მწერლებიც არიან. მარკ ჰედონის რომანმა "ძაღლის უცნაური შემთხვევა ღამით" ისედაც დიდი ინტერესი გამოიწვია. "ბუკერის" პრიზით დაჯილდოებული ალან ჰოლინგჰარსტი კი საუკეთესო მწერლის ტიტულზე აცხადებს პრეტენზიას.

შემდეგ კი ისევ მოყვარული მწერლების რიგი დგება. შოტლანდიელი მსახიობი ევან მაკგრეგორი ჩარლი ბურმანთან ერთად დაწერილი წიგნისთვის "გრძელი გზა გარშემო" არის ნომინირებული. მათი ნაწარმოები მსოფლიოს გარშემო მოტოციკლეტით მოგზაურობას აღწერს. წლის სპორტული წიგნის კატეგორიაში კი პოლ გასკოინი ლიდერობს. გამარჯვებულები აპრილში გამოვლინდებიან.

# შენაძენი



ჟურნალი "ვოგი" წერს: როცა კლაუდია შიფერი და მეთიუ ვონი ოჯახობანას არ თამაშობენ თავიანთ ლონდონისა და საფოლკის სახლებში, კაზინოში თამაში უყვართ. ალბათ ამიტომაც, ლას ვეგასი მესამე სახლად მიაჩნიათ. მალე ეს ასეც იქნება. გაზეთ "ნიუ იორკ პოსტის" ცნობით, 2.5 მილიონ დოლარად მათ ლას ვეგასში მშვენიერი სახლი იყიდეს. ბინა სასტუმრო "ჰარდ როქ ჰოტელის" გვერდითაა.

კლაუდია შიფერსა და მეთიუ ვონს ორი წლის კასპარი და ოთხი თვის კლემენტაინი ჰყავთ.

# მომღერალი ახალ ამპლუაში

დაიანა როსი დიდი ხანია, შოუბიზნესის ეპიცენტრიდან წასვლას შეეგუა. მაგრამ ბოლო დროს მოდაში გადაინაცვალა და ეს ძალიან მოსწონს. გასულ კვირას ის კრისტიან დიორის სახლისთვის გაკეთებულ ჯონ გალიანოს ჩვენებას დაესწრო და მოიხიბლა. თანაც, ყურადღების ცენტრშიც მოექცა. ფოტოგრაფები, რომლებიც მანამდე ჯულიან მურის გადაღებით იყვნენ გართულნი, დაიანა როსის გარშემო შეჯგუფდნენ. მომღერალი უკვე გახლავთ MAC კოსმეტიკის სახე. გუშინ კი "ნიუ იორკ პოსტს" მან ისიც განუცხადა, რომ მალე დიზაინერობას თვითონაც მოჰკიდებს ხელს. ეს მისთვის უცხო ნამდვილად არ იქნება. 1975 წელს გამოსულ ფილმში Mahogany როსმა თვითონ შეკერა კოსტიუმები საკუთარი პერსონაჟისთვის. ახლა კი ის საკერავი მანქანის შემოქმედებას მისი მუსიკის ფანებს გაუზიარებს.

**დღეს 12 საათზე ჟურნალისტის სახლში დაიწყება ცნობილი ჟურნალისტის თემურ მეტრეველის სამოქალაქო პანაშვიდი.**

**გამოსვენება 15 საათზე.**

**დაკრძალვა საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.**

Save the Children

## განცხადება

საერთაშორისო ორგანიზაცია "გადავარჩინოთ ბავშვები" და ფონდი "ერანი" ახორციელებს მოსახლეობის, ლტოლვილთა მიგრაციის ბიუროს მიერ დაფინანსებულ პროექტს სახელწოდებით "დევნილთა კომუნალური ცენტრების აღდგენითი სარეაბილიტაციო სამუშაოები საქართველოში". პროექტი ითვალისწინებს სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებას ქ. ბორჯომში

პროექტის ფარგლებში ცხადდება ტენდერი სარეაბილიტაციო სამუშაოების შემსრულებელი სამშენებლო კომპანიის გამოსავლენად.

დაინტერესებული კომპანიების სატენდერო დოკუმენტაციის მიღება იწარმოებს 2005 წლის 14 მარტიდან 22 მარტის 12 საათამდე მისამართზე: ქ. თბილისი, ლესელიძის ქ. N32, პირველი სართული.

**საკონტაქტო პირი: ნატალია მესხია,**
**მობ: 893 96 07 27 ტ. 8(22) 98 59 14**

## ვაკანსია

ქოლგეით-პალმოლივს მეტად ამბიციური მიზნები გააჩნია საქართველოში და საამისოდ მისი დისტრიბუტორი კომპანია შპს "პონტო სტარ კომპანი" იწვევს 25 წლამდე ახალგაზრდებს სავაჭრო წამომადგენლის (დისტრიბუტორის) თანამდებობაზე სამუშაოდ.

**მოთხოვნები**
1. უმაღლესი განათლება
2. კომუნიკაციის განსაკუთრებული უნარი
3. ავტომანქანის მართვის მოწმობა (სასურველია)

**მოვალეობები**
1. გაყიდვები
2. დისტრიბუცია
3. თაროზე მუშაობა
4. სარეკლამო საშუალებების გამოყენება

დაინტერესებულმა პირებმა 2005 წ. 8-დან 26 მარტის ჩათვლით გამოაგზავნეთ თქვენი ავტობიოგრაფია (CV) ფაქსის შემდეგ ნომერზე: 91 13 41. 1000-დან 1800 -მდე




## ღია კარის დღე

**ამერიკული აკადემია თბილისში** აცხადებს 13-14 წლის მოსწავლეთა მიღებას მეცხრე კლასში 2005-2006 სასწავლო წლისათვის.

**ღია კარის დღეები ჩატარდება 23 თებერვალს, 23 მარტს, 13 აპრილსა და 4 მაისს, 17 საათზე.**

**აკადემიის მისამართია: ჭავჭავაძის გამზ. 37ა, ტელ: 22 74 41, 22 78 89.**










თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24

## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.